



ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს  
სტუდენტი ახალგაზრდობის  
დემოგრაფიული განწყობა

2020

საქართველოს სტუდენტი  
ახალგაზრდობის დემოგრაფიული  
განწყობა

---

Demographic Sentiment of Georgian  
Student Youth

---

Ivane Javakhsishvili Tbilisi State University

# Demographic Sentiment of Georgian Student Youth

---

Tbilisi  
2020

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს სტუდენტი  
ახალბაზრდობის დემოგრაფიული  
ბანწყობა

---

თბილისი

2020

მონოგრაფიაში წარმოდგენილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის მიერ 2019 წელს ჩატარებული საქართველოს სტრუქტურული ახალგაზრდობის დემოგრაფიული განწყობის კვლევის შედეგები, გაანგარიშებულია მრავალი სტატისტიკური და ხარისხობრივი მაჩვენებელი, გამოვლენილი და გაანალიზებულია ზოგადი და კონკრეტული ტენდენციები. პირველადი ინფორმაციის მიღება, დამუშავება და ანალიზი განხორციელდა სპეციალური კომპიუტერული პროგრამის – SPSS ფართოდ გამოყენებით. მონოგრაფიის ყოველ თავში მოცემულია მრავალი შედეგობრივი ცხრილი, გრაფიკი და დიაგრამა, რომლებშიც კომპაქტურად და ნათლად ჩანს სხვადასხვა დემოგრაფიულ საკითხზე სტრუქტურების განწყობები და შეხედულებები.

კვლევის განმახორციელებელი ჯგუფი მადლიერებას გამოხატავს ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხელმძღვანელობისადმი, რომლის ფინანსური ხელშეწყობითაც განხორციელდა აღნიშნული კვლევა. ასევე, დიდ მადლობას ვუხდით იმ მრავალრიცხოვან სტრუქტურებს, რომლებმაც გამოიჩინეს გულისხმიერება, შეავსეს და დაგვიბრუნეს გამოკვლევის კითხვარი.

**სარედაქციო ჯგუფი:** პროფესორი **სიმონ გელაშვილი**  
ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხმალაძე**  
ასოცირებული პროფესორი **მარინე მინდორაშვილი**  
ასოცირებული პროფესორი **ნინო აბესაძე**

**რეცენზენტები:** ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი **მირიან ტუხაშვილი**  
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი **თეიმურაზ ბერიძე**

*საგრანტო კვლევითი პროექტი განხორციელდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დაფინანსებით.*

საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. მერაბ ხმალაძე

შემსრულებლები: პროფ. სიმონ გელაშვილი, ასოც. პროფ. ნინო აბესაძე, ასოც. პროფ. მარინე მინდორაშვილი, ასოც. პროფ. მარინა მუჩიაშვილი, ასისტ. პროფ. მაია გიორგობიანი, ასისტ. პროფ. ზამირა შონია, დოქტორანტი ნინო მაღრაძე, მაგისტრანტი ნინო ხატისაშვილი

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2020

ISBN 978-9941-13-937-6

## შინაარსი

შესავალი.....	7
თავი I. დემოგრაფიული განწყობის შესწავლის მეთოდოლოგიური საკითხები.....	11
თავი II. სტუდენტების სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების სტატისტიკური ანალიზი.....	14
თავი III. სტუდენტთა დემოგრაფიული ცოდნის დონე საქართველოში.....	49
თავი IV სტუდენტების რეპროდუციული და ქორწინებითი განწყობა.....	62
თავი V. სტუდენტების მიგრაციული განწყობა .....	94
თავი VI. საქართველოს წინაშე მდგომი გამოწვევები სტუდენტების თვალსაზრისით.....	113
დასკვნები და რეკომენდაციები.....	135
ლიტერატურა.....	143
<b>DEMOGRAPHIC SENTIMENT OF GEORGIAN STUDENT YOUTH .....</b>	<b>146</b>
<b>Conclusions and Recommendations</b>	
<b>დანართი 1. ....</b>	<b>154</b>
სტუდენტების დემოგრაფიული განწყობის კვლევის კითხვარი.....	153
<b>დანართი 2.....</b>	<b>161</b>
მიღებული პასუხების საფუძველზე გაანგარიშებული მაჩვენებლები და შედეგობრივი ცხრილები <sup>2</sup>	



## შესავალი

საქართველოში, კერძოდ ქართველებში, განათლება ყოველთვის იყო პრესტიჟის და იმავდროულად ღირსების საკითხი. ქართველი კაცის სწრაფვა განათლებისკენ დაფიქსირებულია ყველა ისტორიულ ეპოქაში. შემთხვევითი არაა, რომ განათლების დონის მაჩვენებლებით საქართველო ყოფილ საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ პირველ ადგილზე იდგა. ახალგაზრდობას და, მათ შორის, სტუდენტობას თავისი ადგილი უკავია საზოგადოების როგორც ასაკობრივ, ისე ზოგადად სოციალურ სტრუქტურაში. ამასთან, ახალგაზრდობის გავლენა საზოგადოებაზე არაადეკვატურად აღემატება მის წილს მთელ მოსახლეობაში. ეს განსაკუთრებით ითქმის სტუდენტობაზე. სტუდენტობის წლები თავისთავად ყველაზე საუკეთესო წლებია ადამიანისთვის, რომლის დროსაც ხდება ადამიანის იდენტიფიკაცია, ცხოვრებისეული ფასეულობების იერარქიის ფორმირება, ცხოვრების მიზნების დასახვა, იწყება დამოუკიდებელი პიროვნების ჩამოყალიბების პროცესი. შესაბამისად, პიროვნების სოციალიზაციის პროცესში სტუდენტური წლები შეუდარებლად მნიშვნელოვანია.

დღეისათვის ჩვენ ვცხოვრობთ საზოგადოების განვითარების იმ პერიოდში, როდესაც ფართოდება თანამედროვე მეცნიერულ-ტექნოლოგიური რევოლუცია; ყალიბდება სრულიად ახალი მაღალგანვითარებული ადამიანის ტიპი; სახეზეა პოსტინდუსტრიული საზოგადოების თანდათან დამკვიდრების პროცესი; ძლიერდება საყოველთაო გლობალიზაციის ტენდენციები. მაგრამ ყველაზე შთამბეჭდავია ნანოტექნოლოგიების შემოჭრა. ფართო გაქანება მიეცა ახალგაზრდობის ინდივიდუალიზმს და განსაკუთრებით დამოუკიდებლობას. ეს უკანასკნელი ვლინდება როგორც სოციალურ, ისე ეკონომიკურ დამოუკიდებლობაში. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ რიგი ახალშობილესდამთავრებული ახალგაზრდებისა უფრო მაღალ ანაზღაურებას იღებენ, ვიდრე ქართველი პროფესორები. ამას შეიძლება საბაზრო ეკონომიკის პირობებში გარკვეული ობიექტური საფუძველი გააჩნია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ახალგაზრდების დამოუკიდებლობას მხარს არ ვუჭერთ, პირიქით, როგორ შეიძლება შვილი ბავშვი იყოს მანამდე, ვიდრე მშობელი ცოცხალია. ყველგან, ცხოვრების ყველა სფეროში საჭიროა ოპტიმუმის მონახვა. როდესაც ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ახალგაზრდობის გავლენა საზოგადოებაზე, მის ყველა მხარეზე, არაადეკვატურად აღემატება მის წილს მთელ მოსახლეობაში, ნათქვამი ყველაზე მეტად ეხებოდა სტუდენტ ახალგაზრდობას, კონკრეტულად კი მის გავლენას მოსახლეობის დემოგრაფიულ განწყობაზე. ფაქტია, რომ სტუდენტობის ასაკში, განსაკუთრებით კი მისი დასრულებისას, სტუდენტთა დემოგრაფიული განწყობა და დემოგრაფიული ორიენტაციები



უკვე ჩამოყალიბებულია, რომელიც მცირედით შეიძლება შეიცვალოს მომავალში. რამდენადაც სტუდენტობას გავლენა აქვს დანარჩენ ახალგაზრდობაზე, შესაბამისად, მათი დემოგრაფიული განწყობა და ქცევა არ შეიძლება არ გავრცელდეს დანარჩენი ახალგაზრდობის დემოგრაფიულ განწყობასა და ქცევაზე. ამიტომ საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული განწყობის შესწავლა მეტად აქტუალურ საკითხად მიგვაჩნია.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში შეიქმნა საყოველთაო კრიზისი, რომელმაც მოიცვა ცხოვრების ყველა მხარე, მათ შორის დემოგრაფიული ურთიერთობები. უკიდურესად შემცირდა შობადობის დონე, რომელიც აკმაყოფილებდა მოსახლეობის მხოლოდ შეკვეცილი აღწარმოების მოთხოვნებს. მოსახლეობის ასეთი აღწარმოების რეჟიმის პირობებში მშობლების თაობა შვილების თაობის უფრო ნაკლები რიცხოვნობით იცვლებოდა. იყო წლები, როდესაც საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მატება ნულის ტოლი იყო. დღეისათვის დემოგრაფიული სიტუაცია ოდნავ გამოსწორდა. მშობელთა თაობას თანაბარი რიცხოვნობით ცვლის შვილების თაობა. მაგრამ მოსახლეობის აღწარმოების ასეთი რეჟიმი მიუღებელია საქართველოსთვის, რომლის რიცხოვნობაც 1992-2018 წლებში 5,5 მლნ-დან 3,7 მლნ-მდე შემცირდა. სტუდენტი ახალგაზრდობა საზოგადოების მნიშვნელოვანი ძალაა. მათი დემოგრაფიული განწყობის შესწავლა დიდად დაგვეხმარება საქართველოს დემოგრაფიული მომავლის პროგნოზირებაში. კვლევამ დამაიმედებელი შედეგები მოგვცა. სტუდენტებმა ოჯახში ბავშვთა სასურველ რიცხვად დაასახელა 2,97 ბავშვი, ხოლო მოსალოდნელ რიცხვად 2,83 ბავშვი, რომლებიც სრულად უზრუნველყოფს მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების რეჟიმს მომავალში მისი რეალიზების შემთხვევაში.

შვილიანობა ახალგაზრდობის პერეოგატივია, ხოლო ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი და გავლენიანი ნაწილი არის სტუდენტი ახალგაზრდობა. საქსტატის მონაცემებით, 2019 წელს სტუდენტთა რიცხოვნობამ შეადგინა 150,0 ათასი.

სტუდენტთა რიცხოვნობა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2011 წელს შეადგენდა 95,1 ათასს, ხოლო 2019 წელს 150,0 ათასს. სტუდენტების რიცხოვნობის ზრდის პარალელურად მოცემულ პერიოდში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (სახელმწიფო) რიცხვი 26-დან 19-მდე შემცირდა, თუმცა სტუდენტთა რიცხოვნობა საშუალოდ ერთ დაწესებულებაზე 4070-დან გაიზარდა 5048-მდე.

2018-2019 სასწავლო წლებში დაირღვა სტუდენტთა გენდერული ბალანსი. თუ 2000-2001 სასწავლო წლისათვის კაცები შეადგენდნენ 53,0%-ს, 2018-2019 წლებში – 48,7%-ს. საქართველოში ფუნქციონირებს სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლები. 2018-2019 წლისათვის 150,0 ათასი სტუდენტიდან კერძო უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდა 37,8 ათასი სტუდენტი, ანუ 25.2%.

თუ განვიხილავთ სტუდენტთა ასაკობრივ შემადგენლობას, აღმოჩნდება, რომ მათი 25,0% არის 24 წლის და უფროსი ასაკის. კერძოდ, 24 წლისაა სტუდენტების 8,9%, 25-29 წლის – 13,0%, 30-34 წლის -1,8%. 35 წლის და მეტი – 1,3%.

საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული და რეპროდუქციული განწყობის შესწავლას არაერთი კვლევა მიეძღვნა. მათ შორის უნდა აღვნიშნოთ მ. ტუხაშვილის, ა. თოთაძის, ვ. ლორთქიფანიძის, გ. ნულაძის, ე. მენაბდიშვილის, გ. მელაძის, ზ. გოქაძის, რ. გაჩეჩილაძის, თ. ლამბაშიძის, მ. ბეჭაიას, თ. ზუბიაშვილის, ზ. ცხოვრებაძის, ლ. ჭყონიას, მ. ჭიპაშვილის და სხვათა დამსახურება. ასე, მაგალითად, ზ. გოქაძის საკანდიდატო დისერტაცია მიეძღვნა საკუთრივ ახალგაზრდობის პრობლემებს. აღნიშნული საკითხის შესწავლის მიზნით მან გამოიკითხა ქალაქ თბილისის ქართული და რუსული სკოლების სხვადასხვა ეროვნების ორივე სქესის 6-17 წლის ასაკის მოსწავლეები.

უშუალოდ სტუდენტი ახალგაზრდობის რეპროდუქციული განწყობის შესწავლა მოახდინეს: პ. გუგუშვილმა და ნ. მენაბდიშვილმა. ასევე, დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის თანამშრომლებმა. მათ 2004-2005 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტით დაფინანსებული პროექტის ფარგლებში შეისწავლეს „სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული ქცევა,“ რომლის სამეცნიერო ხელმძღვანელიც იყო მ. ხმალაძე. მაგრამ სამივე ნაშრომი შესრულდა თბილისის მაგალითზე.

პირველი, ვინც განახორციელა სტუდენტი ახალგაზრდობის რეპროდუქციული განწყობის კვლევა, იყო აკადემიკოსი პ. გუგუშვილი. მან გამარტივებული ანკეტით შეისწავლა შეხედულებები ოჯახში ბავშვთა რაოდენობის შესახებ თსუ და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, კვლევის შედეგები გამოქვეყნდა პ. გუგუშვილის მონოგრაფიაში<sup>12</sup>. აღმოჩნდა, რომ ოჯახისათვის ბავშვთა იდეალურ რიცხვად მიიჩნია: 2 ბავშვი სტუდენტთა 7,1%-მა; 3 ბავშვი – 34,2%-მა; 4 ბავშვი – 49,4%-მა, ხუთი და მეტი ბავშვი – 9,3%-მა (პ. გუგუშვილი).

ისტორიაში პირველად, მთლიანად საქართველოს მასშტაბით, სტუდენტთა დემოგრაფიული განწყობის კვლევა ჩატარდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის მიერ 2019 წელს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის – „საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული განწყობა“ – ფარგლებში.

კვლევით მიღებული ინფორმაციიდან გამომდინარე, პროექტმა მიიღო შემდეგი სტრუქტურული სახე:

### *შესავალი*

<sup>1 2</sup> პაატა გუგუშვილი. საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები. თბ., 1973, გვ. 116.

თავი I. დემოგრაფიული განწყობის შესწავლის მეთოდოლოგიური საკითხები

თავი II. საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობის სოციალურ ეკონომიკური და დემოგრაფიული დახასიათება

თავი III. სტუდენტთა დემოგრაფიული ცოდნის დონე საქართველოში

თავი IV. სტუდენტების რეპრობდუქციული და ქორწინებითი განწყობა

თავი V. სტუდენტების მიგრაციული განწყობა

თავი VI. საქართველოს წინაშე მდგომი გამოწვევები სტუდენტების თვალსაზრისით

დასკვნები და რეკომენდაციები

გამოყენებული ლიტერატურა

დანართები.

## თავი I. დემოგრაფიული განწყობის შესწავლის მეთოდოლოგიური საკითხები

დემოგრაფიული განწყობის შესწავლა ეყრდნობა ცნობილი ქართველი პროფესორის დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიას. დ. უზნაძის თანახმად, ადამიანების ნებისმიერი განწყობა ყალიბდება გარემო სოციუმის გავლენით. განწყობა გარკვეული გარემო სიტუაციების ზეგავლენით რეალიზდება ადამიანის თუ ადამიანების ქცევაში. მსოფლიო ფსიქოლოგიის მეცნიერებაში ქართველმა პროფესორმა დიმიტრი უზნაძემ ღირსეულად დაიმკვიდრა თავი, როგორც მსოფლიო დონის მეცნიერმა. როგორც დ. უზნაძე აღნიშნავს, ყველა ცოცხალ არსებას, რა თქმა უნდა, ადამიანსაც, აქვს უფლება და უნარი გამრავლდეს. ყველა ცოცხალი არსებიდან განსხვავებით, ადამიანს გამრავლების უნარი ინსტიქტებამდე არ დაუყვანია.

დემოგრაფიული განწყობის და დემოგრაფიული ქცევის თეორია დიმიტრი უზნაძის განწყობის და ქცევის ზოგადფსიქოლოგიურ თეორიას ეყრდნობა, რომელიც გამოქვეყნდა 1940 წელს სახელმძღვანელოში – ზოგადი ფსიქოლოგია. აღნიშნული სახელმძღვანელო კიდევ გამოიცა 2006 წელს.<sup>1</sup> ასევე, 2011 წელს გამოქვეყნდა დიმიტრი უზნაძის ფუნდამენტური მონოგრაფია – განწყობის ფსიქოლოგია, მეოთხე გამოცემა.<sup>2</sup>

პროფესორ დ. უზნაძის ფსიქოლოგიის თეორიიდან გამომდინარე, ნებისმიერი დემოგრაფიული შემთხვევის, ფაქტის, განხორციელება ადამიანის მიერ განპირობებულია გარკვეული გარემოებებით და რეალიზდება გააზრებულად, შეგნებულად. დ. უზნაძემდე კავშირს გარემოებებსა და ცოცხალ ორგანიზმებს შორის ხსნიდნენ მარტივად, ორი ნევრით: გარემო – ქცევა. უზნაძემ მათ შორის ჩართო მესამე – განწყობა.

ყოველივე ცოცხალი, აღნიშნავდა დ. უზნაძე, ჩართულია მიზეზ-შედეგთა უწყვეტ ჯაჭვში და იმისთვის, რომ მასში რაიმე მოვლენის გაგება მოახერხო, უთუოდ მისი მიზეზი უნდა გამოიხატოს. ერთი სიტყვით, ყველაფერი მიზეზით არის განსაზღვრული. ყოველი ცოცხალი არსებისათვის, მეტად თუ ნაკლებად რთული ორგანიზმისათვის, ძირითადად მიზანშეწონილი ქცევაა დამახასიათებელი. ჩვენი პრობლემა, მაშასადამე იმაში მდგომარეობს, რომ გავარკვიოთ თუ როგორაა შესაძლებელი, რომ ორგანიზმის, როგორც მატერიის ერთ-ერთი ფორმის ქცევა უდაოდ მიზეზობრივად იყოს განსაზღვრული, მაგრამ იმავე დროს მიზანშეწონილობითაც ხასიათდებოდეს. უდაოა, ქცევის ეს ნიშანი, მიზანშეწონილი ხასიათი, ცოცხალი ორგანიზმის რომელიღაც განსაკუთრებით სპეციფიკური თავისებურებებიდან უნდა გამომდინარეობდეს.

<sup>1</sup> ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 2006.

<sup>2</sup> დიმიტრი უზნაძე. განწყობის ფსიქოლოგია. მეოთხე გამოცემა. თბ., 2011.

ცოცხალ ორგანიზმს, აღნიშნავს დ. უზნაძე, ის გარემოება ახასიათებს, რომ იგი ყოველთვის რაიმე მოთხოვნილების მატარებელია. ცოცხალ ორგანიზმს ორი თავისებურება აქვს: ერთი – მიზანშეწონილი ქცევა და მეორე – მოთხოვნილება. ცოცხალი ორგანიზმი იკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

ქცევას წინ უსწრებს სუბიექტის მდგომარეობა. ეს სპეციფიკური მდგომარეობაა – განწყობა. სანამ ცოცხალი არსება საზოგადოდ რაიმე მნიშვნელოვან ქცევას ჩაიდენდეს, უკვე მანამდეა მოტივირებული, რომ მან სწორედ ეს ქცევა უნდა ჩაიდინოს. სხვანაირად: სანამ ცოცხალი არსება რაიმე ქცევას მიმართავდეს, მას უკვე მანამდე აქვს ეს ქცევა განწყობის სახით მოცემული. ამის შემდეგ დ. უზნაძე განმარტავს, რომ განწყობა არის სპეციფიკური მდგომარეობა, რომელიც ჩნდება სუბიექტში მოთხოვნილების დაკმაყოფილების ობიექტური სიტუაციის ზეგავლენის შედეგად. განწყობის როლი ადამიანის ქცევის პროცესში ძალიან დიდია. მაგრამ ის უდიდესი მიღწევები, რომელიც ადამიანს აქვს მოპოვებული, განწყობის უშუალო გავლენით მაინც არ აიხსნება. ადამიანის სპეციფიკური თავისებურება და იმავე დროს მისი უდიდესი მონაპოვარი სწორედ ისაა, რომ მას ძალა შესწევს, თავისი ქცევა განწყობის უშუალო ბატონობას ხელიდან გამოგლიჯოს, რათა იგი ცნობიერების აქტივობით გაშუალებულ განწყობას დაუმორჩილოს: ცნობიერება ადამიანის ქცევის უსპეციფიკურესი ფაქტორია.

დემოგრაფიული ქცევა დაკავშირებულია ნებელობასთან. ნებელობა, აღნიშნავს დ. უზნაძე, არის ადამიანთა ქცევა, რომელიც დამოკიდებულია მის ნებაზე. ნებელობა მხოლოდ იმას ეხება, რის შესრულებაც ჩვენს ნებაზეა დამოკიდებული. ხოლო, რაც ჩვენთვის ხელმიუწვდომელია, ის ნებელობის საგანს არასოდეს შეადგენს. ნამდვილს, ნებისმიერ ქცევას, დასძენს დ. უზნაძე, ყოველთვის თან ახლავს ერთგვარი განცდა, რომ ამის გაკეთება შეგძლია, რომ ამის შესრულება ჩვენს ხელთაა. ეს განცდა დამახასიათებელია ნებელობის პროცესისათვის.

დემოგრაფიული განწყობა არის ადამიანების შეხედულებების, დამოკიდებულებების კომპლექსი დემოგრაფიული პროცესების მიმართ. დემოგრაფიული განწყობა იყოფა რამდენიმე კონკრეტულ მიმართულებად, კერძოდ:

- რეპროდუქციული განწყობა – დამოკიდებულება ოჯახში შვილიანობის მიმართ;
- ქორწინებითი განწყობა – დამოკიდებულება ქორწინების ინსტიტუტის მიმართ;
- მიგრაციული განწყობა – დამოკიდებულება მოსახლეობის ტერიტორიული გადაადგილების მიმართ.

აღნიშნული საკითხების შესწავლისა და შესაბამისად პროექტის შესრულების მიზნით პროექტის მონაწილეების მიერ შედგა დამოკითხვის ანკეტა, რომელიც გადაეგზავნა რესპონდენტებს. კითხვარში გათვალისწინ-

ნებული იყო სტუდენტთა ისეთი მახასიათებლები, როგორცაა: სქესი, ასაკი, დაბადების ადგილი, ოჯახური მდგომარეობა, ეროვნება, ოჯახის შემოსავალი, რელიგიურობა, დამოკიდებულება საქართველოსთვის უმთავრესი გამოწვევის მიმართ, დემოგრაფიული ვითარების ცოდნა, შეხედულება შვილიანობაზე, მათი მშობლების და პაპა-ბებიების შვილების რიცხვი, შეხედულება ქორწინებაზე, ბავშვის ყოლის მასტიმულირებელი და ხელშემშლელი ფაქტორები, პოტენციური მიგრაციის საკითხები და სხვ. ანკეტამ მოიცვა 35 კითხვა თავისი მრავალფეროვანი ქვეკითხვებით.

კვლევის ანკეტები დაეგზავნათ შემდეგი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს:

- ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სხვა.

სულ გამოიკითხა 2452 სტუდენტი, მათ შორის – 1732 ქალი, 710 კაცი. აღნიშნული ერთობლიობა, 95 პროცენტის სანდოობით, სრულად აკმაყოფილებს შერჩევითი ერთობლიობის ფორმირების წინაშე წაყენებულ მოთხოვნებს. მასალები დამუშავდა კომპიუტერზე SPSS პროგრამით. პირველადი შედეგობრივი ცხრილები ამოიბეჭდა 248 გვერდზე, რომელთა ანალიზსაც ეყრდნობა მიღებული შედეგები.

## თავი II. სტუდენტების სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების სტატისტიკური ანალიზი

დემოგრაფიულ მოვლენებსა და პროცესებზე პირდაპირი სახელმწიფო-ებრივი ზემოქმედება შეზღუდულია. ამიტომ, რთულია საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის მისაღები რეპროდუქციული განწყობისა და მისი შესაბამისი დემოგრაფიული ქცევის განსაზღვრა. საკითხი უფრო სენსიტიური ხდება, როდესაც საქმე სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიულ განწყობას ეხება არსებული არცთუ სახარბიელო დემოგრაფიული ვითარების ფონზე. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია არა მარტო ახალგაზრდობის შეხედულებების მრავალგვარობა მოსალოდნელ დემოგრაფიულ ქცევაზე, არამედ მათი დემოგრაფიული განწყობის განმსაზღვრელი ოჯახური, ეროვნული, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორების, რელიგიური ტრადიციების მრავალფეროვნება და სხვა ცხოვრებისეულ ფასეულობათა ორიენტაცია. სტუდენტების დემოგრაფიული განწყობის სტატისტიკური შეფასება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი ინფორმაციული უზრუნველყოფის პირობებში. სწორედ ამ ინფორმაციული ბაზის ფორმირებას ემსახურება ჩვენ მიერ გამოკვლეული სტუდენტების სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები.

მიზნობრივი კვლევითი პროექტის – „საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული განწყობა“ – ფარგლებში განხორციელდა სტუდენტების სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის მოპოვება ანკეტური მეთოდით და მისი სტატისტიკური ანალიზი. კითხვარის დიზაინმა საშუალება მოგვცა ამომწურავი ინფორმაცია მიგველო როგორც რესპონდენტთა დემოგრაფიული მახასიათებლების, როგორცაა სქესი, ასაკი, დაბადების ადგილი, უმაღლესი სასწავლებელი, სწავლის საფეხური, ქორწინებითი სტატუსი, ეროვნება, ისე სოციალური სტატუსების შესახებ – შემოსავლის დონე, შეხედულებები და მოლოდინები საზოგადოებისთვის საჭირობოროტო სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით.


კვლევაში მონაწილე 2452 რესპონდენტიდან, რომელთა შერჩევა მოხდა გუგლის ელექტრონული აპლიკაციის საშუალებით შემთხვევითი შერჩევით, მონაწილეობდა 1732 ქალი (ვალიდური პროცენტი 70.9) და 710 კაცი (ვალიდური პროცენტი 29.1). კვლევაში მონაწილე რესპონდენტების სქესობრივი თანაფარდობა არ არის პროპორციული და სავარაუდოდ, პასუხები უმეტესწილად ქალების პოზიციით არის განპირობებული, რადგან მათი რაოდენობა თითქმის 2.5-ჯერ აღემატება მამაკაცებისას. ზოგადად, ელექტრონული ანკეტური გამოკითხვების სიმარტივეს, რომელიც საგრძნობლად ამსუბუქებს რესპონდენტის ტვირთს, თან ახლავს სქესთა შორის არაპროპორციული გადანაწილება, რაც ჩვენ შემთხვევაში, მამა-



კაცთა აბსოლუტურ და შეფარდებით სიმცირეში გამოიხატა, თუმცა ეს არ მეტყველებს შერჩევის არარეპრეზენტატიულობაზე.

ასაკობრივი ნიშნით რესპონდენტების დაჯგუფება მოხდა ოთხ ჯგუფად, მათ შორის: 19 წლამდე, 20 – 24; 25 – 29 და 30 წლისა და ზევით. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე მრავალრიცხოვანი აღმოჩნდა 20 – 24 წლიანთა ასაკობრივი ჯგუფი, ხოლო უმცირესობაში აღმოჩნდა 30 წელზე მაღალი ასაკის რესპონდენტები. რესპონდენტი ქალების საშუალო ასაკია 21,3 წელი, ხოლო მამაკაცების – 20,9.

**ნახაზი 1. რესპონდენტების განაწილება ასაკის მიხედვით\*, %**



\* აქ და ქვემოთ ყველა ნახაზი აგებულია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

სქესის მიხედვით ასაკობრივმა განაწილებამ გვიჩვენა, რომ მდებრობითი სქესის რესპონდენტების სიხშირეები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (0.26; 0.64; 0.08; 0.02) მკვეთრად განსხვავდება მამაკაცებისგან, სადაც ასაკობრივ ჯგუფებში განაწილება შედარებით თანაბარზომიერია (0.32; 0.59; 0.27; 0.1). ორივე სქესის შემთხვევაში მაღალია რესპონდენტთა თავმოყრა 20 – 24 წლიანთა ჯგუფში, თუმცა საერთო ჯამში, 19 – 24 წლიანთა გამსხვილებულ ინტერვალში თავმოყრილია როგორც ქალების, ისე მამაკაცების 90%.

**ცხრილი 1. რესპონდენტების განაწილება ასაკობრივ ჯგუფებში სქესის მიხედვით \***

სქესი	ასაკი				სულ
	- 19	20 – 24	25 – 29	30 –	
მდ მდრობითი	445	1112	140	35	1732
	(0.26)	(0.64)	(0.08)	(0.02)	
მამრობითი	230	420	50	10	710
	(0.32)	(0.59)	(0.27)	(0.1)	
სულ	675	1532	190	45	2442


\* აქ და ქვემოთ ყველა ცხრილი აგებულია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.




რესპონდენტების დაჯგუფებამ დაბადების ადგილის მიხედვით აჩვენა, რომ მათი უმეტესობა ქალაქად არის დაბადებული, თუმცა სოფლად დაბადებულთაგან შეიძლება ბევრი მათგანი ქალაქად აგრძელებდეს ცხოვრებას.

**ნახაზი 2.** რესპონდენტების განაწილება დაბადების ადგილის მიხედვით, %

სქესის მიხედვით დაჯგუფებული რესპონდენტების განაწილებამ დაბადების ადგილის მიხედვით აჩვენა, რომ ქალაქად დაბადებული გოგონები 3-ჯერ აღემატებიან სოფლად დაბადებულების რიცხოვნობას, ხოლო ვაჟები – 2.5-ჯერ.




**ნახაზი 3.** რესპონდენტების განაწილება სქესისა და დაბადების ადგილის მიხედვით



ასაკისა და დაბადების ადგილის კროსტაბულაციით დადგინდა, რომ ქალაქად დაბადებულთა ხვედრითი წილი ყველა ასაკობრივ ჯგუფში


თითქმის სამჯერ მაღალია სოფლისაზე, ხოლო 25-29 წლიანთა ჯგუფში – თითქმის 4-ჯერ.

**ნახაზი 4.** ასაკის მიხედვით დაჯგუფებული რესპონდენტების განაწილება ქალაქად



კითხვაზე, უმაღლესი განათლების თუ რომელ საფეხურზე იმყოფებოდნენ, რესპონდენტთა გადამწყვეტმა უმრავლესობამ შემოხაზა ბაკალავრიატი (81.7), ხოლო 18.4%-მა მაგისტრატურა და დოქტორანტურა.


**ნახაზი 5.** რესპონდენტების განაწილება უმაღლესი განათლების საფეხურის მიხედვით, %



ბაკალავრიატის სტუდენტთა შორის 70% ქალია, მაგისტრატურის საფეხურზე – 69, ხოლო დოქტორანტურაში – 80%.


როგორც მოსალოდნელი იყო, უმაღლესი სასწავლებლების მიხედვით რესპონდენტები არათანაბრად გადანაწილდნენ. დიდი აქტივობა გამოიჩინეს თსუ-სა და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებმა, ყველაზე ნაკლები კი – თელავისა და ბათუმის უნივერსიტეტების სტუდენტებმა. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს კერძო უნივერსიტეტების სტუდენტებმაც (კატეგორიაში „სხვა“).

**ნახაზი 6.** რესპონდენტების განაწილება უმაღლესი განათლების დაწესებულების ადგილმდებარეობის მიხედვით, %



სქესის მიხედვით დაჯგუფებულ რესპონდენტ სტუდენტთა შორის ყველაზე ოპტიმალური თანაფარდობა ტექნიკურ უნივერსიტეტშია (გოგონები მხოლოდ 1.2-ჯერ აღემატებიან ვაჟებს), ხოლო ყველაზე დიდი დისპროპორცია სქესთა შორის სამცხეშია (გოგონები 5.5-ჯერ აღემატებიან ვაჟებს).

**ნახაზი 7.** სქესის მიხედვით დაჯგუფებული რესპონდენტების განაწილება უმაღლესი სასწავლებლების მდებარეობის მიხედვით




ასაკის მიხედვით დაჯგუფებული რესპონდენტების განაწილებამ საშუალება მოგვცა უმაღლესი სასწავლებლების მიხედვით დაგვედგინა მონაწილეთა საშუალო ასაკი.

**ცხრილი 2.** ასაკის მიხედვით დაჯგუფებული რესპონდენტების განაწილება უმაღლესი სასწავლებლების მიხედვით

ასაკი თსუ	უმაღლესი სასწავლებელი						
	ქუთაისი	ბათუმი	თელავი	ტყეპნიკური	სამცხე	სხვა	
-19	465	120	5	5	10	25	45
20	857	315	50	40	55	165	50
-24							
25	100	20	5	5	10	5	45
-29							
30 –	15	5	0	5	5	0	15
სულ	1437	460	60	55	80	195	155


ყველაზე ახალგაზრდა რესპონდენტები დაფიქსირდა თსუ-ში, ხოლო კითხვარის ჩამონათვალში „სხვა“ უნივერსიტეტების კატეგორიაში საშუალო ასაკი ყველაზე მაღალია.

**ნახაზი 8.** საშუალო ასაკის მიხედვით დაჯგუფებული რესპონდენტების განაწილება უმაღლესი სასწავლებლების მიხედვით



სტუდენტების ქორწინებითი სტატუსი შესწავლილ იქნა სამი კატეგორიის მიხედვით – დაუქორწინებელი, დაქორწინებული და განქორწინებული. დაუქორწინებელი სტუდენტები რესპონდენტთა უმრავლესობას შეადგენენ. დაქორწინებულ სტუდენტთა შორის ქალების წილი 94%-ია.

**ნახაზი 9.** სქესის მიხედვით დაჯგუფებული რესპონდენტების განაწილება ქორწინებითი სტატუსის მიხედვით, %



ასაკის მიხედვით დაჯგუფებული რესპონდენტების ქორწინებითი სტატუსის შესწავლამ დაგვანახა, რომ განქორწინებული რესპონდენტები ფიქსირდება 19 წლამდე და 25 – 29 წლიანთა ინტერვალებში (5; 5), ხოლო 20 – 24 წლიანთა და 30 და ზევით ინტერვალებში მხოლოდ დაქორწინებული სტუდენტები მოხვდნენ, რომელთა ოდენობამ შესაბამისად შეადგინა 95 და 30.

**ცხრილი 3.** ასაკის მიხედვით დაჯგუფებული რესპონდენტების განაწილება ქორწინებითი სტატუსის მიხედვით

ასაკი	სტატუსი ქორწინებაში			სულ
	დაუქორწინებელი	დაქორწინებული	განქორწინებული	
-19	665	5	5	675
20 – 24	1437	95	0	1532
25 – 29	135	50	5	190
30 –	15	30	0	45
სულ	2252	180	10	2442

დაბადების ადგილის მიხედვით რესპონდენტების დაჯგუფებით ვნახეთ, რომ დაუქორწინებელთა და დაქორწინებულთა უმეტესობა ქალაქად არის დაბადებული,

ხოლო განქორწინებულები თანაბრად არიან განაწილებული დაბადების ადგილის მიხედვით.

**ცხრილი 4.** დაბადების ადგილის მიხედვით დაჯგუფებული რესპონდენტების განაწილება ქორწინებითი სტატუსის მიხედვით

დაბადების ადგილი	სტატუსი ქორწინებაში						სულ
	დაუქორწინებელი	%	დაქორწინებული	%	განქორწინებული	%	
ქალაქი	1677	74	140	78	5	50	1822
სოფელი	575	26	40	22	5	50	620
სულ	2252	100	180	100	10	100	2442


უმალესი განათლების საფეხურის მიხედვით განაწილებულ რესპონდენტთა შორის, დაუქორწინებელთა ხვედრითი წილი მაღალია ბაკალავრთა შორის (94.7%), დაქორწინებულთა კი – დოქტორანტთა შორის (41.7%), განქორწინებულთა ხვედრითი წილი უმნიშვნელოა, თუმცა მაინც გვხვდება მხოლოდ ბაკალავრთა შორის (0.5%).

**ცხრილი 5.** რესპონდენტების განაწილება სწავლის საფეხურისა და ქორწინებითი სტატუსის მიხედვით

სწავლის საფეხური	სტატუსი ქორწინებაში			სულ
	დაუქორწინებელი	დაქორწინებული	განქორწინებული	
ბაკალავრიატი	1885	95	10	1990
	94.7%	4.8%	0.5%	100
მაგისტრატურა	332	55	0	387
	85.8%	14.2%	0	100
დოქტორანტურა	35	25	0	60
	58.3%	41.7%	0	100
სულ	2252	175	10	2437

გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობამ მიუთითა ეროვნება ქართველი (93.2%), დანარჩენი ეროვნებებიდან წარმოდგენილი იყო კლებადი თანმიმდევრობით სომეხი, აზერბაიჯანელი, რუსი და იეზიდის ეროვნების სტუდენტობა. როგორც ქართველ, ისე სომეხ და აზერბაიჯანელ რესპონდენტთა შორის ქალები 2-ჯერ და მეტჯერ სჭარბობენ მამაკაცებს, გამოკითხულთა შორის ყველა რუსი მამრობითი სქესისაა, ხოლო იეზიდი – მდედრობითი სქესის წარმომადგენელია.

**ნახაზი 10. რესპონდენტების განაწილება ეროვნების მიხედვით, %**




ასაკის მიხედვით დაჯგუფებული რესპონდენტების განაწილებამ ეროვნების მიხედვით გვიჩვენა, რომ აზერბაიჯანელი რესპონდენტები მხოლოდ 20-24 წლისანი არიან, რუსები და იეზიდები 19 წლამდე, სომხები 19 წლამდე და 20-24 წლისანი, ხოლო ქართველები არათანაბრად, თუმცა ყველა ასაკობრივ ინტერვალში არიან განაწილებულნი.

**ცხრილი 6. რესპონდენტების განაწილება ასაკისა და ეროვნების მიხედვით**

ასაკი	ეროვნება					სულ
	ქართველი	სომეხი	აზერბაიჯანელი	რუსი	იეზიდნი	
-19	635	30	0	5	5	675
20 – 24	1407	110	15	0	0	1532
25 – 29	190	0	0	0	0	190
30 –	45	0	0	0	0	45
სულ	2277	140	15	5	5	2442


გამოკითხულ სტუდენტთა 2/3 მიიჩნევს, რომ მისი ოჯახი საშუალო-შემოსავლიანია, 22.6 პროცენტი დაბალშემოსავლიანად მიიჩნევს თავს, ხოლო 2.3 პროცენტი აფიქსირებს მაღალ შემოსავლებს.

**ნახაზი 11.** რესპონდენტების განაწილება შემოსავლების მიხედვით, %



აღსანიშნავია, რომ გამოკითხულ მამაკაცთა მეტი რაოდენობა აკუთვნებს თავს დაბალშემოსავლიან (3.9%) და მაღალშემოსავლიან (0.8%) კატეგორიებს ქალებთან შედარებით, ხოლო ქალების უფრო მეტი რაოდენობა მიიჩნევს თავს საშუალო შემოსავლის მქონედ (4.6%).


**ნახაზი 12.** სქესის მიხედვით დაჯგუფებული რესპონდენტების განაწილება შემოსავლების დონის მიხედვით, %



ასაკის მიხედვით, 20 – 24 წლიან ასაკობრივ ინტერვალში ყველაზე მეტი რესპონდენტი აიდენტიფიცირებს თავს საშუალო, დაბალ და მაღალშემოსავლიან ჯგუფებთან, მას მოსდევს 25 – 29 წლამდე ასაკობრივი ჯგუფი.



**ნახაზი 13.** რესპონდენტების განაწილება ასაკისა და შემოსავლების დონის მიხედვით



დაბადების ადგილის მიხედვით ყველაზე დიდი დისპროპორცია შეიმჩნევა მაღალშემოსავლიანთა ჯგუფში (ქალაქად დაბადებულთა ხვედრითი წილი ამ ჯგუფში 4.5-ჯერ აჭარბებს სოფლად დაბადებულთა წილს).

**ცხრილი 7.** რესპონდენტების განაწილება დაბადების ადგილისა და შემოსავლების დონის მიხედვით

დაბადების ადგილი	შემოსავლების დონე						სულ
	დაბალ-შემოსავლიანი	%	საშუალო შემოსავლიანი	%	მაღალშემოსავლიანი	%	
ქალაქი	360	65.5	1412	77.3	45	81.8	1817
სოფელი	190	34.5	415	22.7	10	18.2	615
სულ	550	100	1827	100	55	100	2432

უმალესი სასწავლებლის საფეხურის მიხედვით, დოქტორანტურისა და ბაკალავრიატის საფეხურებზე ძალიან მაღალია საშუალოშემოსავლიანთა წილი (91.7% და 75.8% შესაბამისად), ხოლო მაგისტრატურაში შედარებით მაღალია დაბალშემოსავლიანთა წილი (27.1%).

**ცხრილი 8. რესპონდენტების განაწილება სწავლის საფეხურისა და შემოსავლების დონის მიხედვით**

სწავლის საფეხური	შემოსავლების დონე						სულ
	დაბალ-შემოსავლიანი	%	საშუალო შემოსავლიანი	%	მაღალ-შემოსავლიანი	%	
ბაკალავრიატი	440	22.2	1500	75.8	40	2.0	1980
მაგისტრატურა	105	27.1	267	69.0	5	3.9	387
დოქტორანტურა	5	8.3	55	91.7	0	0.0	60
სულ	550		1822		55		2427

ქორწინებითი სტატუსის მიხედვით დაჯგუფებულ რესპონდენტთა შორის შემოსავლის ყველა კატეგორიაში სჭარბობს დაუქორწინებელი სტუდენტობა, რომელთა 75% საშუალოშემოსავლიანია, 23% – დაბალშემოსავლიანი, ხოლო 2% – მაღალშემოსავლიანი.

დაბალშემოსავლიანთა შორის 94.5% დაუქორწინებელია, საშუალოშემოსავლიანთა შორის 92.6%, ხოლო მაღალშემოსავლიანებში 54.5%. დაქორწინებულთა ყველაზე მაღალი სიხშირე მაღალშემოსავლიანებშია 36.4%, ასევეა განქორწინების შემთხვევაში – ეს კატეგორია სჭარბობს კვლავ მაღალშემოსავლიან ჯგუფში (9.1%).


**ცხრილი 9. ქორწინებითი სტატუსის მიხედვით დაჯგუფებული რესპონდენტების განაწილება შემოსავლების დონის მიხედვით**

სტატუსი ქორწინებაში	შემოსავლების დონე						სულ
	დაბალ-შემოსავლიანი	%	საშუალოშემოსავლიანი	%	მაღალ-შემოსავლიანი	%	
დაუქორწინებელი	520	94.5	1692	92.6	30	54.5	2242
დაქორწინებული	25	4.5	135	7.4	20	36.4	180
განქორწინებული	5	0.9	0	0.0	5	9.1	10
სულ	550		1827		55		2432

იმ ფაქტორთა შორის, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ სტუდენტების დემოგრაფიულ განწყობაზე (ბუნებრივ-ბიოლოგიური, დემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური, ფსიქოლოგიური, ყოფით-კულტურული, რელიგიური და პოლიტიკურიც კი), კვლევა საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ და შევავსოთ ისეთი მონაცემები, რომლებიც რესპონდენტებისგან მოითხოვს მათი იდენტობის სრულ გაცნობიერებას. კერძოდ, ეს საკითხებია სტუდენტების დამოკიდებულება რელიგიური რწმენის, ქალისა და მამაკაცის გენდერული თანასწორობისა და ლგბტქი თემისადმი.

ზოგადად, შობადობაზე განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენს როგორც რელიგიური მრწამსი, ისე მის შედეგად ჩამოყალიბებული ტრადიციები. მსოფლიოში გავრცელებული ყველა რელიგია ემხრობა საზოგადოებაში მაღალი შობადობის არსებობას და მისი თავიდან აცილების ხელოვნური ხერხების (მაგ., აბორტების) წინააღმდეგ ილაშქრებს. ზოგიერთ ქვეყანაში რელიგიების მიერ მრავალშვილიანობის ინსტიტუტის მხარდაჭერა იმდენად ძლიერია, რომ ეს სახელმწიფო პოლიტიკაზეც აისახება. საქართველოში კი, როგორც დემოგრაფები ფიქრობენ, შობადობის ზრდას პატრიარქის მიერ მშობლების მოტივირებამაც შეუწყო ხელი. როგორც კვლევიდან ჩანს, სტუდენტების უდიდესი ნაწილი (78.7%) მორწმუნეა, ყოველი მეხუთე კი თავს არარელიგიურ პიროვნებად თვლის.

**ნახაზი 14.** რესპონდენტების განაწილება რელიგიურობის მიხედვით, %



ამასთან, სტუდენტ ქალებში 15%-ით მეტი მორწმუნეა მამაკაცებთან შედარებით. ასაკის მიხედვით, მორწმუნეთა ყველაზე მაღალი წილი – 81.3% დაფიქსირდა 20-24 წლიანთა ინტერვალში, ხოლო ყველაზე ნაკლებად რელიგიური აღმოჩნდა 25-29 წლიანთა ჯგუფი – 31.6%.

**ცხრილი 10.** რესპონდენტების განაწილება ასაკისა და რელიგიურობის მიხედვით

		ხართ თუ არა რელიგიური				სულ
		დაიხ	%	არა	%	
ასაკი	-19	510	75.6	165	24.4	675
	20 – 24	1242	81.3	285	18.7	1527
	25 – 29	130	68.4	60	31.6	190
	30 –	35	77.8	10	22.2	45
სულ		1917		520		2437

დაბადების ადგილის მიხედვით, სოფლად დაბადებულები უფრო მაღალი რელიგიურობით გამოირჩევიან (84.6%), ხოლო არარელიგიურობით – ქალაქად დაბადებულები (23.3%).

**ცხრილი 11. რესპონდენტების განაწილება დაბადების ადგილისა და რელიგიურობის მიხედვით**

დაბადების ადგილი	ხართ თუ არა რელიგიური				სულ
	დიახ	%	არა	%	
ქალაქი	1397	76.7	425	23.3	1822
სოფელი	520	84.6	95	15.4	615
სულ	1917		520		2437


სწავლის საფეხურის მიხედვით რელიგიურობის შესწავლამ დაგვანახა, რომ ის იკლებს სწავლების საფეხურის მატებასთან ერთად და დოქტორანტურის საფეხურზე არარელიგიურ რესპონდენტთა წილი 41.7%-მდე იზრდება.

**ცხრილი 12. რესპონდენტების განაწილება უმაღლესი სასწავლებლის საფეხურისა და რელიგიურობის მიხედვით**

უმაღლესი სასწავლებლის საფეხური	ხართ თუ არა რელიგიური				სულ
	დიახ	%	არა	%	
ბაკალავრიატი	1585	79.8	400	20.2	1985
მაგისტრატურა	297	76.7	90	23.3	387
დოქტორანტურა	35	58.3	25	41.7	60
სულ	1917		515		2432

ქორწინებითი სტატუსის მიხედვით დაჯგუფებულ რესპონდენტთა შორის რელიგიურობა საინტერესო ვარიაციით ხასიათდება. კერძოდ, სტატუსი რელიგიური მიუთითა განქორწინებულთა 100%-მა, დაქორწინებულთა 86.1% და დაუქორწინებელთა 78.0%-მა.

**ნახაზი 15. რესპონდენტების განაწილება უმაღლესი სასწავლებლის საფეხურისა და რელიგიურობის მიხედვით, %**



მართლმადიდებელ მორწმუნეთა ოჯახური ფასეულობებისა და დემოგრაფიული ორიენტაციების კვლევამ<sup>1</sup> აჩვენა, რომ ბავშვების რაოდენობის მიხედვით დაყოფილი ოჯახების სამივე ჯგუფში<sup>2</sup> უმეტესობას შეადგენენ მცირეშვილიანები 1-2 ბავშვით. ამასთან, არაეკლესიურად მცხოვრებ რესპონდენტებში მათი წილი 60,79%-ია. მათ შორის, ვინც იწყებს ეკლესიურ ცხოვრებას – 68,04%, ხოლო ეკლესიურად მცხოვრებთა შორის მათი ხვედრითი წილი წინა ორ ჯგუფთან შედარებით უფრო ნაკლებია (52,89%). საშუალოშვილიანი ოჯახები უფრო მეტად დამახასიათებელია ეკლესიურად მცხოვრები რესპონდენტებისთვის (42%), ხოლო ყველაზე ნაკლებად – არაეკლესიურებისთვის (15,9%). რაც შეეხება იმ რესპონდენტებს, რომლებიც მხოლოდ იწყებენ ეკლესიურ ცხოვრებას, მათთან საშუალოშვილიანი ოჯახები 21,64%-ს შეადგენს. აღნიშნულის საფუძველზე იკვეთება ტენდენცია, რომ ეკლესიური ცხოვრების წესი გარკვეულ გავლენას ახდენს ოჯახში შვილთა რაოდენობაზე, კერძოდ, ეკლესიურად მცხოვრებ რესპონდენტებს უფრო მეტად ახასიათებთ საშუალოშვილიანობა და შედარებით მეტად უზრუნველყოფენ მოსახლეობის მარტივ კვლავწარმოებას. მრავალშვილიანობა ნაკლებად არის დამახასიათებელი როგორც ეკლესიური, ისე არაეკლესიური ცხოვრების წესის მქონე რეს-

<sup>1</sup> ნინო ჩიკვილაძე. მართლმადიდებელ მორწმუნეთა ოჯახური ფასეულობები და დემოგრაფიული ორიენტაციები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი, დისერტაცია, თბილისი, 2006, გვ. 64. <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000058/Disertacia%20pdf.pdf>


<sup>2</sup> დემოგრაფიაში გამოიყენება ოჯახების შემდეგი ტიპოლოგია ბავშვების რაოდენობის მიხედვით: მცირეშვილიანი (ოჯახი 1-2 ბავშვით – ასეთი ოჯახი არა არის საკმარისი მოსახლეობის მარტივი კვლავწარმოებისთვისაც); საშუალოშვილიანი (ოჯახი 3-4 ბავშვით – ასეთი ოჯახი უზრუნველყოფს მოსახლეობის მხოლოდ მარტივ კვლავწარმოებას); მრავალშვილიანი – ოჯახი 5 და მეტი ბავშვით (ვ. ბორისოვი დემოგრაფია; 2001; გვ. 257)

პონდენტებისთვის. კვლევის საფუძველზე, 5 და მეტპეტილიანი აღმოჩნდა ეკლესიურად მცხოვრები რესპონდენტების 1,25%, ხოლო არაეკლესიურების 1,14%.

2016 წელს ფრიდრიხ ებერტის ფონდმა გამოაქვეყნა კვლევა „თაობა გარდამავალ პერიოდში“<sup>3</sup>, რომელიც პოსტსაბჭოთა საქართველოში ახალგაზრდების მდგომარეობას ეხებოდა. კვლევა მიმოიხილავს ახალგაზრდების განწყობებსა და დამოკიდებულებებს სხვადასხვა საკითხისადმი. კვლევაში გამოვლენილი განწყობების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ რესპონდენტებში რელიგიური იდენტობა მძლავრობს ნაციონალურ იდენტობაზე, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს აღნიშნული ფაქტორის მნიშვნელობას სტუდენტების დემოგრაფიული განწყობის ფორმირებაში.

რაც შეეხება გენდერული თანასწორობის იდეას, კითხვაზე, ემხრობით თუ არა ქალისა და მამაკაცის გენდერულ თანასწორობას, 62.7 პროცენტმა დადებითი პასუხი გასცა, ნაწილობრივ ემხრობა 35.4 პროცენტი, ხოლო სტუდენტების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილმა დააფიქსირა ამ საკითხისადმი უარყოფითი დამოკიდებულება, 1.8 პროცენტმა.

**ნახაზი 16.** რესპონდენტების განაწილება გენდერული თანასწორობის მიხედვით, %



ქალისა და მამაკაცის გენდერულ თანასწორობას უმრავლესობა ემხრობა, თუმცა ეს 16%-ით ნაკლებია მორწმუნე კონტინენტთან შედარებით, ხოლო გენდერული თანასწორობის ნაწილობრივ მომხრეთა საკმაოდ მაღალი წილი (35.4%) მონინალმდეგებთან შედარებით საგულისხმოა და ბევრ კითხვას აჩენს. არ არის გამორიცხული, რომ ქალისა და მამაკაცის თანასწორობისადმი ნაწილობრივი მიმხრობის ქვეშ (რაც თავისთავად საკმაოდ ბუნდოვანი ასახსნელია) ამ იდეის მონინალმდეგე რესპონდენტი იდგეს. ასეთი ვარიაციები გენდერული თანასწორობის მიხედვით დაჯგუფებული რესპონდენტების სექსობრივ განაწილებაში უფრო აშ-

<sup>3</sup> ფრიდრიხ ებერტის ფონდი. თაობა გარდამავალ პერიოდში. ახალგაზრდობის კვლევა 2016 – საქართველო, თბილისი, 2017. [http://www.fes-caucasus.org/fileadmin/Publications/2016/Geo\\_YouthStudy\\_Georgia\\_Web.pdf](http://www.fes-caucasus.org/fileadmin/Publications/2016/Geo_YouthStudy_Georgia_Web.pdf)

კარად იკვეთება. მაგალითად, ქალებში დიაპაზონი (31.2%) გენდერული თანასწორობის მომხრეებსა (64.7%) და ნაწილობრივ მომხრეებს (33.6%) შორის მამაკაცებთან შედარებით დრამატულად მაღალია (17.9%), რაც იმაზე მეტყველებს, რომ 21-ე საუკუნის ქალებისთვის საქართველოში ერთი შეხედვით უალტერნატივო საკითხი გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით ისევ საკამათოდ რჩება:

**ცხრილი 13. ქალისა და მამაკაცის გენდერულ თანასწორობაზე პასუხების განაწილება სქესობრივ ჯრილში**

სქესი	ემხრობით თუ არა ქალისა და მამაკაცის გენდერულ თანასწორობას? %		
	სრულიად ვემხრობი	არ ვემხრობი	ნაწილობრივ ვემხრობი
ქალი	64.7	1.7	33.6
კაცი	57.8	2.2	39.9

ერთი შეხედვით, რელიგიური სტატუსისა და გენდერული თანასწორობის მონაცემების კროსტაბულაცია ამ ორ ფაქტორს შორის განსაკუთრებულ დისპროპორციებს არ აჩენს, რადგან გენდერული თანასწორობის მომხრეთა შორის 74% მორწმუნეა, თუმცა მონინალმდეგეთა ესოდენ მაღალი წილი (ნაწილობრივ მომხრეთა შორის 86, ხოლო მონინალმდეგეთა შორის 89%) იმის მანიშნებელია, რომ რელიგია რჩება გენდერული თანასწორობის იდეისადმი დამოკიდებულების განმაპირობებელ ფაქტორად და ეს საკითხი უფრო სიღრმისეულ შესწავლას მოითხოვს.

**ცხრილი 14. რესპონდენტების განაწილება გენდერული თანასწორობისადმი დამოკიდებულებისა და რელიგიური სტატუსის მიხედვით**

რელიგიური სტატუსი	ემხრობით თუ არა ქალისა და მამაკაცის გენდერულ თანასწორობას? %		
	სრულიად ვემხრობი	არ ვემხრობი	ნაწილობრივ ვემხრობი
არა	26.0	14.4	11.0
დიახ	74.0	85.6	89.0
სულ	100	100	100

ასევე, თუ მოვახდენთ რელიგიური სტატუსის მიხედვით დაჯგუფებული რესპონდენტების განაწილებას გენდერული თანასწორობისადმი დამოკიდებულების მიხედვით, ვნახავთ, რომ მათ შორის, ვინც სრულიად ემხრობა გენდერულ თანასწორობას, უფრო მეტი არამორწმუნეა (75.2%), ხოლო მორწმუნეთა შორის სჭარბობს ნაწილობრივ მომხრეთა (38.7%) და მონინალმდეგეთა (2.1%) წილი.

**ცხრილი 15. რესპონდენტების განაწილება რელიგიური სტატუსისა და გენდერული თანასწორობისადმი დამოკიდებულების მიხედვით**

რელიგიური სტატუსი	ემხრობით თუ არა ქალისა და მამაკაცის გენდერულ თანასწორობას %			
	სრულიად ვემხრობი	არ ვემხრობი	ნაწილობრივ ვემხრობი	სულ
არა	75.2	1.0	23.9	100
დიახ	59.3	2.1	38.7	100

გენდერული თანასწორობა, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის უფლებებზეა. ქალებს უფლება აქვთ, იცხოვრონ ღირსეულად, სიღარიბისა და შიმშილის გარეშე. ქალთა გაძლიერებას არსებითი მნიშვნელობა აქვს მდგრადი განვითარების მისაღწევად და სიღარიბის აღმოსაფხვრელად. ძლიერი ქალები ხელს უწყობენ ოჯახებისა და თემების კეთილდღეობას და პროდუქტიულობას და შემდეგი თაობის სამომავლო პერსპექტივების გაუმჯობესებას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, გენდერული თანასწორობა მიუღწეველ პირობად რჩება.

ქალებისა და გოგონების მიმართ დისკრიმინაცია – მათ შორის გენდერული ნიშნით ძალადობა, ეკონომიკური დისკრიმინაცია, უთანასწორობა რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის სფეროში და საზიანო ტრადიციული პრაქტიკა – უთანასწორობის ყველაზე გავრცელებული და მდგრადი ფორმაა. ჰუმანიტარული კრიზისების, განსაკუთრებით კი შეიარაღებული კონფლიქტების დროს, ქალები და გოგონები საშინელ სირთულეებს და გაჭირვებას განიცდიან.

ვფიქრობთ, სტუდენტებს შორის ჯერ კიდევ ინფორმაციის ნაკლებობაა ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა ადრეული/ბავშვის ასაკში ქორწინების<sup>1</sup> საზიანო პრაქტიკის პრევენცია, გენდერული ნიშნით სქესის სელექციის პრევენცია გენდერული თანასწორობის გაძლიერებისათვის, მამაკაცებისა და ბიჭების ჩართულობა.

ადრეული ქორწინების საზიანო პრაქტიკა საქართველოში ჯერ კიდევ ფართოდაა გავრცელებული. არსებული მონაცემები აჩვენებს, რომ საქართველოში მცხოვრები ქალების 14 პროცენტი 18 წლის შესრულებამდე დაქორწინდა. თუმცა, ოფიციალური მონაცემები ვერ იქნება სრული, რადგან ნაადრევი ქორწინება ხშირად არ არის ოფიციალურად დარეგისტრირებული.

ადრეული ქორწინება გენდერულ ჭრილში განსახილველი ფენომენია – ის განსხვავებულ გავლენას ახდენს ბიჭებსა და გოგონებზე. ზოგადად,

<sup>1</sup> ადრეული ქორწინება არის ოფიციალური, ან არაოფიციალური კავშირი ორი ადამიანისა, რომელთაგან ერთ-ერთი მაინც 18 წლის ასაკს მიუღწეველია. ადრეული ქორწინება ადამიანის უფლებების დარღვევად ითვლება, რადგან არასრულწლოვანს არ შეუძლია მისცეს გააზრებული თანხმობა ქორწინებაზე. [shorturl.at/chuV8](http://shorturl.at/chuV8)



ადრეულ ქორწინებაში მყოფი ბიჭების რაოდენობა გოგონებთან შედარებით, გაცილებით ნაკლებია. ადრეული ქორწინება გოგონებისთვის მძიმე შედეგების მომტანია, ხშირ შემთხვევაში მათ სოციალურ და უფლებრივ გარიყვას იწვევს და ხელს უშლის გოგონებს განათლების დასრულებაში. მოზარდობის ასაკში ორსულობა და მშობიარობა კი დედისა და ნაყოფის ჯანმრთელობას რისკის ქვეშ აყენებს. ადრეული ქორწინების გამომწვევი მიზეზები კომპლექსურია და შესაბამისად, ვითარების გასაუმჯობესებლად მრავალმხრივი მუშაობაა საჭირო როგორც პოლიტიკის და კანონმდებლობის დონეზე, ასევე თემებთან და თვითონ მოზარდებთან მათი დამოკიდებულების შესაცვლელად.

2017 წლიდან, კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილების თანახმად, 18 წლამდე ქორწინება აკრძალულია გამონაკლისის დაშვების გარეშე.

აგრეთვე, ვაჟიშვილებისათვის უპირატესობის მინიჭება და გოგონების დაუფასებლობა, რაც გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის საზიანო პრაქტიკის ძირეული მიზეზია, საქართველოში ჯერ კიდევ ფართოდ გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს. შედეგად, საქართველოში უფრო მეტი ბიჭი იბადება, გოგონების რაოდენობა კი მცირდება. ტენდენციების შესწავლის და მტკიცებულებებზე დამყარებული საზოგადოებრივი დისკუსიის წამოწყების მიზნით, გაეროს მოსახლეობის ფონდმა 2014 წელს ჩაატარა კვლევა, რომელმაც ცხადყო, რომ გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა მჭიდრო კავშირშია კულტურულ და რელიგიურ, ასევე ქალაქსა და სოფლად ცხოვრების თავისებურებებთან. ამ მხრივ მნიშვნელოვანია რამდენიმე გადამწყვეტი ფაქტორის არსებობა, მათ შორის ოჯახებში ვაჟებისათვის უპირატესობის მინიჭება. ამავე კვლევით, ერთი შვილის ყოლის შემთხვევაში, მოქალაქეების 46% ბიჭს ამჯობინებს, 45%-ისთვის სქესს მნიშვნელობა არა აქვს, ხოლო გოგონას ყოლას მხოლოდ 9% არჩევდა. ამჟამად საქართველოში დაბადებულ ყოველ 100 გოგონაზე საშუალოდ 110 ბიჭი მოდის, მაშინ, როცა დაბადებისას სქესთა შორის ნორმალური ბიოლოგიური ბალანსი მაქსიმუმ 100/106 შეიძლება იყოს. დაბადებისას სქესთა შორის დარღვეული ბალანსი მნიშვნელოვნად იზრდება მესამე და მეტი შვილის შემთხვევაში და 100/140-ს აღწევს. გამოთვლებით დადგინდა, რომ ასეთი პრაქტიკის გამო 1990 წლიდან 2010 წლამდე საქართველოში დაახლოებით 25 000 გოგონა არ დაიბადა.

გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრაქტიკა გენდერული დისკრიმინაციის რადიკალური გამოვლინებაა; ის ნეგატიურ გავლენას ახდენს ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობასა და უსაფრთხოებაზე. გრძელვადიან პერსპექტივაში შედეგად მივიღებთ ძალადობის გაზრდას, ეკონომიკურ რეგრესს და შობადობის შემცირებას. ამ პროცესის შესაჩერებლად უმნიშვნელოვანესია პრობლემის აღიარება და საზოგადოებრივი დისკუსიის დაწყება იმ სოციალური ნორმებისა და ქცევების შესაცვლელად, რომლებსაც გენდერული ნიშნით სქესის შერჩევამდე მივყავართ.

დიდია იმის ალბათობა, რომ ცვლილების უმთავრესი წყარო იქნება იმ კულტურული დამოკიდებულებების შეცვლა, რომლებსაც შედეგად მოჰყვება ვაჟისთვის უპირატესობის მინიჭების ტენდენციის კლება. რაც უფრო სწრაფად მოხდება აღნიშნული ტრანსფორმაციები გენდერულ დამოკიდებულებებში, მით უფრო მცირე იქნება დაბადებისას სქესთა შორის დისბალანსის საერთო შედეგები საქართველოს დემოგრაფიული სტრუქტურებისთვის მომავალში.

მონაცემები ცხადყოფს, რომ საქართველოში უკვე შეინიშნება დაბადებისას სქესთა შორის დისბალანსის კლების ტენდენცია და ეს ხელსაყრელი მომენტია, რათა მივიღოთ ზომები აღნიშნული ტენდენციის შენარჩუნებისა და გაძლიერებისათვის.


შეუძლებელია გენდერული თანასწორობის მიღწევა მამაკაცებისა და ბიჭების ჩართულობის გარეშე. ცვლილებებს დიდი დრო სჭირდება, თუმცა ბოლო დროს მამაკაცები სულ უფრო მეტად უჭერენ მხარს ქალებისა და გოგონების გაძლიერებას გენდერული თანასწორობის მისაღწევად.

2013 წელს გაეროს მოსახლეობის ფონდის დახმარებით და IMAGES მეთოდოლოგიის გამოყენებით ჩატარებული კვლევის **„კაცები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში“** მონაცემები ადასტურებს, რომ არსებული სტერეოტიპები და დამკვიდრებული კლიშეები ხელს უშლის მამაკაცებს, აიღონ პასუხისმგებლობა და მზრუნველი მამები, მეუღლეები, პარტნიორები და ოჯახის წევრები იყვნენ. მონაცემები ასევე ცხადყოფს ფესვგადგმული სოციალური სტანდარტების არსებობას.<sup>1</sup>

გენდერული თანასწორობის საკითხის შესწავლამ ასაკის მიხედვით მნიშვნელოვანი სხვაობა გამოავლინა სტუდენტების შეხედულებებში. სახელდობრ, სამივე კატეგორიის მიხედვით ყველაზე მაღალი აქტივობა 20-24 წლიანთა ჯგუფში გამოიკვეთა. როგორც მომხრეების, ისე ნაწილობრივ მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების უმრავლესობა ამ ჯგუფში იყრის თავს (62.1; 63.6; 66.7). უფრო მეტიც, ამ ასაკობრივ ჯგუფში მოწინააღმდეგეების ხვედრითი წილი წინა ორ კატეგორიას 2.9 პროცენტული პუნქტით აჭარბებს. ნაკლები დისპროპორციაა ყველა ასაკობრივ ჯგუფში სამივე პასუხის განაწილებებს შორის, თუმცა აღსანიშნავია, რომ 19 წლამდე სტუდენტებში გაცილებით ნაკლებია მოწინააღმდეგეთა წილი (22.2%, 28.3 და 27.4), ხოლო მეტია 20-24 (66.7%) და 25-29 წლიან(11.1%) ჯგუფებში, 30 და ზევით ჯგუფში გენდერულ თანასწორობას მოწინააღმდეგე არ გამოუჩნდა.


<sup>1</sup> გაეროს მოსახლეობის ფონდი საქართველოში <https://georgia.unfpa.org/>

**ნახაზი 17.** რესპონდენტების განაწილება გენდერული თანასწორობისა და ასაკის მიხედვით, %



თუ სამივე კატეგორიის მიხედვით რესპონდენტთა კონცენტრაცია 20-24 წლიანთა ჯგუფში გამოიკვეთა, ასაკების მიხედვით კატეგორიებში განაწილებამ დაგვანახა, რომ გენდერული თანასწორობის იდეას ცალსახად მხარს უჭერს მხოლოდ 30 და ზევით ასაკობრივი ჯგუფი, დანარჩენ ასაკობრივ ჯგუფებში ეს მაჩვენებელი 60 პროცენტის ფარგლებშია, ხოლო ნაწილობრივი მხარდაჭერა 34-36 პროცენტს არ სცდება. მონინაალმდეგებში 2 პროცენტს სცდება მხოლოდ 25-29 წლიანთა ჯგუფის წარმომადგენლები.

**ნახაზი 18.** ასაკის მიხედვით დაჯგუფებული რესპონდენტების განაწილება გენდერული თანასწორობის კატეგორიებში, %




გენდერული თანასწორობის იდეას უფრო მეტი მხარდაჭერა აქვს დაბალშემოსავლიან და საშუალოშემოსავლიან რესპონდენტებში. ამ შემთხვევაში, ნაწილობრივ მომხრეები თითქმის მათ ნახევარს შეადგენენ, რასაც ვერ ვიტყვით მაღალშემოსავლიან კატეგორიაზე, რადგან მიუხედავად იმისა, რომ მათი ნახევარზე მეტი გენდერული თანასწორობის მომხრეა, საკმაო მხარდაჭერას უცხადებენ ნაწილობრივ კატეგორიას (36.4%) და შემოსავლის დანარჩენ კატეგორიებთან შედარებით, გარკვეულ ჯგუფს ქმნიან მონინალმდეგეთა სახით (9.1%).

**ცხრილი 16.** შემოსავლების დონის მიხედვით დაჯგუფებული რესპონდენტების განაწილება გენდერული თანასწორობის კატეგორიებში

გენდერული თანასწორობა	შემოსავლების დონე, %		
	დაბალშემოსავლიანი	საშუალოშემოსავლიანი	მაღალშემოსავლიანი
სრულიად ვემხრობი	63.6	62.5	54.5
ნაწილობრივ ვემხრობი	33.6	36.1	36.4
არ ვემხრობი	2.7	1.4	9.1
სულ	100	100	100

მიუხედავად იმისა, რომ დაბალშემოსავლიან და მაღალშემოსავლიან ჯგუფებში საშუალოშემოსავლიანთან შედარებით მაღალია გენდერული თანასწორობის მონინალმდეგეთა ხვედრითი წილი, საბოლოო ჯამში, გენდერული თანასწორობის იდეის ფორმირებაში ყველაზე მნიშვნელოვან მონაწილეობას საშუალოშემოსავლიანი ჯგუფი იღებს.

**ნახაზი 19.** შემოსავლების მიხედვით დაჯგუფებული რესპონდენტების განაწილება გენდერული თანასწორობის ჯგუფებში, %



გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით რესპონდენტთა შეხედულებები სამივე კატეგორიაში ნაწილდება ქართველებსა და სომხებში, რასაც ვერ ვაკვირდებით რუს და იეზიდ რესპონდენტთა შორის და ნაწილობრივ აზერბაიჯანელებში. ამასთან, ნიშანდობლივია, რომ აზერბაიჯანელთა შორის მაღალია ნაწილობრივი მხარდაჭერის წილი, რუსები მხოლოდ ამ კატეგორიას უჭერენ მხარს, ხოლო იეზიდები აბსოლუტურად სრულ მხარდაჭერას აფიქსირებენ.

**ნახაზი 20. ეროვნების მიხედვით დაჯგუფებული რესპონდენტების განაწილება გენდერული თანასწორობის კატეგორიების მიხედვით, %**

როგორც დაქორწინებულებში, ისე განქორწინებულებში მორწმუნეთა წილი უფრო მაღალია, თუმცა არარელიგიურ პირებში დაუქორწინებულები სჭარბობენ.

**ცხრილი 17. რესპონდენტების განაწილება გენდერული თანასწორობისა და ქორწინებითი სტატუსის მიხედვით**


რელიგიურობა	სტატუსი ქორწინებაში, %			
	დაუქორწინებული	დაქორწინებული	განქორწინებული	სულ
დიახ	91.4	8.1	0.5	100
არა	95.2	4.8	0.0	100

2016 წლის მაის-ივნისში ფრიდრის ებერტის ფონდმა ქვეყნის მასშტაბით ჩაატარა კვლევა<sup>1</sup>, რომელიც მოიცავდა 14-29 წლის ახალგაზრდებს. აღნიშნული კვლევა სათავეს იღებს შელის ახალგაზრდული კვლევისგან (Shell Youth Study), რომელიც პერიოდულად ტარდებოდა გერმანიაში 1953 წლიდან მოყოლებული. კვლევის შედეგებით უფრო თვალსაჩინო გახდა ის გამოწვევები, რის წინაშეც ახალგაზრდები დგანან პირადი, ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების კუთხით. მათთვის ოჯახი წარმოადგენს ყველაზე მყარ სოციალურ კონსტრუქციას. ამასთან, კარგი ოჯახის ქონა პრიორიტეტებს შორის ყველაზე მაღლა დგას. ყველაზე სანდო ინსტიტუტად ითვლება ეკლესია. ამავე დროს, ტოლერანტობის დონე და მრავალფეროვნების მიმღებლობა საკმაოდ დაბალია. გამოკითხვამ ასევე აჩვენა დედაქალაქსა და სოფლებში მცხოვრებ, ასევე მდებარეობითი და მამრობითი სქესის ახალგაზრდებს შორის განსხვავებები. მაშინ, როდესაც სოფლებში ახალგაზრდები უფრო კონსერვატულები არიან, მათი თანატოლები ურბანულ დასახლებებში მეტად იზიარებენ ლიბერალურ ღირებულებებს.

ნდობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლით ახალგაზრდები ლგბტქი ჯგუფის წარმომადგენლების მიმართ გამოირჩევიან. მათ მიმართ ნდობის

<sup>1</sup> თაობა გარდამავალ პერიოდში. ახალგაზრდობის კვლევა 2016 – საქართველო, ფრიდრის ებერტის ფონდი, თბილისი, 2017. [http://www.fescaucasus.org/fileadmin/Publications/2016/Geo\\_YouthStudy\\_Georgia\\_Web.pdf](http://www.fescaucasus.org/fileadmin/Publications/2016/Geo_YouthStudy_Georgia_Web.pdf)

მაჩვენებელი უნდობლობის მაჩვენებლის ქვემოთაა (10 ქულიან სკალაზე 5 აღნიშნავს ცენტრალურ მაჩვენებელს). აღსანიშნავია, რომ ნდობის საშუალო მაჩვენებელი ლგბტკი ჯგუფის მიმართ შედარებით მაღალია მდებრობითი სქესის რესპონდენტებს შორის (საშუალო ქულა 3.8) მამრობითთან შედარებით (საშუალო ქულა 2.9). სოციალური დისტანცია ლგბტკი ადამიანების მიმართ უფრო მაღალია იმ შემთხვევაში, თუ რესპონდენტები რელიგიურები არიან, ან რეგულარულად ან ხშირად ესწრებიან მსახურებას რელიგიურ ინსტიტუტებში. აღსანიშნავია, რომ ნაკლებად რელიგიური ახალგაზრდების დამოკიდებულება ყველა შემთხვევაში უფრო



ნეიტრალურია. ყველა კატეგორიაში, ნაკლებად რელიგიური ახალგაზრდების უფრო დიდი ნაწილი, გამოხატავს ნეიტრალურ დამოკიდებულებას. დამოკიდებულება ეთნიკური უმცირესობების მიმართ დიდად არ განსხვავდება გენდერის და ასაკის მიხედვით. თვისებრივი კვლევის ყველა მონაწილე თანხმდება, რომ საქართველოს ახალგაზრდობა ყველაზე ნაკლებად ტოლერანტი ლგბტკი ადამიანების მიმართ არის. ახალგაზრდები, რომლებიც მეორე კატეგორიაში (თავშეკავებული დამოკიდებულება) მოხვდნენ, არიან ლგბტკი ადამიანების მიმართ მკვეთრი აგრესიის გამოხატვის წინააღმდეგნი, თუმცა თავს არ იკავებენ აღნიშნული ჯგუფის მიმართ არასასიამოვნო გრძნობების გამოხატვისგან. მათი აზრით, ლგბტკი ადამიანებს აქვთ უფლება იცხოვრონ ისე, როგორც მათ სურთ, თუმცა ეს მხოლოდ მათ პირად სივრცეში, საკუთარ სახლში უნდა ხდებოდეს. მათი სექსუალური იდენტობის მიმართ გამოთქმული ნებისმიერი აგრესიული განცხადება ფასდება ნეგატიურად და განიხილება, როგორც ლგბტკი ადამიანების ცხოვრების სტილის პოპულარიზაცია. ახალგაზრდების ნარატივები ცხადყოფს იმ ძირითად პრინციპებს, რომელიც საფუძვლად უდევს ტოლერანტობის დაბალ ხარისხს და სოციალურ დისტანციას აღ-

ნიშნული ჯგუფის მიმართ. ახალგაზრდები საუბრობენ შიშზე, რომელიც დაკავშირებულია „სხვასთან“ და „განსხვავებულთან“. ხშირ შემთხვევაში ახალგაზრდებს უჭირთ იმის დასაბუთება, თუ რა ინვესს მათ შიშს და რისი ემინიათ კონკრეტულად. ყველაზე კონკრეტული მაგალითი, რომელიც ფოკუსური დისკუსიის ერთ-ერთმა მონაწილემ დაასახელა არის ის, რომ ლგბტკი პროპოზიციას ვაგლენას იქონიებს ახალგაზრდა თაობაზე და მათ ახლანდელ ან მომავალ შვილებზე. ახალგაზრდები, რომლებიც მესამე კატეგორიაში (აგრესიული დამოკიდებულება) მოხვდნენ, ცალსახად ნეგატიურ დამოკიდებულებას აფიქსირებენ ლგბტკი ადამიანების მიმართ. ზოგიერთი მათგანი ლგბტკი ადამიანების დამცირების ისტორიებსაც იხსენებს. კვლევამ გამოავლინა ლგბტკი ჯგუფების მიმართ არსებული ნეგატიური და პოზიტიური სტერეოტიპები. ზოგიერთი ახალგაზრდისათვის აღნიშნული ჯგუფის წარმომადგელები ასოცირდებიან წვეულებების მოყვარულ ადამიანებთან, რომელთა მეზობლად ცხოვრება უსიამოვნო იქნებოდა. არსებობს პოზიტიური სტერეოტიპების შემთხვევებიც, მაგალითად, ზოგიერთი ადამიანი თვლის, რომ გეები უფრო სანდოები და გონებაგახსნილები არიან, მათ ასევე მეტად აკავშირებენ ხელოვნებასთან. აღსანიშნავია ისიც, რომ ფოკუსური დისკუსიის მონაწილეები ლგბტკი ჯგუფის მიმართ ტოლერანტობის მაღალ ხარისხს მიიჩნევენ საზოგადოების თავისუფლების და ადამიანის უფლებების დაცვის უფრო მაღალ მაჩვენებლად.<sup>1</sup>

2018 წელს ევროპის საბჭოს მიერ ჩატარებულმა კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ზოგადად, ლგბტკი ადამიანების მიმართ არსებული განწყობები ნებისმიერი სხვა ჯგუფის მიმართ არსებულზე უარესია. კვლევის თანახმად, ახალგაზრდები უფრო ტოლერანტები არიან – 18-23 წლის ახალგაზრდებში ტოლერანტობის საშუალო მაჩვენებელი 16%-ია და ასაკის მატებასთან ერთად იკლებს. 85 წელს ზემოთ ადამიანების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 7%-ია.<sup>2</sup>

2013 წლის “ეროვნული იდენტობის” შესახებ მოსახლეობის რეპრეზენტატიული კვლევის მონაცემებით,<sup>3</sup> ევროპეიზაციის კონტექსტში, ეროვნულ იდენტობასა და ღირებულებებთან დაკავშირებული საკითხები ყველაზე მეტ სიმწვავეს სექსუალური უმცირესობების მიმართ იძენს. მეორე მხრივ, მოსახლეობასთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფებიც გვიჩვენებს,

<sup>1</sup> თაობა გარდამავალ პერიოდში. ახალგაზრდობის კვლევა 2016 – საქართველო, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, თბილისი, 2017, გვ. 116-120. [http://www.fes-caucasus.org/fileadmin/Publications/2016/Geo\\_YouthStudy\\_Georgia\\_Web.pdf](http://www.fes-caucasus.org/fileadmin/Publications/2016/Geo_YouthStudy_Georgia_Web.pdf)

<sup>2</sup> ეკა ქევანიშვილი. მრავალფეროვნების შიშით. რადიო თავისუფლება, 18 ნოემბერი, 2018. <https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%9B%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%97/29606962.html>

<sup>3</sup> დიანა ბოგოშვილი, ირინა ოსეფაშვილი, ელენე გავაშელიშვილი, ნინო გუგუშვილი. ეროვნული იდენტობა: კონფლიქტი და ინტეგრაცია, თბილისი, 2016




რომ სოციალურ-პოლიტიკურ არენაზე ლგბტკი თემის გააქტიურება სწორედ ევროკავშირის მიერ თავსმოხვეულ პროცესად მიიჩნევა, რაც ასევე ხელს უწყობს ამ ჯგუფის ნაციონალური იდენტობიდან მარგინალიზაციასა და „სხვად“ აღქმას. ექსპერტები სექსუალური უმცირესობებისა და ნაციონალიზმის ურთიერთმიმართებაზე საუბრისას ასევე გამოყოფენ დემოგრაფიის საკითხსაც, რაც იმაში ვლინდება, რომ რესპონდენტების აზრით „...რეპროდუქციის თვალსაზრისითაც, ნაციონალიზმის ერთ-ერთი ნაწილია ეს დემოგრაფიული პანიკა, რომ ჩვენ გადავშენდებით, ამიტომ შენ გჭირდება ის, რომ ვილაცამ მოახერხოს რეპროდუქცირება, ამისი ყველაზე მარტივი მექანიზმი არის ბირთვული ოჯახი, რომელზეც დგას ნაციონალიზმი. ბევრი ფაქტორია რეალურად, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ყველაზე მეტად, ალბათ ფემინისტები და ლგბტკი ადამიანები ეწინააღმდეგებიან ამ გენდერული როლების სტატუს-კვოს“ (იქვე, გვ.126). დემოგრაფიული საკითხები აქტუალურია ასევე ლგბტკი თემისადმი დამოკიდებულებაშიც – თუ „უცხოტომელების“ შემთხვევაში ეთნიკურად ქართველების შემცირების შიში ეთნიკურად არაქართველების რაოდენობის ზრდას უკავშირდება, ამ შემთხვევაში, პირიქით, დემოგრაფიულ კრიზისზე პასუხისმგებლობა იმ ქართველებს ეკისრებათ, რომლებიც შიდა ჯგუფისთვის მიწერილ გენდერულ და სქესობრივ ნორმებს არ იზიარებენ და ერის გამრავლებაში წვლილის შეტანასთან ნაკლებად ასოცირდებიან (იქვე, გვ. 350) ექსპერტთა შეფასებით, ევროპეიზაციის კონტექსტში, ეროვნულ იდენტობასა და ღირებულებებთან დაკავშირებული საკითხები ყველაზე მეტ სიმწვავეს სექსუალური უმცირესობების მიმართ იძენს. მეორე მხრივ, მოსახლეობასთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფებიც გვიჩვენებს, რომ სოციალურ-პოლიტიკურ არენაზე ლგბტკი თემის გააქტიურება სწორედ ევროკავშირის მიერ თავსმოხვეულ პროცესად მიიჩნევა, რაც ასევე ხელს უწყობს ამ ჯგუფის ნაციონალური იდენტობიდან მარგინალიზაციასა და „სხვად“ აღქმას (იქვე, გვ. 353).

აღნიშნულმა შეხედულებებმა და სტერეოტიპებმა შესაბამისი ასახვა ჰპოვა სტუდენტების დემოგრაფიული განწყობის კვლევაშიც, საიდანაც ჩანს, რომ ლგბტკი თემის მიმართ მხოლოდ მეოთხედია ტოლერანტული, 17 პროცენტამდე არატოლერანტული, ხოლო ნეიტრალურ შეხედულებას იზიარებს ნახევარზე მეტი (დაახლოებით 58 პროცენტი). ეს კითხვა ადასტურებს, რომ სტუდენტი ახალგაზრდობა, ისევე როგორც საზოგადოების სხვა წარმომადგენლები, სტერეოტიპების გავლენას განიცდიან. მრავალფეროვნების მიუღებლობა ამცირებს თავისუფლების ხარისხს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ახალგაზრდობის უმრავლესობის დამოკიდებულება ამ მარგინალური ჯგუფის მიმართ ნეიტრალური ან მკვეთრად უარყოფითია.




**ნახაზი 21.** რესპონდენტების განაწილება ლგბტკი თემის მიმართ დამოკიდებულების მიხედვით, %




ყველაზე არატოლერანტულები ლგბტკი თემის მიმართ აღმოჩნდნენ რუსები; ქართველთა და სომეხთა შორის მათი წილი შესაბამისად 16 და 25.9 პროცენტია, ხოლო აზერბაიჯანელი და იეზიდის რესპონდენტები აბსოლუტურ ნეიტრალიტეტს აფიქსირებენ. ქართველებში ტოლერანტობის წილი უფრო მაღალია სომეხებთან შედარებით, ხოლო ნეიტრალურობის მიხედვით მათი წილები თითქმის ერთნაირია (57.4 და 55.6).

**ნახაზი 22.** რესპონდენტების განაწილება ლგბტკი თემის მიმართ დამოკიდებულების მიხედვით, სხვადასხვა ეროვნებაში, %



ტოლერანტულ, არატოლერანტულ და ნეიტრალურ რესპონდენტებს შორის უმეტესობა საშუალოშემოსავლიანია, ნეიტრალურ ჯგუფში შედარებით მაღალი წილით (24.8) არის წარმოდგენილი დაბალშემოსავლიანი ჯგუფი.

**ნახაზი 23.** რესპონდენტების განაწილება ლგბტქი თემის მიმართ დამოკიდებულების მიხედვით, სხვადასხვა შემოსავლის მქონე ჯგუფებში, %



როგორც ცხრილიდან ჩანს, რელიგიურ სტუდენტთა შორის ტოლერანტულების წილი ნეიტრალურებთან შედარებით 3-ჯერ დაბალია, ხოლო არარელიგიურებს შორის განსხვავება ნეიტრალურებსა და ტოლერანტულებს შორის მხოლოდ 3.9 პროცენტია; რელიგიურ რესპონდენტთა შორის არატოლერანტულების წილი 2.5-ჯერ მეტია.

ტოლერანტულ სტუდენტთა შორის არარელიგიურები 2-ჯერ სჭარბობენ მორწმუნეებს, არატოლერანტურებში 90 პროცენტზე მეტი მორწმუნეები არიან, ხოლო ნეიტრალურთა შორის დისპროპორცია ძალიან მაღალი არ არის, თუმცა მორწმუნეები 1.2-ჯერ მეტნი არიან.

**ცხრილი 18.** ლგბტქი თემისადმი დამოკიდებულების კატეგორიების განაწილება რელიგიურობის მიხედვით

როგორია თქვენი დამოკიდებულება ლგბტქი თემის მიმართ?	რელიგიური, %	არარელიგიური, %	სულ, %
ტოლერანტული	63.5	36.5	100
არატოლერანტული	90.1	9.9	100
ნეიტრალური	82.2	61.7	100

როგორც რელიგიურ, ისე არარელიგიურ ჯგუფებში მაღალი წილით არის წარმოდგენილი ლგბტქი თემისადმი ნეიტრალურად განწყობილი სტუდენტობა (60.1 და 48.1), თუმცა რელიგიურებს შორის 2.5-ჯერ მეტი არატოლერანტულია, ხოლო არარელიგიურებს შორის ტოლერანტულთა წილი ასევე მაღალია.

**ცხრილი 19. რელიგიურობის კატეგორიების განაწილება ლგბტქი თემისადმი დამოკიდებულების მიხედვით**

როგორია თქვენი დამოკიდებულება ლგბტქი თემის მიმართ?	რელიგიური, %	არარელიგიური, %
ტოლერანტული	20.9	44.2
არატოლერანტული	19.0	7.7
ნეიტრალური	60.1	48.1
სულ	100	100

ტოლერანტობისა და გენდერული თანასწორობის კროსტაბულაციური ცხრილიდან ირკვევა, რომ ლგბტქი თემის მიმართ ტოლერანტულებს შორის 83.3 პროცენტი სრულიად ემხრობა გენდერულ თანასწორობას, არატოლერანტულებს შორის 35.8, ხოლო ნეიტრალურებს შორის 61.1 პროცენტი. ლგბტქი თემის მიმართ არატოლერანტულებს შორის 56.8 პროცენტი ნაწილობრივ, ხოლო 35.8 პროცენტი სრულიად ემხრობა გენდერულ თანასწორობას. გენდერულ თანასწორობას არ ემხრობა ტოლერანტულთა 0.8, არატოლერანტულთა 7.4 და ნეიტრალურთა 0.7 პროცენტი.

**ცხრილი 20. გენდერული თანასწორობის კატეგორიების განაწილება ლგბტქი თემისადმი დამოკიდებულების მიხედვით**

როგორია თქვენი დამოკიდებულება ლგბტქი თემის მიმართ?	გენდერულ თანასწორობას სრულიად ვემხრობი, %	ნაწილობრივ ვემხრობი, %	არ ვემხრობი, %	სულ, %
ტოლერანტული	83.3	15.9	0.8	100
არატოლერანტული	35.8	56.8	7.4	100
ნეიტრალური	61.1	38.2	0.7	100


მათ შორის, ვინც სრულიად ან ნაწილობრივ ემხრობა ქალისა და მამაკაცის გენდერულ თანასწორობას, სჭარბობენ ლგბტქი თემის მიმართ ნეიტრალურად განწყობილები (55.9% და 61.6%), ვინც არ ემხრობა, ლგბტქის მიმართ უმეტესწილად არატოლერანტულია (66.7%).

**ცხრილი 21. გენდერული თანასწორობისა და ლგბტქი თემის მიმართ დამოკიდებულების კროსტაბულაციური ცხრილი**

ემხრობით თუ არა ქალისა და მამაკაცის გენდერულ თანასწორობას?	როგორია თქვენი დამოკიდებულება ლგბტქი თემის მიმართ?			
	არატოლერანტული	ნეიტრალური	ტოლერანტული	სულ
სრულიად ვემხრობი	9.7 %	55.9 %	34.4 %	100.0 %
არ ვემხრობი	66.7	22.2	11.1	100.0
ნაწილობრივ ვემხრობი	26.9	61.6	11.5	100.0

კითხვაზე, რა გავლენას მოახდენს მარიხუანას მოხმარების დეკრიმინალიზაცია შვილიანობაზე? გამოკითხულთა ნახევარზე მეტი დარწმუნებულია, რომ ეს შეამცირებს შვილიანობას, საკმაოდ დიდ ნაწილს, 36 პროცენტამდე არ გააჩნია მყარი პოზიცია ამ საკითხისადმი და მხოლოდ 13 პროცენტს მიაჩნია, რომ სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკა მარიხუანის მოხმარებასთან დაკავშირებით პირდაპირ არ გამოიწვევს შვილიანობის შემცირებას.

**ნახაზი 24.** რესპონდენტების განაწილება მარიხუანას მოხმარების დეკრიმინალიზაციის მიმართ დამოკიდებულების მიხედვით, %



ღებტქი თემის მიმართ ტოლერანტულ რესპონდენტთა შორის 65.6 პროცენტი თვლის, რომ დეკრიმინალიზაცია გავლენას არ მოახდენს შვილიანობაზე, არატოლერანტული სტუდენტების 72.8 პროცენტის აზრით – შეამცირებს. ღებტქი თემის მიმართ ნეიტრალური სტუდენტებიდან 53.6 პროცენტის აზრით შეამცირებს, ხოლო თითქმის 40 პროცენტს უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა.

**ცხრილი 22.** ღებტქი თემის მიმართ ტოლერანტულობისა და მარიხუანას დეკრიმინალიზაციის კროსტაბულაციური ცხრილი

ღებტქი	მარიხუანას დეკრიმინალიზაცია						სულ	%
	შეამცირებს	%	ზეგავლენას არ მოახდენს	%	მიჭირს პასუხის გაცემა	%		
ტოლერანტული	200	32	210	33.6	215	34.4	625	100
%	16.0		65.6		24.9			
არატოლერანტული	295	72.8	20	4.9	90	22.2	405	100
%	23.7		6.3		10.4			
ნეიტრალური	752	53.6	90	6.4	560	39.9	1402	100
%	60.3		28.1		64.7			
სულ	1247		320		865		2432	
%	100		100		100			

კითხვაზე, რა მიგაჩნიათ ამ ეტაპზე საქართველოსთვის უმთავრეს გამოწვევად, გათვალისწინებული იყო ქულების მინიჭება 1-დან 5-მდე შემდეგი კატეგორიების მიხედვით:


1. უმუშევრობა და სიღარიბე
2. დემოგრაფიული პრობლემები
3. ტერიტორიული მთლიანობა
4. კრიმინოგენური სიტუაცია
5. ეკოლოგია
6. სხვა.

შედეგების ანალიზმა ცხადყო, რომ რესპონდენტთა დიდმა ნაწილმა უმთავრეს პრობლემად მიიჩნია:


1. უმუშევრობა და სიღარიბე – 57%
2. დემოგრაფიული პრობლემები – 22.7%
3. ტერიტორიული მთლიანობა – 49%
4. კრიმინოგენური სიტუაცია – 22%
5. ეკოლოგია – 32%
6. სხვა – 25.4%.

თუ შეფასების მე-5 ქულის მიხედვით მოვასხდნთ რანჟირებას, მივიღებთ, რომ სტუდენტებისთვის ყველაზე დიდი პრობლემაა უმუშევრობა და სიღარიბე, ტერიტორიული მთლიანობა, ეკოლოგია, დემოგრაფია, სხვა და ბოლოს, კრიმინოგენური სიტუაცია.


**ნახაზი 25. რესპონდენტების დამოკიდებულება პრობლემისადმი – უმუშევრობა და სიღარიბე**




**ნახაზი 26.** რესპონდენტების დამოკიდებულება დემოგრაფიული პრობლემებისადმი, %




**ნახაზი 27.** რესპონდენტების დამოკიდებულება პრობლემისადმი – ტერიტორიული მთლიანობა




**ნახაზი 28.** რესპონდენტების დამოკიდებულება პრობლემისადმი – კრიმინოგენული სიტუაცია, %



**ნახაზი 29.** რესპონდენტების დამოკიდებულება ეკოლოგიური პრობლემისადმი



**ნახაზი 30.** რესპონდენტების დამოკიდებულება სხვა პრობლემებისადმი, %



რესპონდენტი სტუდენტთა სოციალ-დემოგრაფიული მახასიათებლების სტატისტიკურმა შესწავლამ შემდეგი ტენდენციები გამოავლინა:

რესპონდენტთა უმრავლესობა ქალია. რესპონდენტი ქალების საშუალო ასაკია 21.3 წელი, ხოლო მამაკაცების – 20.9.

ყველაზე მრავალრიცხოვანი აღმოჩნდა 20 – 24 წლიანთა ასაკობრივი ჯგუფი.

რესპონდენტთა გადამწყვეტმა უმრავლესობამ სწავლის საფეხურად მიუთითა ბაკალავრიატი.

ბაკალავრიატის სტუდენტთა შორის 70% ქალია, მაგისტრატურის საფეხურზე – 69%, ხოლო დოქტორანტურაში – 80%.

სქესის მიხედვით დაჯგუფებულ სტუდენტთა შორის ყველაზე ოპტიმალური თანაფარდობა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტშია, ხოლო ყველაზე დიდი დისპროპორცია სქესთა შორის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტშია.

კვლევაში ყველაზე ახალგაზრდა რესპონდენტები მონაწილეობდნენ ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან (საშუალო ასაკი 20.8 წელი), ხოლო კითხვარის ჩამონათვალში კონკრეტულად არ აღნიშნული, ანუ სხვა უნივერსიტეტებიდან, დაფიქსირდა ყველაზე მაღალი საშუალო ასაკის მონაწილეები (23 წელი).

დაუქორწინებელი სტუდენტები რესპონდენტთა უმრავლესობას შეადგენენ. დაქორწინებულ სტუდენტთა შორის ქალების წილი 94%-ია.

ასაკის მიხედვით დაჯგუფებული რესპონდენტების ქორწინებითი სტატუსის შესწავლამ აჩვენა, რომ განქორწინებული რესპონდენტები ფიქსირდება 19 წლამდე და 25–29 წლიანთა ინტერვალში, ხოლო 20–24 წლიანთა და 30 და ზევით ინტერვალში მხოლოდ დაქორწინებული სტუდენტები მოხვდნენ.

დაბადების ადგილის მიხედვით დაჯგუფებულ რესპონდენტთა შორის დაუქორწინებელთა და დაქორწინებულთა უმეტესობა ქალაქად არის დაბადებული, ხოლო განქორწინებულები თანაბრად არიან განაწილებული როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

უმაღლესი განათლების საფეხურის მიხედვით განაწილებულ რესპონდენტთა შორის, დაუქორწინებელთა ხვედრითი წილი მაღალია ბაკალავრებში, დაქორწინებულთა კი – დოქტორანტთა შორის. განქორწინებულთა ხვედრითი წილი უმნიშვნელოა, თუმცა მაინც გვხვდება მხოლოდ ბაკალავრთა შორის.

გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობამ მიუთითა ეროვნება ქართველი (93.2%), დანარჩენი ეროვნებებიდან წარმოდგენილი იყო კლებადი თანმიმდევრობით: სომეხი, აზერბაიჯანელი, რუსი და იეზიდის ეროვნების სტუდენტობა. როგორც ქართველ, ისე სომეხ და აზერბაიჯანელ რესპონდენტთა შორის ქალები 2-ჯერ და მეტ-ჯერ სჭარბობენ მამაკაცებს; გამოკითხულთა შორის ყველა რუსი ეროვნების მამრობითი სქესისაა, ხოლო იეზიდი – მდედრობითი სქესის წარმომადგენელია.

ასაკის მიხედვით დაჯგუფებული რესპონდენტების განაწილებამ ეროვნების მიხედვით აჩვენა, რომ აზერბაიჯანელი რესპონდენტები მხოლოდ 20-24 წლისანი არიან, რუსები და იეზიდები 19 წლამდე, სომეხები 19 წლამდე და 20-24 წლისანი, ხოლო ქართველები არათანაბრად, თუმცა ყველა ასაკობრივ ინტერვალში არიან განაწილებულნი.

აღსანიშნავია, რომ ქალებთან შედარებით, გამოკითხულ მამაკაცთა უფრო მეტი რაოდენობა ახდენს ასოცირებას დაბალ შემოსავლიან და მაღალ შემოსავლიან კატეგორიებთან, ხოლო ქალების უფრო მეტი რაოდენობა მიიჩნევს თავს საშუალო შემოსავლის მქონედ.

ქორწინებითი სტატუსის მიხედვით დაჯგუფებულ რესპონდენტთა შორის შემოსავლის ყველა კატეგორიაში სჭარბობს დაუქორწინებელი სტუდენტობა, რომელთა 75% საშუალო შემოსავლიანია, 23% – დაბალ შემოსავლიანი, ხოლო 2% – მაღალ შემოსავლიანი.



დაბალ შემოსავლიანთა შორის 94.5% დაუქორწინებელია, საშუალო შემოსავლიანთა შორის 92.6%, ხოლო მაღალ შემოსავლიანებში 54.5%. დაქორწინებულთა ყველაზე მაღალი სიხშირე მაღალ შემოსავლიანებშია – 36.4%. ასევე განქორწინების შემთხვევაში – ეს კატეგორია სჭარბობს კვლავ მაღალ შემოსავლიან ჯგუფში (9.1%).

გამოკითხული სტუდენტების დიდი უმრავლესობა რელიგიურად მიიჩნევს თავს, ყოველი მეხუთე თვლის თავს არარელიგიურ პიროვნებად.

სტუდენტ ქალებს შორის 15%-ით მეტი მორწმუნეა მამაკაცებთან შედარებით.

ასაკის მიხედვით, მორწმუნეთა ყველაზე მაღალი წილი – 81.3% დაფიქსირდა 20-24 წლიანთა ინტერვალში, ხოლო ყველაზე ნაკლებად რელიგიური აღმოჩნდა 25-29 წლიანთა ჯგუფი – 31.6%.

სტატუსი რელიგიური მიუთითა განქორწინებულთა 100%-მა, დაქორწინებულთა 86.1% და დაუქორწინებელთა 78.0%-მა.

სტუდენტთა გადამწყვეტი უმრავლესობა ემხრობა გენდერული თანასწორობის იდეას. გენდერული თანასწორობის მონინააღმდეგე ქალებისა და მამაკაცების წილები ერთმანეთისგან დრამატულად არ განსხვავდება, თუმცა ქალები სჭარბობენ.

ასაკების მიხედვით კატეგორიებში განაწილებამ დაგვანახა, რომ გენდერული თანასწორობის იდეას ცალსახად მხარს უჭერს მხოლოდ 30 და ზევით ასაკობრივი ჯგუფი, დანარჩენ ასაკობრივ ჯგუფებში ეს მაჩვენებელი 60 პროცენტის ფარგლებშია, ხოლო ნაწილობრივი მხარდაჭერა 34-36 პროცენტს არ სცდება.

რელიგიურ რესპონდენტთა შორის 59.3 პროცენტი ემხრობა სრულიად გენდერულ თანასწორობას, ხოლო არარელიგიურებს შორის – 75 პროცენტი. რელიგიურ სტუდენტებს შორის არარელიგიურებთან შედარებით მაღალია ნაწილობრივ მომხრეების წილი.

როგორც დაქორწინებულებში, ისე განქორწინებულებში მორწმუნეთა წილი უფრო მაღალია, თუმცა არარელიგიურ პირებში დაუქორწინებულები სჭარბობენ.

ლგბტკი თემის მიმართ გამოკითხულთა მხოლოდ მეოთხედია ტოლერანტული, 17 პროცენტამდე არატოლერანტული, ხოლო ნეიტრალურ შეხედულებას იზიარებს ნახევარზე მეტი – დაახლოებით 58 პროცენტი.

ტოლერანტულ სტუდენტთა შორის არარელიგიური პირები 2-ჯერ სჭარბობენ მორწმუნეებს, არატოლერანტურებში 90 პროცენტზე მეტი მორწმუნეები არიან, ხოლო ნეიტრალურთა შორის განსაკუთრებული დისპროპორცია არ შეიმჩნევა, თუმცა აქ მორწმუნეები 1.2-ჯერ მეტნი არიან.

### თავი III. სტუდენტთა დემოგრაფიული ცოდნის დონე საქართველოში

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში არსებით როლს ასრულებს დემოგრაფიული სიტუაცია, მოსახლეობის შემადგენლობა და სტრუქტურა. ამ მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია დემოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების, აგრეთვე ამ საკითხებისადმი საზოგადოების დამოკიდებულების, ცოდნისა და ცნობიერების შესწავლა.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, თანამედროვე დემოგრაფიული სიტუაცია საქართველოში მეტად მწვავეა, რაც მრავალი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორითაა განპირობებული. ერთ-ერთი მათგანია მოსახლეობის და, განსაკუთრებით, ახალგაზრდობის დემოგრაფიული ცოდნის არასაკმარისი დონე. სწორედ ამ პრობლემის სწორი იდენტიფიკაციისა და შეფასების მიზნით, 2019 წელს ჩატარებული შერჩევითი სტატისტიკური კვლევით მიღებული რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემების ანალიზმა ნათლად დაადასტურა არაერთი დიდი თუ მცირე პრობლემა ამ მიმართულებით. კვლევის პროცესში მოხდა მრავალი ზოგადი და კერძო მაჩვენებლის (შეფარდებითი, საშუალო და ვარიაციის) გაანგარიშება და შეფასება. ანალიზის შედეგად დადგინდა სქესის, ასაკის, ეთნიკური და სხვ. ჯგუფების მიხედვით სტუდენტთა განსხვავებული დემოგრაფიული ცოდნა და მოხდა მათი რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება.

XX საუკუნის ბოლოს და მიმდინარე საუკუნის დასაწყისში საქართველოში მკვეთრად გამწვავდა დემოგრაფიული მდგომარეობა და ჩამოყალიბდა მოსახლეობის აღწარმოების უარყოფითი რეჟიმი, რამაც 1990 წელთან შედარებით, თითქმის 30 %-ით შეამცირა მოსახლეობის რიცხოვნობა. ქვეყნის დემოგრაფიული მომავალი კი განისაზღვრება მოსახლეობის დემოგრაფიული განწყობით და დემოგრაფიული ქცევით, რომელიც ახალგაზრდა ასაკში უკვე ჩამოყალიბებულია. აქვე ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ დემოგრაფიულ განწყობაზე დიდ გავლენას ახდენს დემოგრაფიული ცოდნა.

კვლევის ერთ-ერთი მიზანია სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული ცოდნის დონის შესწავლა და მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება:

1. საქართველოში ზოგადი დემოგრაფიული სიტუაციის შესახებ;
2. საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის პროცესების (ქორწინება, განქორწინება, შობადობა, სიკვდილიანობა) შესახებ;
3. საქართველოს მოსახლეობის მიგრაციული პროცესების (ემიგრაცია და იმიგრაცია) შესახებ;


4. საქართველოში დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელების შესახებ.

კვლევის პროცესში ფართოდ იქნა გამოყენებული შესაბამისი სტატისტიკური მეთოდები, კერძოდ: სტატისტიკური დაკვირვება და მიღებული მონაცემების თავმოყრა-დაჯგუფება; შეფარდებითი, საშუალო სიდიდეთა და ვარიაციული მეთოდები, საინდექსო მეთოდი, შერჩევითი მეთოდი, კორელაციური ანალიზის მეთოდები და სხვ.

საქართველოს მოსახლეობის აღწარმოება, რაც შობადობისა და მოკვდაობის ურთიერთქმედების შედეგია, აღწარმოების მარტივი რეჟიმით ხასიათდება. ამ დროს მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტის მნიშვნელობა ერთის ტოლია, ხოლო შობადობის ჯამური კოეფიციენტი 2.10-ს უტოლდება. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2018 წელს მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტის მნიშვნელობა ძალიან ახლოს არის ერთთან, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი კი ზუსტად 2.1-ის ტოლია, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოში არის მოსახლეობის აღწარმოების მარტივი რეჟიმი, როდესაც მომდევნო და წინა თაობების რაოდენობა დაახლოებით თანაბარია [წულაძე, 2014].

ქვემოთ მოცემულ ნახაზზე წარმოდგენილია მოსახლეობის აღწარმოების ნეტო და შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტები.

**ნახაზი 31.** საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების ნეტო და შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტები 2001-2018 წლებში\*




\*აქ და ქვემოთ ყველა ნახაზი აგებულია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

ზემოთ წარმოდგენილი გრაფიკიდან ნათლად ჩანს, რომ 2001 წლიდან 2014 წლამდე მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი 1-ზე ნაკლებია, ხოლო შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი – 2.1-ზე ნაკლები. ამ დროს არის მოსახლეობის შეკვეცილი (შევიწროებული) აღწარმოების რეჟიმი, რაც მიგვანიშნებს მომავალში პოტენციურ დეპოპულაციაზე [წულაძე, 2014]. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, აღნიშნულ პერიოდში მოსახლეობის რიცხოვნობა ყოველწლიურად მცირდებოდა. მომდევნო წლებში ის უმნიშვნელოდ გაიზარდა, მაგრამ 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, წინა წელთან შედარებით, ისევ შემცირებულია, რაზეც მიუთითებს კოეფიციენტების კლებადი ტენდენციაც.

ჩვენი კვლევის არეალში მოექცა აგრეთვე გენდერული საკითხებიც, რამდენადაც გენდერი მოიცავს ქალისა და მამაკაცის ცხოვრების ყველა ასპექტს და მათი შესაძლებლობების განსხვავებების ანალიზს, სპეციფიკურ მოთხოვნილებებსა და ინტერესებს [2, გვ. 19]. ჩვენი მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მდებრობითი სქესის გამოკითხულ სტუდენტთა მხოლოდ 4.4 %, ხოლო მამრობითი სქესის სტუდენტთა 9.2 % ფიქრობს, რომ საქართველოში დემოგრაფიული სიტუაცია სტაბილურია და არ საჭიროებს რეგულირებას. ორივე სქესის რესპონდენტთა დაახლოებით 65.0 %-ის აზრით კი, დემოგრაფიული სიტუაცია საგანგაშოა, მაგრამ ექვემდებარება გამოსწორებას. მდებრობითი სქესის 12.8 და მამრობითი სქესის წარმომადგენელთა 9.9 %-ის აზრით კი, საქართველოს დემოგრაფიული ვითარება კატასტროფულია. სტუდენტთა შეფასების განსხვავების ზომის დასადგენად გავიანგარიშეთ ვარიაციის დიაპაზონი. იმ სტუდენტებთან შედარებით, რომლებიც თვლიან, რომ საქართველოში დემოგრაფიული ვითარება სტაბილურია, 6.2 პროცენტული პუნქტით მეტნი არიან ის რესპონდენტები, რომლებიც არსებულ დემოგრაფიულ მდგომარეობას კატასტროფულად აფასებენ, ხოლო ის სტუდენტები, რომლებსაც დემოგრაფიული სიტუაცია საგანგაშოდ მიაჩნიათ – 59.3 პროცენტული პუნქტით მეტია. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულ სტუდენტთა 17.3 %-ს უჭირს დემოგრაფიული მდგომარეობის შეფასება, რადგან არასოდეს არ დაინტერესებულან ამ საკითხით.

ქვემოთ მოცემულ ნახაზზე წარმოდგენილია სტუდენტთა პროცენტული რაოდენობა სქესის მიხედვით, რომლებიც სხვადასხვაგვარად აფასებენ დემოგრაფიულ სიტუაციას.


**ნახაზი 32.** სტუდენტთა მიერ დემოგრაფიული სიტუაციის შეფასება (სქესის მიხედვით), %



ასაკი წარმოადგენს მნიშვნელოვან სტატისტიკურ (და არა მხოლოდ სტატისტიკურ) მახასიათებელს, რომელიც მჭიდრო კავშირშია მრავალ სოციალურ თუ ეკონომიკურ მოვლენასა და ადამიანთა მდგომარეობასთან. ამასთან ერთად, ასაკი ერთ-ერთი მთავარი დემოგრაფიული მახასიათებელია, რომელიც საფუძვლად უდევს სხვადასხვა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაანგარიშებას. სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული ქცევის შესწავლაში აქტიურობით გამოირჩეოდნენ ქალები, რომელთა საშუალო ასაკია 21.3 წელი, ხოლო მამაკაცებისა – 20.9 წელი, ამასთან, ორივე სქესის მიხედვით, რესპონდენტებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი აღმოჩნდა 20 – 24 წლიანთა ასაკობრივი ჯგუფი [მინდორაშვილი, 2019]. ასაკის მიხედვით საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობის განხილვისას აღმოჩნდა, რომ უფროსი ასაკობრივი ჯგუფების სტუდენტებში (25-29 წლის, 30 წლის და უფროსი ასაკის) პროცენტულად უფრო მეტი გამოკითხული თვლის დემოგრაფიულ ვითარებას სტაბილურად (შესაბამისად, 7.9% და 11.1%), ვიდრე უფრო ახალგაზრდა ასაკის სტუდენტებში (20-24 წლის ასაკობრივი ჯგუფში – 5.9% და 20 წელზე უმცროსები – 4.5%). დემოგრაფიულ ვითარებას საგანგაშოდ კი, პირიქით, უფრო მეტად ახალგაზრდა სტუდენტები აფასებენ (20 წელზე უმცროსების 72.4%, 20-24 წლის ასაკობრივი ჯგუფიდან – 64.0%), ვიდრე უფროსი ასაკის სტუდენტები (25-29 წლის ასაკობრივი ჯგუფი – 52.6%, 30 წლის და უფროსი ასაკის – 44.4%).

ქვემოთ მოცემული ნახაზი გვიჩვენებს სტუდენტთა პროცენტულ განაწილებას ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, რომლებიც სხვადასხვაგვარად აფასებენ საქართველოს დემოგრაფიულ ვითარებას.


**ნახაზი 33.** სტუდენტთა მიერ დემოგრაფიული სიტუაციის შეფასება (ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით), %



აღსანიშნავია, რომ სტუდენტთა დაბადების ადგილის მიხედვით დაჯგუფების შედეგად მიღებული შეფასებები არ გამოირჩევა დიდი რხევადობით და მათი რაოდენობრივი სიდიდეები დაახლოებით თანაბარია. საქალაქო დასახლებებში დაბადებულ სტუდენტთა 6.1 % დემოგრაფიულ მდგომარეობას საქართველოში სტაბილურად მიიჩნევს. იგივე აზრი დააფიქსირა სასოფლო დასახლებებში დაბადებულ სტუდენტთა 4.9 %-მა... „ქალაქელი“ სტუდენტების 65.3 % საგანგაშოდ, ხოლო 11.6 პროცენტი კატასტროფულად მიიჩნევს დემოგრაფიულ სიტუაციას... „სოფლელი“ სტუდენტების 64.2 %-ის აზრით, ვითარება საგანგაშოა, ხოლო 13.0 %-ის აზრით კი – კატასტროფული.

ქვემოთ მოცემული ნახაზი ასახავს სტუდენტთა პროცენტულ განაწილებას დაბადების ადგილის მიხედვით, რომლებიც სხვადასხვაგვარად აფასებენ საქართველოს დემოგრაფიულ მდგომარეობას.


**ნახაზი 34.** სტუდენტთა მიერ დემოგრაფიული სიტუაციის შეფასება (დაბადების ადგილის მიხედვით), %



აღსანიშნავია, რომ კვლევაში მონაწილე ყველა უნივერსიტეტის გამოკითხული სტუდენტების უმრავლესობა ფიქრობს, რომ საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა საგანგაშოა, მაგრამ ცალკეული უმაღლესი სასწავლებლების მიხედვით მნიშვნელოვანი ვარიაცია გამოვლინდა. ასე, მაგალითად, ვითარებას სტაბილურად მიიჩნევს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოკითხულ სტუდენტთა 10.3 %, მაშინ როდესაც, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მხოლოდ 3.3 % ფიქრობს ასე. ვითარება საგანგაშოდ ყველაზე მეტად მიაჩნიათ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს (75.0%), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებიდან კი მხოლოდ 40.0 % ეთანხმება აღნიშნულ დებულებას. ამავე უნივერსიტეტის მესამედი (ყველაზე მაღალი წილი უნივერსიტეტებს შორის) თვლის, რომ დემოგრაფიული სიტუაცია საქართველოში კატასტროფულია. აღნიშნულ მოსაზრებას ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხოლოდ 8.7 % ეთანხმება. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველაზე მეტი სტუდენტი – 69.3 % ფიქრობს, რომ ვითარება საგანგაშოა, 9.8 %-ის აზრით – კატასტროფული, ხოლო 4.9 %-ის აზრით – სტაბილური.

ქვემოთ მოცემულ ნახაზზე (35) წარმოდგენილია სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტთა პროცენტული განაწილება საქართველოში არსებული დემოგრაფიული მდგომარეობის შეფასების მიხედვით

**ნახაზი 35. სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტთა მიერ დემოგრაფიული სიტუაციის შეფასება**




სოციალური და დემოგრაფიული სტატისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა საზოგადოების საგანმანათლებლო პოტენციალის



გაზომვა და მისი ჩამოყალიბების, დიფერენციაციისა და გამოყენების პროცესების შესწავლა. საზოგადოების საგანმანათლებლო პოტენციალი – ესაა თაობების მიერ დაგროვილი ცოდნის მოცულობა, ხარისხი და პროფესიული გამოცდილება, რომელიც შეთვისებულია მოსახლეობის მიერ და მისი კვლავნარმოება ხდება განათლების სისტემის მეშვეობით [1, გვ. 138]. მოსახლეობის და, განსაკუთრებით, ახალგაზრდობის განათლების სხვადასხვა დონე ქმნის ძლიერ დიფერენცირებულ შეხედულებებსა და განწყობებს დემოგრაფიულ საკითხებზე. ამის ნათელი დადასტურებაა ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებიც, კერძოდ: უმაღლეს სასწავლებლებში საგანმანათლებლო საფეხურების მიხედვით, გამოვლინდა მნიშვნელოვნად განსხვავებული პასუხები: საქართველოს დემოგრაფიულ სიტუაციას სტაბილურად აფასებენ უფრო მეტად დოქტორანტები (16.7%), ვიდრე ბაკალავრიატის სტუდენტები (6.1%) და მაგისტრანტები (2.6%). ვითარებას საგანგაშოდ მიიჩნევენ ბაკალავრიატის სტუდენტთა 66.9 %, მაგისტრანტთა 61.2 % და დოქტორანტთა 33.3 %. კატასტროფული მდგომარეობა დაასახელა დოქტორანტების 16.7 %-მა, მაგისტრანტების 15.5 %-მა და ბაკალავრიატის სტუდენტთა 11.1 %-მა.

ქვემოთ მოცემული ნახაზი (36) გვიჩვენებს უმაღლესი სასწავლებლის სამივე საფეხურის სტუდენტთა შეხედულებას საქართველოს დემოგრაფიული სიტუაციის შესახებ.

**ნახაზი 36. სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტთა მიერ დემოგრაფიული სიტუაციის შეფასება (%)**




დემოგრაფიული პროცესები მიმდინარეობს ძირითადად ოჯახში. შესაბამისად, მოსახლეობის ქორწინებითი მდგომარეობის შესწავლას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. მამაკაცებში, ქალებთან შედარებით, საქართველოში მნიშვნელოვნად დაბალია დაუქორწინებლების ხვედრი წილი [5, გვ. 199-200]. ქორწინების სტატუსის მიხედვით ქვეყნის დემოგრაფიული ვითარება სტაბილურად მიაჩნია დაუქორწინებელთა მხოლოდ 5.6 %-ს და დაქორწინებულთა 8.3 %-ს. გამოკითხულ განქორწინებულთაგან არცერთი არ ფიქრობს, რომ ვითარება სტაბილურია. დემოგრაფიულ მდგომარეობას საგანგაშოდ აღიქვამს დაუქორწინებელთა



66.3 %, დაქორწინებულთა და განქორწინებულთა თანაბარი წილი – 50 %. მდგომარეობას კატასტროფულად აფასებს განქორწინებულთა 50 %, დაქორწინებულთა 19.4 % და დაუქორწინებელთა 11.2 %.


ქვემოთ მოცემულ ნახაზზე (37) ასახულია სტუდენტთა შეფასება ქორწინების სტატუსის მიხედვით.

**ნახაზი 37. სტუდენტთა მიერ დემოგრაფიული სიტუაციის შეფასება ქორწინების სტატუსის მიხედვით (%)**




კვლევის შედეგები დამუშავდა ასევე ეთნიკური ნიშნის მიხედვითაც, რამაც მეტად განსხვავებული სურათი აჩვენა. ქართველი ეროვნების გამოკითხული სტუდენტების 67.1 % ფიქრობს, რომ საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა საგანგაშოა, მაგრამ ექვემდებარება გამოსწორებას, 12.1 %-ის აზრით – კატასტროფულია, ხოლო 4.6 %-ის აზრით – სტაბილურია. ეროვნებით სომეხი სტუდენტების 35.7 % მიიჩნევს, რომ ვითარება საგანგაშოა, 21.4 %-ის აზრით – სტაბილური და 10.7 %-ის აზრით – კატასტროფული. აზერბაიჯანელი ეროვნების სტუდენტთა ერთი მესამედი ვითარებას სტაბილურად აფასებს, ხოლო დანარჩენ სტუდენტებს უჭირთ პასუხის გაცემა. გამოკითხული რუსი და იეზიდო ეროვნების სტუდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა თვლის, რომ საქართველოში დემოგრაფიული სიტუაცია საგანგაშოა (იხ. ნახაზი 38).

**ნახაზი 38. სხვადასხვა ეროვნების სტუდენტთა მიერ დემოგრაფიული სიტუაციის შეფასება (%)**




ვარიაციის დიდი დიაპაზონი აქვს შემოსავლების დონის მიხედვით სტუდენტთა ჯგუფების დამოკიდებულებას დემოგრაფიულ პროცესებზე. ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველოს დემოგრაფიულ ვითარებას სტაბილურად აფასებს ყველაზე მეტად მაღალშემოსავლიანი რესპონდენტების 9.1%. სხვა ჯგუფებთან შედარებით, პროცენტულად ყველაზე მეტი დაბალშემოსავლიანი სტუდენტი ფიქრობს, რომ ვითარება საგანგაშოა (66.1%), ხოლო მაღალშემოსავლიანი სტუდენტების 27.3 %-ის აზრით, ვითარება კატასტროფულია (იხ. ნახაზი 39).

**ნახაზი 39. შემოსავლის სხვადასხვა დონის სტუდენტთა ჯგუფების მიერ დემოგრაფიული სიტუაციის შეფასება (%)**



რელიგიურობის მიხედვით კვლევამ სპეციფიკური და მეტად საინტერესო სურათი აჩვენა, კერძოდ: რელიგიური სტუდენტების 68.0 % ფიქრობს, რომ საქართველოში საგანგაშო დემოგრაფიული მდგომარეობაა, ხოლო 12.1 %-ის აზრით კი – ვითარება კატასტროფულია. გამოკითხული რელიგიური სტუდენტების მხოლოდ 4.7 % აფასებს დემოგრაფიულ ვითარებას სტაბილურად, ხოლო არარელიგიური სტუდენტებიდან ორჯერ უფრო მეტი, ანუ 9.6 %, სტაბილურად აფასებს დემოგრაფიულ ვითარებას (იხ. ნახაზი 40).


**ნახაზი 40. დემოგრაფიული სიტუაციის შეფასება სტუდენტთა რელიგიურობის ნიშნით (%)**



ქალისა და მამაკაცის გენდერულ თანასწორობაზე, სხვადასხვა შეხედულების მქონე სტუდენტებს შორის, ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა ასე შეფასდა: მათგან, ვინც არ ემხრობა გენდერულ თანასწორობას, ყველაზე მეტი რესპონდენტი, ანუ 55.6 პროცენტი თვლის, რომ კატასტროფული დემოგრაფიული ვითარება გვაქვს. მათგან, ვინც ნაწილობრივ ან სრულიად ემხრობა გენდერულ თანასწორობას, პროცენტულად ყველაზე მეტი ფიქრობს, რომ საქართველოს დემოგრაფიული სიტუაცია საგანგაშოა (შესაბამისად, 64.2 და 66.5 პროცენტი). ჩვენი აზრით, სტუდენტთა ასეთი მკაცრი განწყობა გენდერული თანასწორობის საკითხში, გარკვეულწილად იმაზე მიუთითებს, რომ მათ ძალიან მწირი ცოდნა გააჩნიათ ზოგადად გენდერის საკითხებზე. გენდერული პრობლემა კი მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობაში მეტ-ნაკლებად არსებობს და მისი გადაჭრის გზებიც განსხვავებულია. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა, სადაც, მართალია, გენდერული პრობლემები სახელმწიფოს ყურადღების ცენტრშია, მაგრამ სასურველი შედეგები ჯერ კიდევ არ არის მიღწეული. ბოლო წლებში ამ მიმართულებით გენდერული საკითხების სწავლება გაფართოვდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ამოქმედდა სამაგისტრო პროგრამა „გენდერის კვლევები“, ასევე, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამაგისტრო მოდულში „ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა“ ისწავლება საგანი „გენდერული სტატისტიკა“, მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ყველაფერი არ არის ხელმისაწვდომი ფართო საზოგადოებისათვის, მათ შორის – სტუდენტებისათვის.


41-ე ნახაზზე წარმოდგენილია გენდერულ თანასწორობაზე სხვადასხვა შეხედულების მქონე სტუდენტთა დემოგრაფიული განწყობა.

**ნახაზი 41. სტუდენტთა შეხედულებები გენდერულ თანასწორობაზე (%)**



გარკვეულ ინტერესს იწვევს სტუდენტთა განწყობის შესწავლა მარიხუანას მოხმარების დეკრიმინალიზაციის საკითხზე. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ის რესპონდენტები, რომლებიც ფიქრობენ, რომ მარიხუანას მოხმარების დეკრიმინალიზაცია ზეგავლენას არ მოახდენს შობადობაზე და დემოგრაფიული სიტუაცია სტაბილურია, მხოლოდ 7.8%-ს შეადგენს; გამოკითხული სტუდენტების 67.5% თვლის, რომ მარიხუანას მოხმარების დეკრიმინალიზაცია შეამცირებს შობადობას და დემოგრაფიული მდგომარეობა საგანგაშოა, ხოლო ასეთი სტუდენტების 15.2%-ის აზრით კი – ვითარება კატასტროფულია (იხ. ნახაზი 42).


**ნახაზი 42.** შვილიანობაზე მარიხუანის მოხმარების გავლენის შეფასება სტუდენტების მიერ



კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა 22.8 % ფიქრობს, რომ საქართველოს უმთავრესი გამოწვევა არის დემოგრაფიული პრობლემები. მათგან 67.0%-ის აზრით, ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა საგანგაშოა, მაგრამ ექვემდებარება გამოსწორებას; 28.9% ფიქრობს, რომ ვითარება კატასტროფულია, ხოლო 1.0 % თვლის, რომ მდგომარეობა სტაბილურია და არ საჭიროებს რეგულირებას. გამოკითხულთა 9.4%-ის აზრით, საქართველოსთვის ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანია დემოგრაფიული პრობლემა, მათი 7.5 % ფიქრობს, რომ დემოგრაფიული ვითარება ქვეყანაში სტაბილურია.

სტუდენტების გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ ის რესპონდენტები, ვისი აზრითაც საქართველოში უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში დაბადებულთა რიცხვი გარდაცვლილთა რიცხვზე ნაკლებია, უმეტესად ფიქრობენ, რომ ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა საგანგაშო ან კატასტროფულია (67.9% და 17.8%). ის გამოკითხულები კი, რომლებიც თვლიან, რომ დაბადებულთა რიცხვი გარდაცვლილთა რიცხვზე მეტია, საქართველოს დემოგრაფიულ ვითარებას საგანგაშოდ აფასებს 70.0%, სტაბილურად კი – 10.0% (იხ. ნახაზი 43).

**ნახაზი 43.** სტუდენტების მიერ შობადობისა და სიკვდილიანობის დონეთა შეფასება (%)



კვლევის შედეგების მიხედვით, სტუდენტთა აზრით, საქართველოში ყოველმა წევილმა (ქალ-ვაჟმა) მოსახლეობის რიცხოვნობის გასაზრდელად უნდა იყოლიოს 2 ბავშვი (8.8%), 3 ბავშვი (61.4%), 4 ბავშვი (22.7%), 5 და მეტი ბავშვი (6.3%), საშუალოდ კი – 2.27 ბავშვი. გამოკითხული სტუდენტები აპირებენ საშუალოდ 2.6 ბავშვის ყოლას. შედარებისათვის აქ საინტერესოა აღინიშნოს, რომ გამოკითხული სტუდენტების მშობლებს საშუალოდ ჰყავთ 2.3 ბავშვი, სტუდენტების ბებია-ბაბუას დედის მხრიდან საშუალოდ ჰყავთ 2.82 ბავშვი, ხოლო ბებია-ბაბუას მამის მხრიდან – 2.84 ბავშვი. მაშასადამე, გრძელვადიან დინამიკაში ოჯახში ბავშვთა საშუალო რიცხოვნობა შემცირების ტენდენციით ხასიათდება. მისი გამოსწორება კი, მოვლენის სპეციფიკიდან გამომდინარე, დროის მოკლე პერიოდში შეუძლებელია. როდესაც ერი მიეჩვია დაბალი შობადობის დონის პირობებში ცხოვრებას, ძნელია რეპროდუქციული განწყობის შექმნა და მისი რეალიზაცია რეპროდუქციულ ქცევაში [თოთაძე, 4].

გამოკითხული სტუდენტების 30.3% იცნობს საქართველოს დემოგრაფიულ პოლიტიკას, 59.3 % – არ იცნობს, ხოლო 8.4 %-ის აზრით, დემოგრაფიული პოლიტიკა საქართველოში საერთოდ არ არსებობს. როგორმე უნდა მოვახერხოთ, რომ ქვეყანაში მოსახლეობის ის რაოდენობა მაინც შენარჩუნდეს, რომელიც ამჟამად არის. მხოლოდ სწორი დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში შეიძლება ქვეყანაში ისეთი მდგომარეობა შეიქმნას, რომ მოსახლეობა აღარ შემცირდეს [სახვაძე, 6].

კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულ სტუდენტთა დაახლოებით მეოთხედი (23%) სათანადოდ ვერ აფასებს საქართველოში არსებულ დემოგრაფიულ მდგომარეობას. გამოკითხულთა 22.8% ფიქრობს, რომ საქართველოს უმთავრესი გამოწვევა არის დემოგრაფიული პრობლემა-

ბი; მათგან 67.0% ფიქრობს, რომ ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა საგანგაშოა, მაგრამ ექვემდებარება გამოსწორებას, 28.9%-ის აზრით, ვითარება კატასტროფულია, ხოლო მხოლოდ 1.0% თვლის, რომ მდგომარეობა სტაბილურია და არ საჭიროებს რეგულირებას. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულ სტუდენტთა 17.3 %-ს უჭირს დემოგრაფიული მდგომარეობის შეფასება, რადგან არასოდეს არ დაინტერესებულან ამ საკითხით.

ერთ-ერთი საყურადღებო შედეგი, რაც კვლევამ აჩვენა, არის ის, რომ გამოკითხულ სტუდენტებს სურთ იყოლიონ სამუალოდ უფრო ნაკლები ბავშვი, ვიდრე მათ მშობლებს და ბებია-ბაბუას ჰყავთ. ეს კი, ისედაც შემცირებული მოსახლეობის რიცხოვნობის კიდევ უფრო შემცირებას გამოიწვევს და მოსახლეობის აღწარმოების მარტივი რეჟიმიდან შეკვეცილი (შევიწროებული) აღწარმოების რეჟიმს დაეუბრუნდება. აქედან გამომდინარე, აუცილებელია საზოგადოება და, განსაკუთრებით, სტუდენტები, მომავალი მშობლები, უფრო სიღრმისეულად გაეცნონ ქვეყნის დემოგრაფიულ სტრუქტურას, გააანალიზონ მომავალში მოსალოდნელი შედეგები. სახელმწიფომ უნდა წაახალისოს სამ და ოთხ-შვილიანი ოჯახების რაოდენობის ზრდა ბავშვთა ყოლის გაზრდილი მოთხოვნილების მოტივაციის ფორმირებითა და შესაბამისი მატერიალური დახმარებით.

კვლევის შედეგად ნათლად გამოვლინდა საქართველოში სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიულ საკითხებზე განათლების დაბალი დონე, რაც ძირითადად განპირობებულია უმაღლეს სასწავლებლებში შესაბამისი საგნების სწავლების დეფიციტით.

## თავი IV სტუდენტების რეპროდუქციული და ქორწინებითი განწყობა

რეპროდუქციული განწყობა, როგორც შესავალში აღვნიშნეთ, არის ცალკეული პიროვნების ან პიროვნებათა ჯგუფის დამოკიდებულება შვილიანობის, რაც იგივეა, ოჯახში ბავშვების ამა თუ იმ რიცხვის ყოლის შესახებ. სტატისტიკურ ერთობლიობაში ეს ნიშნავს დამოკიდებულებას შობადობის, როგორც დემოგრაფიული პროცესის მიმართ.

ვიდრე კვლევის ძირითადი შედეგების ანალიზზე გადავიდოდეთ, საჭიროდ ჩავთვალეთ ნათლად წარმოგვეჩინა მოსახლეობის სტრუქტურული ასაკების როლი საქართველოს მოსახლეობის შობადობის დონის ფორმირებაში. ასეთი ასაკებია 20-24, 25-29 და 30-34 წლები, რომლებიც, სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით, ყოველთვის ხასიათდებოდნენ და ხასიათდებიან შობადობის მაღალი დონით.

ოფიციალური სტატისტიკით, 2018 წელს საქართველოში ცოცხლად-შობილი ბავშვების რიცხვმა შეადგინა 51,1 ათასი. აქედან, 20-34 წლის ქალებზე მოდიოდა 40,9 ათასი ბავშვი, ე. ი. სტრუქტურული ასაკის ქალების კონტინგენტის მიერ დაბადებული ბავშვების ხვედრი წილი ამ წელს დაბადებული ბავშვების 80,0% შეადგენს. ამით ჩვენ გვინდა კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი სტრუქტურული ასაკობრივი კონტინგენტის და თვით სტრუქტურული ახალგაზრდობის როლს საქართველოს მოსახლეობის აღწარმოებაში, რომელიც დღეისათვის მეტად სავალალო მდგომარეობაში იმყოფება.

ვინაიდან რეპროდუქციული განწყობა ეხება შობადობის და ფაქტობრივად ჩვენი ქვეყნის მომავალს, ზედმეტი არ იქნება გავეცნოთ შობადობის კონკრეტულ სტატისტიკას. გასული საუკუნის 90-იან წლებამდე შობადობის არსებული დონე აკმაყოფილებდა მოსახლეობის აღწარმოების მოთხოვნებს. მას შემდეგ შობადობა მკვეთრად დაეცა 10-11 პრომილეს დონეზე. ასეთ პირობებში, მოკვდაობის ანალოგიური დონით 2000-2004 წლებში მოსახლეობის ბუნებრივი მატება ნულის ტოლი გახდა.<sup>1</sup> შობადობის დონემ ოდნავ მოიმატა 2010 წლის შემდეგ. ჩვენი გაანგარიშებით, 2012-2018 წლებში შობადობის დონემ საშუალოდ 14,6 პრომილე შეადგინა, რაც მეტად დაბალი მაჩვენებელია, ისე კი 2018 წელს შობადობის კოეფიციენტმა 13, 7 პრომილე შეადგინა, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის მხოლოდ მარტივ აღწარმოებას. თუ ასე გაგრძელდა, ეს ნიშნავს, რომ საქართველოს მოსახლეობა უნდა დარჩეს 3,7 მლნ მცხოვრებით მაშინ, როდესაც საქართველოს მოსახლეობა მეორე მსოფლიო ომის დროს, კერძოდ კი 1941 წელს, ასევე 3,7 მილიონს შეადგენდა.<sup>2</sup>

<sup>1</sup> მერაბ ხმალაძე, დემოგრაფია, თბ., 2009, გვ. 211

<sup>2</sup> Численность, состав и движение населения Грузинской ССР. Тб., 1981, с. 11

მეტად საინტერესოა ის, რომ შობადობის დონე მკვეთრად დიფერენცირებულია საქართველოს რეგიონების მიხედვით. ჩვენ გავიანგარიშეთ შობადობის ზოგადი კოეფიციენტები (დაბადებულთა რიცხვი 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით) 2018 წლის მდგომარეობით და რეგიონები დავალაგეთ რანჟირებულად კლებადობის მიხედვით.

**ცხრილი 23. შობადობის დონე რეგიონების მიხედვით (პრომილე) \***

აჭარა	16,7	შიდა ქართლი	12,9
ქვემო ქართლი	14,3	სამეგრელო	12,4
თბილისი	13,9	ზემო სვანეთი	12,1
სამცხე-ჯავახეთი	13,5	გურია	11,5
იმერეთი	13,3	მცხეთა-მთიანეთი	11,4
კახეთი	13,2	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	10,9

\* ცხრილი აგებულია ჩვენს მიერ საქსტატის მონაცემების მიხედვით.

ზოგადად შობადობის და, მათ შორის, მისი რეგიონული დიფერენციაციის მარტივი ვარიაციული ანალიზი აჩვენებს, რომ მაჩვენებელთა (პრომილე) დიაპაზონი ფართოა. ასე, მაგალითად, განსხვავება მაჩვენებლების მაქსიმალურ (აჭარა – 16,7) და მინიმალურ (რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი – 10,9) სიდიდეებს შორის შეადგენს 5,8 პრომილეს.

რეპროდუქციული განწყობის შესწავლის მიზანია დაადგინოს, ადამიანის განწყობა შვილიანობისადმი შეესაბამება თუ არა მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების მოთხოვნებს. მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას ზოგადად ასახიანებებს „შობადობის ჯამური კოეფიციენტი“.

შობადობის ჯამური კოეფიციენტი უჩვენებს ბავშვების იმ რიცხვს, რომელიც ეყოლება საშუალოდ ერთ ქალს მთელი მისი რეპროდუქციული პერიოდის განმავლობაში იმ პირობით, რომ ამ პერიოდის განმავლობაში შენარჩუნებული იქნება მოცემულ წელს არსებული შობადობის დონე. დემოგრაფიაში დადგენილია, რომ მოსახლეობის მარტივი აღწარმოების უზრუნველსაყოფად საჭიროა, რომ შობადობის ჯამური კოეფიციენტი ტოლი იყოს 2,1-ის, სხვანაირად რომ ვთქვათ, 100 ქალს უნდა ყავდეს 210 ბავშვი. საქსტატის მონაცემებით, აღნიშნული მაჩვენებელი 2017-2018 წლებში ტოლია 2,1-ის რაც აკმაყოფილებს მხოლოდ მოსახლეობის მარტივი აღწარმოების მოთხოვნებს.

მოსახლეობის რეპროდუქციული განწყობის შესწავლისას გამოიყენება შობადობის პერსპექტივის შემდეგი მახასიათებლები: ბავშვთა იდეალური, სასურველი და მოსალოდნელი რიცხვი. იდეალურ რიცხვში იგულისხმება ოჯახისთვის ზოგადად, იდეალად მიჩნეული რიცხვი. სასურველში – იგულისხმება პიროვნებისთვის სასურველი, რამდენიც სურს მას რომ იყოლიოს. მოსალოდნელი რიცხვი, რომელსაც კვლევის ანკეტაში ვუნოდეთ ბავშვთა დაგეგმილი რიცხვი, უფრო უახლოვდება რეალობას, მაგრამ ის არ ასახავს ბავშვთა იმ ფაქტობრივ რიცხვს, რომელიც სი-



ნამდვილეში ეყოლება ადამიანს. რეპროდუქციული განწყობის და ქცევის ყველა კვლევამ აჩვენა, რომ ბავშვთა ყველაზე მეტი რიცხვია – იდეალური, შემდეგ მოდის სასურველი და შემდეგ მოსალოდნელი რიცხვი. აღნიშნული მაჩვენებლები წარმოადგენენ შობადობის დონის ორიენტირებს პერსპექტივაში და დიდ როლს თამაშობენ დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებაში.

კვლევის გამარტივების მიზნით, ოჯახში ბავშვთა იდეალური რიცხვის დაფიქსირებაზე არ შეეჩერდით. რაც შეეხება სასურველი და მოსალოდნელი ბავშვების რიცხვს, მივიღეთ შემდეგი სურათი: სტუდენტების, და საერთოდ მოსახლეობის შვილიანობაზე მოქმედებს რიგი სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული და სხვა ფაქტორები, რომელთაგან ჩვენ მიერ შესწავლილ იქნა შემდეგი: სქესი, ასაკი, დაბადების ადგილი, ქორწინების სტატუსი, ეროვნება, შემოსავალი და რელიგიურობა. შესაბამისი სტატისტიკური გამოთვლების დახმარებით შევეცადეთ დაგვედგინა კავშირი აღნიშნულ ფაქტორებსა და ოჯახში ბავშვებს სასურველ და მოსალოდნელ რიცხვს შორის.

სქესი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ყველა დემოგრაფიული პროცესის მიმდინარეობას. სქესი წარმოადგენს ადამიანის უმთავრეს ბიოლოგიურ ნიშანს, რომელსაც დემოგრაფიული პროცესების კვლევისას დიდი ყურადღება ექცევა, ეს იქნება შობადობის, მოკვდაობის, მიგრაციის თუ ქორწინება-განქორწინების კვლევა. შესაბამისად, ისტორიულად მოსახლეობის აღწერების და მოსახლეობის მიმდინარე სტატისტიკის პროგრამებში, ასევე შერჩევით კვლევებში, სქესის დაფიქსირება სავალდებულოა. ჯერ კიდევ XVIII საუკუნის ფრანგი დემოგრაფი მოხო (ზოგან მოო) წერდა: „მთავარი განსხვავება, რომელიც არსებობს კაცობრიობაში, ესაა სქესი. ის აყალიბებს სანყისს, ყველა დროისათვის უცვლელს, აძლევს ადამიანს ცნობილ სხეულის აგებულებას, მანერებს, ფიზიკურ სიძლიერეს, ავადმყოფობებს, ფორმას, ხასიათს, სულიერ თვისებებს, გულს, გემოვნებას, ზნეობას, უფლებებს, პრივილეგიებს, მოვალეობებს, რომლებიც არსებითად განასხვავებენ კაცებს და ქალებს.“<sup>1</sup> ჩვენი კვლევით, ბავშვების სასურველი და მოსალოდნელი რიცხვის განაწილება სქესის მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა:

**ცხრილი 24 . ბავშვების სასურველი რიცხვის განაწილება რესპონდენტების სქესის მიხედვით, %**

	ბავშვების სასურველი რიცხვი					სულ	ბავშვების საშუალო რიცხვი
	1	2	3	4	5 +		
ქალები	4,6	26,0	44,4	18,2	6,8	100,0	2,97
კაცები	4,2	27,7	41,7	19,4	7,0	100,0	2,97
სულ	4,5	26,5	43,6	18,6	6,8	100,0	2,97


<sup>1</sup> М.Б. Птуха, Очерки по истории статистики XVII – XVIII веков. М., 1945, с. 242-243

**ცხრილი 25. ბავშვების მოსალოდნელი რიცხვის განაწილება რესპონდენტების სქესის მიხედვით, %**

	ბავშვების მოსალოდნელი რიცხვი					სულ	ბავშვების საშუალო რიცხვი
	1	2	3	4	5 +		
ქალები	5,3	31,6	42,6	15,4	5,1	100,0	2,83
კაცები	5,8	33,4	40,0	16,0	4,8	100,0	2,81
სულ	5,4	32,1	41,9	15,6	5,0	100,0	2,83

რესპონდენტების სქესის მიხედვით, ბავშვების სასურველი და მოსალოდნელი რიცხვის განაწილების ნახაზი შემდეგი სახისაა:

**ნახაზი 44. ბავშვების სასურველი და მოსალოდნელი რიცხვის განაწილება რესპონდენტების სქესის მიხედვით \***



\* აქ და ქვემოთ ყველა ნახაზი აგებულია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

როგორც მთლიანად გამოკითხული კონტინგენტისათვის, მათ შორის ქალებისა და კაცებისათვის, ბავშვთა სასურველი რიცხვი 2,97-ს შეადგენს, რაც სრულიად აკმაყოფილებს მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების მოთხოვნებს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მაჩვენებელი, როგორც წესი, კაცებში საშუალოდ შედარებით მეტია. ჩვენს შემთხვევაში, კაცების უფრო მეტ რიცხოვნობას სურს ორი და ხუთი შვილი.

ჩვენი კვლევის მიხედვით, ბავშვების მოსალოდნელი საშუალო რიცხვი სასურველზე დაბალია და შეადგენს 2,83, რაც ასევე აკმაყოფილებს მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების მოთხოვნებს. ქალებისათვის ბავშვების მოსალოდნელი საშუალო რიცხვია 2,83 და ის მცირედით მეტია კაცების ანალოგიურ მაჩვენებელზე – 2,81. გამოკითხულთა ორიენტაცია მიმართულია მეორე და მესამე შვილზე, კერძოდ: სასურველი ბა-

ვმეგობის შემთხვევაში მეორე და მესამე ბავშვი სასურველად დაასახელა გამოკითხულთა 70,1%-მა, ხოლო მოსალოდნელი – 74, 0%-მა.

სქესთან ერთად, ასაკი ასევე წარმოადგენს მნიშვნელოვან დემოგრაფიულ მახასიათებელს, რომლის რეგისტრაციაც სავალდებულოა როგორც მოსახლეობის აღწერაში, ისე მოსახლეობის მიმდინარე სტატისტიკის წარმოებისა და შერჩევითი დემოგრაფიული კვლევების ჩატარებისას. ასაკი არის დროის ხანგრძლივობა ადამიანის დაბადებიდან მისი სიცოცხლის გარკვეულ მომენტამდე. ასაკი წარმოადგენს მნიშვნელოვან დემოგრაფიულ კატეგორიას. მისი ბუნების შესახებ არ არსებობს ერთგვაროვანი აზრი. დემოგრაფების ერთი ნაწილი თვლის, რომ ადამიანის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი – ასაკი ბიოლოგიური პარამეტრია და ასახავს ადამიანის ბიოლოგიურ მდგომარეობას, მაგრამ აქვს პირველხარისხოვანი სოციალური მნიშვნელობა. მეორე ნაწილის აზრით, რამდენადაც ინდივიდის ყოფიერება სოციალური ყოფიერებაა, ამიტომ ყოფიერების ხანგრძლივობის დამახასიათებელი პარამეტრი, ინდივიდის ასაკი, უპირველეს ყოვლისა, სოციალური კატეგორიაა. შეიძლება ითქვას, რომ სოციალური ყოფიერების ამსახველი პარამეტრი, ინდივიდის ასაკი, ესაა დრო, რომელიც ობიექტურად არსებობს. ასე, რომ ასაკი უპირველეს ყოვლისა, სოციალური პარამეტრი არ არის. ასაკის, როგორც დემოგრაფიული კატეგორიის თავისებურება ისაა, რომ ის ერთდროულად ბიოსოციალური ბუნებისაა.<sup>1</sup>

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობის შესწავლა დემოგრაფიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს, რამდენადაც მოსახლეობის ასაკობრივ შემადგენლობას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს დემოგრაფიულ კვლევებში. დემოგრაფიული პროცესების დეტალური ანალიზი ეყრდნობა მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ბაზაზე აგებულ მაჩვენებლებს, რამდენადაც ყველა დემოგრაფიული მოვლენა იცვლება ასაკის ზრდასთან ერთად. ასაკი წარმოადგენს დემოგრაფიული მოვლენების მთავარ კოორდინატორს.<sup>2</sup>

იმის მიუხედავად, რომ სტუდენტი ახალგაზრდობა ფაქტობრივად ერთი თაობაა, მათ რეპროდუქციულ განწყობაში ასაკის მიხედვით, გამოიკვეთა მნიშვნელოვანი განსხვავებები, რომელიც ასახულია ქვემოთ მოტანილ ცხრილებში.

**ცხრილი 26. ბავშვების სასურველი რიცხვის განაწილება რესპონდენტების ასაკის მიხედვით, %**

	ბავშვების სასურველი რიცხვი					სულ	ბავშვების საშუალო რიცხვი
	1	2	3	4	5 +		
<19	6,8	30,8	4,6	19,5	8,3	100,0	2,92
20-24	3,8	24,2	47,4	18,8	5,8	100,0	2,88
25-29	2,7	21,6	45,9	18,9	10,9	100,0	31,4

<sup>1</sup> მერაბ ხმალაძე, დემოგრაფია, თბ., 2009, გვ. 143

<sup>2</sup> იქვე, გვ. 143-144.


30>	0	55,6	44,4	0	0	100,0	2,44
სულ	4,4	26,5	43,6	18,6	6,9	100,0	2,97

**ცხრილი 27.** ბავშვების მოსალოდნელი რიცხვის განაწილება რესპონდენტების ასაკის მიხედვით, %


	ბავშვების მოსალოდნელი რიცხვი					სულ	ბავშვების საშუალო რიცხვი
	1	2	3	4	5 +		
<19	6,0	39,8	30,8	14,3	9,1	100,0	2,80
20-24	5,6	27,8	46,8	16,9	2,9	100,0	2,84
25-29	2,9	28,6	45,7	14,3	8,5	100,0	2,97
30>	0	66,7	33,3	0	0	100,0	2,33
სულ	5,4	32,1	41,9	15,6	5,0	100,0	2,83

ბავშვების სასურველი და მოსალოდნელი რიცხვის განაწილების ნახაზი რესპონდენტების ასაკის მიხედვით შემდეგი სახისაა:

**ნახაზი 45.** ბავშვების მოსალოდნელი რიცხვის განაწილება რესპონდენტების ასაკის მიხედვით, %



**ნახაზი 46.** ბავშვების სასურველი რიცხვის განაწილება რესპონდენტთა ასაკის მიხედვით, %



აღმოჩნდა, რომ ყველა ასაკობრივ ჯგუფში ბავშვების საშუალო სასურველი რიცხვი აღემატება მოსალოდნელს. ამასთან, ასაკის ზრდასთან ერთად, კერძოდ, 19-დან 24 წლის ჩათვლით, მაჩვენებლები მცირდება, ხოლო 25-29 წლის ასაკობრივი ჯგუფისთვის იზრდება, რის შემდეგაც ისევ მცირდება. კერძოდ, ბავშვების საშუალო სასურველი რიცხვი 20-24 წლის ასაკში 2,88-დან 25-59 წლის ჯგუფში 3,14-მდე, ე. ი. 9,0%-ით იზრდება, ხოლო მოსალოდნელი რიცხვი კი – 2,84-დან 2,97-მდე, ე. ი. 6%-ით მცირდება; ფაქტობრივად ორჯერ ნაკლებად, ვიდრე სასურველი რიცხვი.

რესპონდენტთა ორიენტაციები მიმართულია ორ და სამ შვილიან ოჯახზე. 30 წელს გადაცილებული რესპონდენტებისათვის, მათი ასაკიდან გამომდინარე, სურთ და გეგმავენ მხოლოდ ორი და სამი შვილის ყოლას. ჩვენი კვლევით, ორი და სამი შვილი სასურველად და მოსალოდნელად მიიჩნია 30 წლის და უფროსი ასაკის სტუდენტების 100,0 პროცენტმა. იმის მიუხედავად, რომ პირველი ბავშვის გაჩენას, როგორც წესი, წინ არაფერი ელოდება, მათი წილი ბავშვების როგორც სასურველ, ისე მოსალოდნელ რიცხვში, ყველა ფაქტორის მიხედვით 4,4-დან 5,5%-ის ფარგლებში მერყეობს. მაგრამ რეპროდუქციული განწყობა და განწყობის რეალიზება, ე. ი. ქცევა, არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც თვისებრივად, ისე რაოდენობრივად, რასაც ნათლად აჩვენებს ქვემოთ მოტანილი ცხრილი.

**ცხრილი 28. ბავშვების საშუალო სასურველი, მოსალოდნელი და ფაქტობრივი რიცხვის განაწილება დაბადების რიგითობის მიხედვით, %**

	ბავშვების მოსალოდნელი რიცხვი					სულ	ბავშვების საშუალო რიცხვი
	1	2	3	4	5 +		
ბავშვების რიცხვი ჩვენი კვლევიტ:							
სასურველი	4,4	26,5	43,6	18,6	6,9	100,0	2,97
მოსალოდნელი	5,4	32,1	41,9	15,6	5,0	100,0	2,83
ფაქტობრივი – საქსტატის მონაცემებით, 2018 წელს	37,9	38,2	18,3	4,1	1,5	100,0	2,1

ამკარად ჩანს დიდი განსხვავება შვილიანობის საშუალო სასურველ/მოსალოდნელ და ფაქტობრივ რიცხვს შორის. მართალია, აღნიშნული ერთობლიობები ერთმანეთისაგან განსხვავდება (სტრუქტურები და მთელი მოსახლეობა) და შედარების მკაცრი სტატისტიკური მეთოდოლოგიის თანახმად, ისინი მთლად შესადარისი არ არის, მაგრამ არსებითად ასახავს განსხვავებას რეპროდუქციულ განწყობასა და რეპროდუქციულ ქცევას შორის.

კონკრეტული ანალიზით, ერთი ბავშვი სურს რესპონდენტთა 4,4/5,4%-ს, ხოლო დაბადებულებში პირველი ბავშვების ხვედრითი წილი აღწევს 37,9%-ს, ე. ი. 6,9-ჯერ მეტს. თუ გავასაშუალებთ ბავშვების საშუალო და მოსალოდნელ რიცხვს, მივიღებთ: პირველი ბავშვების ხვედრითი წილს – 4,9%; მეორეს – 29,3%; მესამეს – 42,8%; მეოთხეს – 17,1% და მეხუთე და მეტს – 8,5%. თუ შევადარებთ ჩვენი კვლევიტ მიღებულ და საქსტატის ოფიციალურ მონაცემებს, აღმოჩნდება შემდეგი თანაფარდობა: პირველი და მეორე რიგის ბავშვების ხვედრითი წილი – 34,2 პროცენტი 38,1%-თან; მესამე და მეოთხე რიგის ბავშვები – 30,0% – 11,2%-თან; მეხუთე და მეტი რიგის ბავშვები – 8,5%-1,5%-თან. აქედან შეიძლება გავაკეთოთ ერთმნიშვნელოვანი დასკვნა, რომ სტრუქტურა რეპროდუქციული ორიენტაციები მიმართულია უფრო მაღალი რიგის (მეორე და მესამე) ბავშვების გაჩენისაკენ, ხოლო რეალობაში დაბადებულთა 2/3-ზე მეტი, ანუ 76.1% მოდის პირველ და მეორე ბავშვზე. აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთხელ მიგვითითებს იმაზე, რომ ფაქტობრივი დემოგრაფიული სიტუაცია და დემოგრაფიული განწყობა ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულია.

დღეისათვის, შობადობის დონეების ოფიციალური სტატისტიკა ქალაქისა და სოფლის მიხედვით აღარ ქვეყნდება, მაგრამ რამდენადაც ჯერ კიდევ არსებობს განსხვავებები ქალაქის და სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ და ყოფიერებით სფეროში, ის არ შეიძლება არ აისახოს სტრუქტურა რეპროდუქციულ განწყობაზე, რაც დაადასტურა ჩვენმა კვლევამაც. მოცემული საკითხის შესასწავლად რესპონდენტები დიყო დაბადების ადგილის მიხედვით: დაბადებულები სოფლად და დაბადებულები ქალაქად. საქსტატის 2019 წლის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის 58,7% ცხოვრობდა ქალაქად, 41,3% – სოფლად. მაგრამ,

როგორც ჩვენმა კვლევამ აჩვენა, გამოკითხული სტუდენტების მხოლოდ 25,4%-ია დაბადებული სოფლად, ხოლო 74,6% – ქალაქად, რაც არ არის პროპორციული ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის განაწილებასთან. აღნიშნული მონაცემები საყურადღებოა იმითაც, რომ მათში ჩანს სოფლისა და ქალაქის მოსახლეობაში არსებული ერთ-ერთი სოციალური უთანასწორობა, რაც გამომწვეულია განათლებისადმი ხელმისაწვდომობაში.

სტუდენტთა რეპროდუქციული განწყობის მახასიათებლები მოცემულია ქვემოთ მოტანილ ცხრილებში 29 და 30.


**ცხრილი 29.** ბავშვების სასურველი რიცხვის განაწილება რესპონდენტების დაბადების ადგილის მიხედვით, %

	ბავშვების სასურველი რიცხვი					სულ	ბავშვების საშუალო რიცხვი
	1	2	3	4	5 +		
სოფელი	0,8	27,9	43,4	23,0	4,9	100,0	3,03
ქალაქი	5,7	26,0	43,7	17,2	7,4	100,0	2,95
სულ	4,4	26,5	43,6	18,6	6,9	100,0	2,97

**ცხრილი 30.** ბავშვების მოსალოდნელი რიცხვის განაწილება რესპონდენტების დაბადების ადგილის მიხედვით, %

	ბავშვების მოსალოდნელი რიცხვი					სულ	ბავშვების საშუალო რიცხვი
	1	2	3	4	5 +		
სოფელი	2,5	30,8	46,7	17,5	2,5	100,0	2,87
ქალაქი	6,5	32,6	40,2	15,0	5,7	100,0	2,81
სულ	5,4	32,1	41,9	15,6	5,0	100,0	2,83

**ნახაზი 47.** ბავშვების სასურველი და მოსალოდნელი რიცხვის განაწილების ნახაზი რესპონდენტების დაბადების ადგილის მიხედვით



ბავშვების საშუალო სასურველი რიცხვი აღემატება მოსალოდნელს როგორც სოფლად, ისე ქალაქად. ამასთან, ქალაქთან შედარებით მაღალია სოფლად ბავშვების როგორც საშუალო სასურველი (3,03:2,87), ისე მოსალოდნელი (2,95:2,81) რიცხვი. განსაკუთრებით დიდია სხვაობა პირველი ბავშვის ხვედრითი წილის შემთხვევაში. ქალაქის მაჩვენებელი სასურველი ბავშვების შემთხვევაში რამდენჯერმე აღემატება სოფლისას, როგორც 5,7 – 0,8%-თან, ხოლო მოსალოდნელი რიცხვის შემთხვევაში – როგორც 6,5-2,5%-თან.

როდესაც არ გვაქვს შობადობის კოეფიციენტები ქალაქისა და სოფლის მიხედვით, შეიძლება გამოვიყენოთ შობადობის დონის მიახლოებითი საზომი – ბავშვიანობის კოეფიციენტი, რომელიც შემოთავაზებულია ცნობილი ფრანგი დემოგრაფის როლანდ პრესსას მიერ.<sup>11</sup> პრესსას მეთოდიკით, 0-4 წლის ბავშვების რიცხოვნობა შეუფარდება 20-44 წლის ასაკის ქალების რიცხოვნობას. ქალების აღნიშნული ასაკი აიღება იმიტომ, რომ შობადობა მნიშვნელოვნად დაბალია 20 წელზე ნაკლებ და 44 წელზე მეტი ასაკის ქალებში. შესაბამისად, უმნიშვნელოა იმ ასაკის ქალების რიცხვი, ვისაც ყავს 0-4 წლის ბავშვები. რ. პრესსას აზრით, ბავშვიანობის კოეფიციენტი არის შობადობის დონის საკმაოდ მგრძობიარე მაჩვენებელი იმ პირობით, რომ ის ეყრდნობა მოსახლეობის საიმედო (პრესსას სიტყვებით – სწორ) აღწერებს. იგულისხმება მოსახლეობის აღწერებით მიღებული მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობის საიმედო სტატისტიკა.

საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მასალებზე დაყრდნობით გავიანგარიშეთ ბავშვიანობის კოეფიციენტი. აღნიშნული კოეფიციენტი 20-44 წლის ყოველ ათას ქალზე გაანგარიშებით ქალაქში შეადგენდა 369,3, ხოლო სოფელში – 423,4, რაც საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ შობადობის მაღალ დონეზე სოფლად ქალაქთან შედარებით.

ჩვენმა კვლევამ ასევე აჩვენა სტუდენტთა რეპროდუქციული განწყობის დიფერენციაცია ქორწინების სტატუსის მიხედვით, რაც აისახა ქვემოთ მოტანილ ცხრილებში 31-32.

**ცხრილი 31. ბავშვების სასურველი რიცხვის განაწილება ქორწინების სტატუსის მიხედვით, %**

	ბავშვების სასურველი რიცხვი					სულ	ბავშვების საშუალო რიცხვი
	1	2	3	4	5 +		
დაქორწინებული	0	33,3	50,0	11,1	5,6	100,0	2,89
დაუქორწინებელი	4,6	26,0	43,1	19,4	6,9	100,0	2,98
სულ	4,3	26,6	43,6	18,7	6,8	100,0	2,97

<sup>11</sup> Р. Пресса. Народонаселение и его изучение (Демографический анализ). М., 1966, с.353.




**ცხრილი 32. ბავშვების მოსალოდნელი რიცხვის განაწილება ქორწინების სტატუსის მიხედვით, %**

	ბავშვების მოსალოდნელი რიცხვი					სულ	ბავშვების საშუალო რიცხვი
	1	2	3	4	5 +		
დაქორწინებული	2,8	38,8	47,2	8,3	2,8	100,0	2,68
დაუქორწინებელი	5,7	31,4	41,4	16,3	5,2	100,0	2,84
სულ	5,4	32,0	41,8	15,7	5,1	100,0	2,83

ბავშვების სასურველი და მოსალოდნელი რიცხვის განაწილების ნახაზი რესპონდენტების ქორწინების სტატუსის მიხედვით შემდეგი სახისაა.

**ნახაზი 48. ბავშვების სასურველი და მოსალოდნელი რიცხვის განაწილება რესპონდენტების ქორწინების სტატუსის მიხედვით.**



აქამდე განხილული ფაქტორების მიხედვით, რეპროდუქციული განწყობა განსხვავდება ასევე ქორწინების სტატუსის მიხედვით. ბავშვების სასურველი რიცხვი, პირველი და მეორე ბავშვების გარდა, აღემატება მოსალოდნელს. მთლიანობაში კი – ბავშვების საშუალო სასურველი რიცხვი აღემატება მოსალოდნელს. აღნიშნული მეტობა უფრო გამოკვეთილია დაქორწინებულებში ( $2,89 - 2,68 = 0,21$ ), ვიდრე დაუქორწინებლებში ( $2,98 - 2,84 = 0,4$ ). დაქორწინებულებში, დაუქორწინებლებთან შედარებით, მეტი სხვაობა შეიძლება ავსნათ იმით, რომ დაქორწინებულებს, ყოველ შემთხვევაში, მათ გარკვეულ ნაწილს უკვე ჰყავთ შვილები და უკეთ ერკვევიან შვილების გაზრდა/აღზრდასთან დაკავშირებულ პრობლემებში. ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ კიდევ ერთი გარემოება: შვილების როგორც საშუალო სასურველი, ისე მოსალოდნელი რიცხვი დაქორწინებულებში მაღალია დაუქორწინებლებზე, სასურველის

შემთხვევაში – 3,1%-ით (2,98 : 2,89), ხოლო მოსალოდნელის შემთხვევაში კი – 6,0%-ით (2,84 : 2,68).

შობადობის დონეზე საქართველოში დადებით გავლენას ახდენდა მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, რამდენადაც ქართველებთან შედარებით (რუსების გარდა) დანარჩენ ეროვნებებში შობადობის დონე მაღალი იყო. შობადობის დონეების გამოთვლა შესაძლებელია მხოლოდ მოსახლეობის აღწერების მონაცემებზე დაყრდნობით, რამდენადაც ინფორმაციას მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის შესახებ გვაძლევს მხოლოდ მოსახლეობის აღწერები. საბჭოთა სტატისტიკა იძლეოდა მონაცემებს დაბადებულთა ეროვნული შემადგენლობის მიხედვითაც, რაც მოსახლეობის აღწერის მასალებზე დაყრდნობით შობადობის დონეების ეროვნულ ჭრილში გამოთვლის საშუალებას იძლეოდა. 1995 წლიდან, პირადობის მონომობიდან ეროვნების ამოღების შემდეგ, ინფორმაცია დაბადებულის ეროვნული კუთვნილების შესახებ ასევე ამოღებული იქნა „დაბადების შესახებ სამედიცინო ცნობიდან“. მის ნაცვლად შეტანილია ინფორმაცია დაბადებულის მოქალაქეობის შესახებ. ასე, რომ შობადობის დონე ეროვნულ ჭრილში შეიძლება გამოვთვალოთ მხოლოდ საბჭოთა სტატისტიკის მონაცემების საფუძველზე, რაც მოტანილია ცხრილში 33.

**ცხრილი 33.** შობადობის სპეციალური კოეფიციენტები ეროვნების მიხედვით \*

	1959	1970	1979	1989
ქართველები	84,3	72,8	66,5	64,1
სომხები	111,8	73,9	70,1	78,9
რუსები	56,5	44,9	48,7	49,0
აზერბაიჯანელები	209,0	144,4	110,4	114,3
ოსები	101,9	93,6	75,5	“ “
აფხაზები	94,1	83,7	65,2	“ “
საქართველო, სულ	85,0	73,3	68,2	67,6

\* დაბადებულთა რიცხვი 15-49 წლის ასაკის შესაბამისი ეროვნების ყოველ 1000 ქალზე საქართველოში, 1959-1989 წლებში.

**წყარო:** მ. ხმალაძე, საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებები და ეკონომიკური შედეგები. სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1995, გვ. 45; 301-306.

შობადობის დონეს საქართველოში, ანუ 67,6 პრომილეს, უზრუნველყოფდა ძირითადად შობადობის მაღალი დონე სომეხი და, განსაკუთრებით, აზერბაიჯანელი ეროვნების მოსახლეობაში. რაც შეეხება შობადობის დონეს რუსი ეროვნების მოსახლეობაში, ის ყველაზე დაბალი იყო და უკვე 1959 წლიდან ვეღარ პასუხობდა არა თუ გაფართოებულ, არამედ მარტივი აღწარმოების მოთხოვნასაც კი.

ეროვნების მიხედვით ახლანდელი მდგომარეობა საქართველოში ასახულია ქვემოთ მოტანილ ცხრილებში 34-33.

**ცხრილი 34. ბავშვების სასურველი რიცხვის განაწილება ეროვნების მიხედვით, %**


	ბავშვების სასურველი რიცხვი					სულ	ბავშვების საშუალო რიცხვი
	1	2	3	4	5 +		
სომხები	3,4	25,0	50,0	14,3	7,3	100,0	2,97
ქართველები	4,6	26,2	43,5	18,9	6,8	100,0	2,97
სულ	4,4	26,5	43,6	18,6	6,9	100,0	2,97

**ცხრილი 35. ბავშვების მოსალოდნელი რიცხვის განაწილება ეროვნების მიხედვით, %**

	ბავშვების მოსალოდნელი რიცხვი					სულ	ბავშვების საშუალო რიცხვი
	1	2	3	4	5 +		
სომხები	3,4	35,7	39,3	14,3	7,3	100,0	2,86
ქართველები	5,6	31,2	42,4	15,9	4,9	100,0	2,83
სულ	5,4	32,1	41,9	15,6	5,0	100,0	2,83

ბავშვების სასურველი და მოსალოდნელი რიცხვი რესპონდენტების ეროვნებების მიხედვით შემდეგი სახისაა:

**ნახაზი 49. ბავშვების სასურველი და მოსალოდნელი რიცხვი რესპონდენტების ეროვნების მიხედვით**



ცხრილებში მოტანილი გამოთვლები საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

- ბავშვების საშუალო სასურველი რიცხვი ყველა ეროვნებაში აღემატება მოსალოდნელს;
- ქართველი და სომეხი რესპონდენტების ბავშვების საშუალო სასურველი რიცხვი ერთმანეთს ემთხვევა და შეადგენს 2,97. სომეხი ეროვნების რესპონდენტების ბავშვების საშუალო მოსალოდნელი რიცხვი (2,86), უმნიშვნელოდ აღემატება ქართველების შესაბამის მაჩვენებელს (2,83), რაც უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქართველი და სომეხი ეროვნების რესპონდენტების რეპროდუქციული განწყობა ფაქტობრივად იდენტურია და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათში შობადობის დონეებიც თანაბარი იქნება;
- რა თქმა უნდა, აზერბაიჯანელ მოსახლეობაში შობადობის დონე ტრადიციულად მაღალი იყო და დღესაც მაღალია, მაგრამ აღნიშნულის სტატისტიკური ინტერპრეტაცია ჩვენი კვლევის შედეგად ვერ მოხერხდა, რადგან გამოკითხვის ანკეტა შეავსო აზერბაიჯანელი ეროვნების მხოლოდ 15-მა სტუდენტმა. ეს კი არასაკმარისი სტატისტიკური ერთობლიობაა მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნების გასაკეთებლად. საზოგადოდ კი, შობადობა აზერბაიჯანელ მოსახლეობაში დადებითად იმოქმედებს მთელ ქვეყანაში შობადობის საერთო დონეზე, მაგრამ არსებით გავლენას ვერ მოახდენს, რადგან აზერბაიჯანელი მოსახლეობა ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 6,3%-ს შეადგენს;
- შობადობის დონის ფორმირება ჩვენ ქვეყანაში ხდება ქართველი მოსახლეობის მიერ, რომლის ხვედრითი წილი 86,8%-ის ტოლია. მთლიანობაში, ქართველი (86,8%), სომეხი (4,5%) და აზერბაიჯანელი მოსახლეობის (6,3%) ხვედრითი წილი საქართველოს მოსახლეობის 97,6% შეადგენს. საქართველო, შეიძლება ითქვას, პოსტ-საბჭოთა პერიოდში პრაქტიკულად იქცა მონოეთნიკურ ქვეყნად.

ყველა ეროვნების თუ სოციალური ჯგუფის შვილიანობაზე საყოველთაოდ მოქმედი ფაქტორია მატერიალური მდგომარეობა, რომელიც კვლევაში დავახასიათეთ ოჯახის შემოსავლით. მიღებული შედეგები მოთავსებულია ქვემოთ მოტანილ ცხრილებში.

**ცხრილი 36. ბავშვების სასურველი რიცხვის განაწილება რესპონდენტების შემოსავლის მიხედვით, %**


	ბავშვების სასურველი რიცხვი					სულ	ბავშვების საშუალო რიცხვი
	1	2	3	4	5 +		
დაბალშემოსავლიანი	5,7	23,6	45,3	18,9	6,5	100,0	2,98
საშუალოშემოსავლიანი	3,7	27,4	42,9	18,9	7,1	100,0	2,98
მაღალშემოსავლიანი	20,0	20,0	50,0	10,0	0	100,0	2,5
სულ	4,5	26,4	43,6	18,7	6,8	100,0	2,97

**ცხრილი 37. ბავშვების მოსალოდნელი რიცხვის განაწილება რესპონდენტების შემოსავლის მიხედვით, %**

	ბავშვების მოსალოდნელი რიცხვი					სულ	ბავშვების საშუალო რიცხვი
	1	2	3	4	5 +		
დაბალშემოსავლიანი	7,8	31,1	43,9	16,5	0,7	100,0	2,71
საშუალოშემოსავლიანი	4,6	32,4	41,0	15,6	6,4	100,0	2,87
მაღალშემოსავლიანი	10,0	30,0	50,0	10,0	0	100,0	2,5
სულ	5,5	32,0	41,8	15,7	5,0	100,0	2,83

ბავშვების სასურველი და მოსალოდნელი რიცხვი რესპონდენტების შემოსავლის მიხედვით შემდეგი სახისაა:

**ნახაზი 50. ბავშვების სასურველი და მოსალოდნელი რიცხვის განაწილება რესპონდენტების შემოსავლის მიხედვით**



კვლევის შედეგების ანალიზამდე საჭიროდ ჩავთვალეთ მოვიტანოთ დამატებითი ინფორმაცია მატერიალური მდგომარეობის და შობადობის დონეებს შორის კავშირის შესახებ, რომელიც დემოგრაფიაში ერთ-ერთ ნინაალმდეგობრივ საკითხს წარმოადგენს. აღნიშნული კავშირი XIX საუკუნის მინურულის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით აღმოაჩინა ცნობილმა ფრანგმა სტატისტიკოსმა და დემოგრაფმა ჟაკ ბერტილიონმა (ფრანგი სტატისტიკოსის აშილ გიარის მეცნიერულ ბრუნვაში ტერმინ დემოგრაფიის შემომტანის შვილიშვილი). მე-19 საუკუნის ბოლოს ჟაკ ბე-

რტილიონი იყო პარიზის სტატისტიკური სამსახურის ხელმძღვანელი. მან პარიზის, ბერლინის და ვენის კვარტალები დააჯგუფა ცხოვრების დონის მიხედვით და გამოთვალა მათში შობადობის კოეფიციენტი 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით. ჟ. ბერტილიონმა მიიღო შემდეგი შედეგები:

**ცხრილი 38. შობადობისა და ცხოვრების დონის ურთიერთკავშირი, %**

კვარტალები	ძალიან ღარიბი	ღარიბი	შედლებული	ძალიან შეძლებული	მდიდარი	ძალიან მდიდარი
ქალაქები						
პარიზი 1866-1898	14,0	12,9	11,1	9,9	9,4	6,9
ბერლინი 1886-1995	22,5	20,6	19,5	17,8	14,6	12,2
ვენა 1891-1897	20,0	16,4	15,5	15,3	10,7	7,1

წყარო: *Курс демографии, М., 1985, с. 292.*

ასე აღმოაჩინა ჟაკ ბერტილიონმა უკუკავშირი ცხოვრების დონესა და შობადობის დონეს შორის. კერძოდ, ცხოვრების დონის ზრდის პარალელურად მცირდება შობადობის დონე, რაც უცვლელია ყველა დროში და ყველა ქვეყანაში. მოცემული საკითხი წინააღმდეგობრივი იმიტომ არის, რომ ძალიან რთულია ვამტკიცოთ, თუ რატომ უნდა შემცირდეს შობადობა ცხოვრების დონის ზრდასთან ერთად.

ჩვენი კვლევის შედეგები გადაიხარა საყოველთაოდ არსებული კანონზომიერებისგან, კერძოდ: შემოსავლების ზრდის კვალობაზე პარალელურად არ მცირდება ბავშვების არც სასურველი და არც მოსალოდნელი რიცხვი. ერთადერთი კანონზომიერება ისაა, რომ შვილიანობის მაჩვენებლები ყველაზე დაბალი აღმოჩნდა მაღალშემოსავლიან რესპონდენტებში.

ჩვენმა კვლევამ ასევე აჩვენა, რომ საქმე გვაქვს ახალ რეალობასთან, კერძოდ: ბავშვების საშუალო სასურველი რიცხვი ერთი და იგივეა დაბალი და საშუალო შემოსავლიანი რესპონდენტებისათვის, ხოლო ბავშვების საშუალო მოსალოდნელი რიცხვი შემოსავლის ზრდასთან ერთად არა თუ მცირდება, არამედ იზრდება. კონკრეტულად, ბავშვების საშუალო მოსალოდნელი რიცხვი საშუალო შემოსავლიან რესპონდენტებში არათუ ნაკლები, არამედ მეტიცაა დაბალშემოსავლიანი რესპონდენტების ანალოგიურ მაჩვენებელზე 6,0%-ით ( $2,87 : 2,71 = 106,0\%$ ).

დემოგრაფიული და, მათ შორის, რეპროდუქციული განწყობის ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს რელიგიურობა. ჩვენმა კვლევამ დაადგინა მნიშვნელოვანი განსხვავებები რეპროდუქციულ განწყობაში რელიგიურ და არარელიგიურ რესპონდენტებს შორის, რომლებიც ასახულია ქვემოთ მოტანილ ცხრილებში 39-40.

**ცხრილი 39. ბავშვების სასურველი რიცხვის განაწილება რესპონდენტების რელიგიურობის მიხედვით, %**


	ბავშვების სასურველი რიცხვი					სულ	ბავშვების საშუალო რიცხვი
	1	2	3	4	5 +		
რელიგიური	3,2	25,2	45,4	19,6	6,6	100,0	3,01
არარელიგიური	9,6	31,9	37,2	14,9	6,4	100,0	2,77
სულ	4,5	26,5	43,7	18,7	6,6	100,0	2,97

**ცხრილი 40. ბავშვების მოსალოდნელი რიცხვის განაწილება რესპონდენტების რელიგიურობის მიხედვით, %**


	ბავშვების მოსალოდნელი რიცხვი					სულ	ბავშვების საშუალო რიცხვი
	1	2	3	4	5 +		
რელიგიური	4,3	29,9	44,2	17,3	4,3	100,0	2,87
არარელიგიური	10,1	41,6	32,6	9,0	6,7	100,0	2,61
სულ	5,4	32,2	42,0	15,6	4,8	100,0	2,83

ბავშვების სასურველი და მოსალოდნელი რიცხვი რესპონდენტების რელიგიურობის მიხედვით შემდეგი სახისაა:

**ნახაზი 51. ბავშვების სასურველი რიცხვი რესპონდენტების რელიგიურობის მიხედვით, %**



**ნახაზი 52. ბავშვების მოსალოდნელი რიცხვი რესპონდენტების რელიგიურობის მიხედვით**



კვლევის შედეგად აშკარად გამოიკვეთა შვილიანობის მაღალი ორიენტაციები რელიგიურ სტრუქტურებში არარელიგიურებთან შედარებით. ბავშვების სასურველი საშუალო რიცხვი რელიგიურ სტრუქტურებში შეადგენს 3,01, არარელიგიურებში – 2,77. ბავშვების მოსალოდნელი რიცხვი შესაბამისად – 2,87 და 2,61. რიგით პირველი და მეორე ბავშვები გაცილებით მეტი უნდათ არარელიგიურ რესპონდენტებს რელიგიურ რესპონდენტებთან შედარებით, ხოლო მაღალი რიგის – მესამე და მეოთხე ბავშვები გაცილებით მეტი უნდათ რელიგიურ სტრუქტურებს. ეს გასაგებიცაა, რადგან დადგენილია, რომ შობადობის დაბალი დონის შემთხვევაში მაღალია პირველი და მეორე ბავშვების ხვედრი წილი და დაბალია, მესამე და მაღალი რიგის ბავშვების ხვედრი წილი. მაღალი შობადობის დონის პირობებში – პირიქით.

როგორც ცხრილში მოტანილი გაანგარიშებიდან ჩანს, პირველი და მეორე სასურველი ბავშვების ხვედრი წილი რელიგიურ რესპონდენტებში ტოლია 28,4%-ის, არარელიგიურში – 41,5%-ის. საპირისპიროდ, მესამე და მეოთხე ბავშვი სურთ რელიგიურების 65,0% და არარელიგიურების მხოლოდ 52,1%.

ანალოგიური მდგომარეობაა ბავშვების მოსალოდნელი რიცხვის შემთხვევაში. პირველი და მეორე ბავშვის ყოლას გეგმავს რელიგიური რესპონდენტების 34,2%, და არარელიგიურების – 51,7%. აღნიშნულის საპირისპიროდ, მესამე და მეოთხე ბავშვის ყოლას გეგმავს რელიგიურების 61,5%, ხოლო რელიგიურების- 41,6%. როგორც ვხედავთ, განსხვავებები რეპროდუქციულ განწყობაში რელიგიურობის ნიშნით თვალშისაცემია.



აისახება თუ არა მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობა საქართველოში შობადობის დონეზე? მოცემული თავის დასაწყისში მოვითხანეთ მონაცემები 2018 წლის შობადობის დონის და მისი რეგიონული დიფერენციაციის შესახებ. შობადობის დონე 2018 წელს 13,7 პრომილეა, უზრუნველყოფს მოსახლეობის მარტივ აღწერას, რაც უზრუნველყოფილია აჭარის (16,7), ქვემო ქართლის (14,3) და თბილისის (13,9) შობადობის დონით.

დანარჩენ, დაბალი შობადობის დონის მქონე რეგიონებთან, შობადობის შედარებით მაღალი დონე თბილისში შეიძლება ავხსნათ თბილისის მოსახლეობის ახალგაზრდა ასაკობრივი სტრუქტურით, ხოლო აჭარასა და ქვემო ქართლში – როგორც ახალგაზრდა ასაკობრივი სტრუქტურით, ისე რელიგიური ფაქტორით. საქართველოში გავრცელებული ძირითადი რელიგიებია: ქრისტიანობა და ისლამი. მოსახლეობის 2014 წლის აღწერით, საქართველოს მოსახლეობის 83,4% არის მართლმადიდებელი ქრისტიანი, 10,7% – მაჰმადიანი მუსლიმი. მთლიანობაში, 2014 წლის აღწერით, საქართველოს მოსახლეობის 98,14% არის მორწმუნე. ჩვენი კვლევით, მორწმუნე აღმოჩნდა რესპონდენტთა 78, 7%.

ისლამის მიმდევარი მოსახლეობა ყოველთვის გამოირჩეოდა და გამოირჩევა შობადობის მაღალი დონით. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ შობადობის ყველაზე მაღალი დონით საქართველოში ხასიათდება აჭარა და ქვემო ქართლი, სადაც მუსლიმანური მოსახლეობა მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, კერძოდ: 2014 წლის აღწერით, აჭარის 334 ათასი მცხოვრებიდან მუსლიმურ რელიგიას აღიარებდა 132,9 ათასი, ე. ი. 38,9%, ხოლო ქვემო ქართლის 424 ათასი მცხოვრებიდან – 182,2 ათასი, ე. ი. 43,0%. ფაქტობრივად, ანალოგიური შედეგი მიიღო პროფესორმა მ. ტუხაშვილმა, რომელმაც დაადგინა, რომ ქვემო ქართლში მცხოვრები 424 ათასი კაციდან 177 ათასი, ე. ი. 41,8% აზერბაიჯანელია, რა თქმა უნდა, ისლამის მიმდევარი.<sup>1</sup>

რეპროდუქციული განწყობისა და შობადობის ეროვნულ-რელიგიურ ასპექტში განხილვის შემდეგ, მართალია, გარკვეული სიფრთხილით, მაგრამ შეიძლება დავასკვნათ: **საქართველოში შობადობის დონეზე ეროვნულთან შედარებით გაცილებით ძლიერ ზეგავლენას ახდენს რელიგიური ფაქტორი.**

საერთოდ, ორშვილიანი ოჯახი უზრუნველყოფს მოსახლეობის მარტივ აღწერას, ხოლო ორზე მეტი გაფართოებულს. ჩვენი კვლევის შედეგებით, საქართველოს დემოგრაფიული მომავალი უიმედოდ არ გამოიყურება. მიღებული შედეგები წინა ანალოგიურ კვლევებზე უკეთესია. მაგალითად, ნ. მენაბდიშვილის კვლევით, ოჯახში ბავშვთა სასურველი რიცხვი სტუდენტი ქალიშვილებისათვის არის 2,5, სტუდენტი ვაჟებისთვის

<sup>1</sup> მ. ტუხაშვილი. ქვემო ქართლის მოსახლეობა: პოლიეთნიკურობიდან ბიეთნიკურობისაკენ. იხ: მიგრაცია 8, 217, გვ. 145-146

– 2,7.<sup>2</sup> ოჯახში შვილების რიცხვი უფრო მეტი უნდათ მამაკაცებს, ვიდრე ქალებს. დემოგრაფიის ინსტიტუტის 2004-2005 წლების კვლევით, სტუდენტის ვაჟებისთვის ოჯახში ბავშვების საშუალო სასურველმა რიცხვმა შეადგინა 2,6, ხოლო მოსალოდნელი – 2,44. ქალიშვილებისთვის აღნიშნულმა მაჩვენებლებმა შეადგინა, შესაბამისად, 2,6 და 2.4.<sup>3</sup>

მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის ცვლილებების საზომია დემოგრაფიული თაობის ხანგრძლივობა წლებში. ეს ის საშუალო პერიოდია, რომლის გავლის შემდეგაც დღეს დაბადებულ თაობას შეეძინება შემდეგი თაობა. დღევანდელ პირობებში დემოგრაფიული თაობის ხანგრძლივობა საქართველოში 25-27 წლის ფარგლებში მერყეობს. შესაბამისად, დემოგრაფიული პროცესები თაობიდან თაობამდე იცვლება, რადგან მარტივად რომ ვთქვათ, იცვლება ცხოვრებისეული პირობები და შესაბამისად -ორიენტაციები. თაობების მიხედვით შობადობის დონის დინამიკის დასადგენად გამოკითხვის ანკეტაში შევიტანეთ შემდეგი კითხვები: რამდენი ბავშვი იყოლიეს თქვენმა მშობლებმა და რამდენი იყოლიეს თქვენმა პაპა-ბებიებმა (დედის მხრიდან და მამის მხრიდან). მასალების დამუშავების შემდეგ მივიღეთ საინტერესო შედეგები, რომელიც ასახულია ქვემოთ მოტანილ ცხრილში 41.

**ცხრილი 41. შვილების რიცხვი რესპონდენტების მშობლებისა და მათი პაპა-ბებიების ოჯახებში, %**

	ბავშვების რიცხვი რესპონდენტთა:			საშუალოდ პაპა-ბებიების ოჯახში
	მშობლების ოჯახში	პაპა-ბებიების ოჯახში დედის მხრიდან	პაპა-ბებიების ოჯახში მამის მხრიდან	
ორი	10,0	5,1	3,9	4,5
სამი	54,7	32,4	34,3	33,4
ოთხი	28,8	36,3	34,1	35,2
ხუთი და მეტი	5,7	24,8	26,6	25,7
სულ	99,2	98,6	98,8	98,7
პასუხის გარეშე	0,8	1,4	1,2	1,3
სულ	100,0	100,0	100,0	100,0
ბავშვების საშუალო რიცხვი	3,3	3,82	3,85	3,83

<sup>2</sup> ნ. მენაბდიშვილი. სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული ორიენტაციები (თბილისის მაგალითზე). საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი. გვ. 10

<sup>3</sup> სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული ქცევა. თბ., 2005. დანართი, ცხრილი 2,3, 4 (ხელნაწერის უფლებით).

ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ მშობლების ოჯახში შვილიანობა თავმოყრილია მესამე და მეოთხე ბავშვების გარშემო, ხოლო პაპა-ბებიების ოჯახებში განაწილება ბავშვების რიგითობის მიხედვით გაცილებით თანაბარია. საკმარისია აღვნიშნოთ ორი ფაქტი:

1) ორი ბავშვი ყავდა რესპონდენტთა 10%-ის მშობლებს, ხოლო პაპა-ბებიების ოჯახების მხოლოდ 4,5%-ს, ე. ი. ორჯერ და მეტად ნაკლებს.

2) ხუთი და მეტი ბავშვი ყავდათ მშობლების თაობის მხოლოდ 5,7%-ს, ხოლო პაპა-ბებიების (საშუალოდ ორივე მხრიდან) თაობის ოჯახების 25,7%. ყოველივე ეს მეტყველებს იმაზე, რომ პაპა-ბებიების თაობა გაცილებით მრავალშვილიანი იყო შვილების თაობასთან შედარებით, რაც ნათლად დაადასტურა ჩვენმა შემდგომმა გამოთვლებმა, რომლის თანახმადაც, როგორც ცხრილი 2-დან ჩანს (ცხრილში მოცემულია მონაცემები საშუალოდ ერთ ოჯახზე, უკეთესი აღქმისთვის გადავიყვანოთ 100 ოჯახზე), პაპა-ბებიების 100 ოჯახში დედის მხრიდან დაიბადა 382 ბავშვი, მამის მხრიდან – 385. მათი შვილების, ე. ი. რესპონდენტების მშობლების ყოველ 100 ოჯახში დაიბადა 330 ბავშვი. უკვე ორ თაობას შორის შვილიანობაში დიდი განსხვავებაა: პაპა-ბებიებს ყოველ 100 ოჯახში 55 ბავშვით მეტი ყავდათ (385-330), ვიდრე მათ შვილებს, ე. ი. გამოკითხული სტუდენტების მშობლებს.

რაც შეეხება მესამე თაობას – გამოკითხულ სტუდენტებს, უკვე მოსალოდნელი, ე. ი. დაგეგმილი ბავშვების რიცხვი შეადგენს ყოველ 100 გამოკითხულზე 300-ს, რაც 30 ბავშვით ნაკლებია მათი მშობლების შვილების ფაქტობრივ რიცხვზე (330 – 300). ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მომავალში, როგორც რეალობა და პრაქტიკა გვიჩვენებს, ბავშვების ფაქტობრივი რიცხვი მნიშვნელოვნად ნაკლები იქნება მოსალოდნელი (დაგეგმილი) ბავშვების რიცხვზე.

რესპონდენტები ბავშვების რიცხვს გეგმავენ რიგი ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც მოტანილია ცხრილში 42.

**ცხრილი 42. სტუდენტების მიერ შვილიანობის დაგეგმვისას გათვალისწინებული ფაქტორები, %**

ფაქტორები	ბავშვების რიცხვი						სულ
	1	2	3	4	5+	არ უბასუხა	
სწავლის დასრულება	5,4	30,2	39,5	14,9	4,5	5,5	100,0
დასაქმება	5,6	30,7	39,3	14,9	4,5	5,0	100,0
მშობლების დახმარება	5,2	29,9	40,0	14,9	5,0	5,0	100,0
შემოსავალი	5,2	29,8	39,9	15,7	4,5	4,9	100,0
ჯანმრთელობა	5,4	29,7	39,8	15,3	4,9	4,9	100,0
ბინა	5,6	29,8	39,1	15,3	4,7	5,5	100,0

სკოლამდელი დაწესებულებები	5,3	29,7	40,1	15,0	4,6	5,3	100,0
კარიერა	5,5	30,4	39,9	14,0	4,9	4,9	100,0
სხვა ფაქტორები	6,9	30,7	38,6	13,4	5,5	5,5	100,0

შვილიანობის დაგეგმვისას გათვალისწინებული ფაქტორების შეფასებაში სტუდენტებმა გამოიჩინეს საოცარი ერთსულოვნება. როგორც წესი, პირველი შვილის გაჩენას წინ არაფერი ელოდება. შესაბამისად, გათვალისწინებული ფაქტორებიდან მასზე მიუთითებს გამოკითხულთა დაახლოებით მხოლოდ 5,5%. ძირითადი აქცენტი გადატანილია ორ შვილზე, რომელზეც მოდის ფაქტორების დაახლოებით 30,0% და სამ შვილზე, რომელზეც მოდის ფაქტორების დაახლოებით 40,0%. ფაქტია, რომ ბავშვთა როგორც სასურველი, ისე დაგეგმილი რიცხვის შემთხვევაში საქართველოს სტუდენტობას ორიენტაცია აღებული აქვს სამ-შვილიან ოჯახზე. მეოთხე შვილზე მოდის ფაქტორების დაახლოებით 15, ხოლო 5 და მეტ შვილზე 5,0%-ზე ოდნავ მეტი.


ჩვენი კვლევით დადგენილი იქნა რეპროდუქციულ განწყობასა და შობადობის დონეზე მოქმედი ხელშემშლელი და მასტიმულირებელი ფაქტორები. თითოეულ ფაქტორს მნიშვნელობის მიხედვით მიენიჭა ქულა 1- დან 5-მდე.

**ცხრილი 43. ბავშვთა ყოლის ხელშემშლელი ფაქტორები**

ფაქტორები	ქულები პროცენტებში					სულ	საშუალო ქულა
	1	2	3	4	5		
სწავლა	10,5	13,6	20,7	19,8	35,4	100,0	3,56
შემოსავალი	6,4	6,4	7,6	18,9	60,7	100,0	4,21
ჯანმრთელობის მდგომარეობა	6,1	6,1	5,7	17,9	64,2	100,0	4,27
საბინაო პირობები	5,6	7,0	12,4	25,0	50,0	100,0	4,07
სკოლამდელი დაწესებულებების უკმარისობა	16,6	19,0	28,9	16,5	19,0	100,0	3,03
კარიერა	10,2	15,3	24,8	25,9	23,8	100,0	3,38
გადატვირთული სამუშაო გრაფიკი	7,9	12,4	19,1	25,6	35,0	100,0	3,67
პესიმისტური განწყობა მომავლისადმი	11,4	13,2	16,7	22,1	36,6	100,0	3,62

ბავშვის ყოლის ხელშემშლელ ფაქტორებს გამოკითხულთა უდიდესი უმრავლესობა 4 და 5 ქულით აფასებს. ყველაზე ხელშემშლელ ფაქტორებად დასახელდა შემოსავალი, ჯანმრთელობა და საბინაო პირობები. ჩვენს მიერ გამოთვლილი იქნა შობადობის ხელშემშლელი ფაქტორების საშუალო ქულები, რომლებიც კლუბადობის მიხედვით შემდეგნაირად დალაგდა: ჯანმრთელობა – 4,27, შემოსავალი – 4,21, საბინაო პირობები – 4,07, გადატვირთული სამუშაო გრაფიკი – 3,67, პესიმისტური განწყობა მომავლისადმი – 3,62, სწავლა – 3,56, კარიერა – 3,38, სკოლამდელი დანესებულების უკმარისობა – 3,03.

**ნახაზი 53.** შობადობის ხელშემშლელი ფაქტორების საშუალო ქულები



საინტერესო სურათი მივიღეთ იმის გათვალისწინებით, თუ როგორია განსხვავებები მთლიანად ქულებს შორის თითოეული ფაქტორის მიხედვით. აღნიშნული განსხვავებები შევაფასეთ ვარიაციის ნრფივი კოეფიციენტით. შეხედულებათა განსხვავებებში ყველაზე მაღალი ვარიაციით ხასიათდება ჯანმრთელობა – 88,4%, შემდეგ მოდის შემოსავალი – 80,4%, ბინა – 70%, გადატვირთული სამუშაო გრაფიკი – 41,2%, სწავლა – 32,2%, კარიერა 29,0%. ყველაზე ნაკლები განსხვავებები დაფიქსირდა სკოლამდელი დანესებულებების უკმარისობაზე შეხედულებებში – 17,8%. როგორც ვხედავთ, სტუდენტთა შეხედულებები შობადობის შემზღუდველ ფაქტორებზე რადიკალურად არაერთგვაროვანია, რომელიც უპრიანი იქნება გათვალისწინებული იქნეს შესაბამისი დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებისას. ამასთანავე, სამწუხაროდ გამოკითხულთა მხოლოდ 61,0%-მა აღნიშნა, რომ ნარკოტიკების მოხმარება ამცირებს

შვილიანობას, 39%-ის აზრით კი, ნარკოტიკების მოხმარება შვილიანობაზე ზეგავლენას არ ახდენს. აღნიშნული შეხედულებები საჭიროებს საზოგადოების სერიოზულ დაფიქრებას.

რაც შეეხება შობადობის მასტიმულირებელ ფაქტორებს, შეფასებები შემდეგნაირად განაწილდა:


**ცხრილი 44. ბავშვების ყოლის მასტიმულირებელი ფაქტორები**

ფაქტორები	ქულები პროცენტებში					სულ	საშუალო ქულა
	1	2	3	4	5		
სწავლის დასრულება	9,3	7,3	12,8	14,8	55,8	100,0	3,83
დასაქმება	5,4	6,7	7,1	14,4	66,4	100,0	4,3
მშობლების დახმარება	10,9	16,5	24,7	23,4	24,5	100,0	3,34
შემოსავალი	5,6	4,9	6,0	18,6	64,9	100,0	4,32
ჯანმრთელობის მდგომარეობა	6,9	4,3	2,8	12,9	73,1	100,0	3,66
საბინაო პირობები	6,7	5,1	7,6	21,3	59,3	100,0	4,2
სკოლამდელი დაწესებულებების ხელმისაწვდომობა	12,5	15,2	20,6	22,9	28,8	100,0	3,4
კარიერა	8,6	10,5	19,3	24,1	37,5	100,0	3,6

მასტიმულირებელი ფაქტორებიდან, როგორც უცნაურიც არ უნდა იყოს, ყველაზე დაბალი შეფასება მიეცა მშობლების დახმარებას და სკოლამდელი დაწესებულებების ხელმისაწვდომობას. დანარჩენ ფაქტორებს მიეცა ყველაზე მაღალი (5 ქულა) შეფასება.

შობადობის მასტიმულირებელი ფაქტორების მიხედვით გამოვთვალეთ შეფასებების საშუალო ქულები. კლებადობის მიხედვით ისინი შემდეგი თანმიმდევრობით დალაგდა: შემოსავალი – 4,32, დასაქმება – 4,3, საბინაო პირობები – 4,2, სწავლის დასრულება – 3,83, ჯანმრთელობის მდგომარეობა – 3,66, კარიერა – 3,6, სკოლამდელი დაწესებულებების ხელმისაწვდომობა – 3,4, მშობლების დახმარება – 3,34.

**ნახაზი 54. შობადობის მასტიმულირებელი ფაქტორების საშუალო ქულები**



შობადობის ხელშემშლელი ფაქტორებიდან რეიტინგში პირველ ადგილზეა ჯანმრთელობა (იგულისხმება სუსტი ჯანმრთელობა), ხოლო ბოლოზე – სკოლამდელი დანესებულების უკმარისობა. მასტიმულირებელი ფაქტორებიდან პირველ ადგილზეა შემოსავალი, ბოლოზე – მშობლების დახმარება (ცოტა არ იყოს, უცნაურია).

შეხედულებათა ვარიაცია, რანჟირებული კლებადობის მიხედვით, შემდეგნაირია: დასაქმება – 92,8%, შემოსავალი – 89, 8%, საბინაო პირობები – 81,2%, სწავლის დასრულება – 71, 6%, კარიერა – 43,2%, მშობლების დახმარება – 25,2%, სკოლამდელი დანესებულებების ხელმისაწვდომობა – 5%.

საქართველოს სტრუქტურას ორიენტაცია ალღებული აქვს სამ-შვილიან ოჯახზე და მათი დაახლოებით 70,0% შობადობის ყველა დადებით ფაქტორს განიხილავს სამ შვილთან მიმართებაში. მეორე ადგილზეა ორ-შვილიანი ოჯახი. ამასთანავე, არ შეიძლება შემფოთება არ გამოიწვიოს იმ ფაქტმა, რომ სტრუქტურების 5% არცერთი შვილის გაჩენას არ გეგმავს. ჩვენმა კვლევამ გაითვალისწინა იმ გარემოცვის შესწავლაც, რომლებიც ზემოქმედებენ რეპროდუქციული განწყობის ფორმირებაზე. შვილის ყოლაზე ოჯახის წევრის გავლენა დააფიქსირა გამოკითხულთა 95,0%-მა. შემდეგ მოდის მოძღვარი – 68,6%, დემოგრაფიული პოლიტიკა – 68,6%, მეგობრის აზრი – 68,8%, მედიის გავლენა – 69,1%.

პროექტის შემსრულებლებმა საჭიროდ ჩავთვალეთ გამოკვლევის ანკეტაში შეგვეტანა კითხვა: ახდენს თუ არა ნარკოტიკები ზეგავლენას შო-



ბადობაზე? მივიღეთ არა თუ შემამშფოთებელი, არამედ სამწუხარო პასუხი, კერძოდ: 2452 გამოკითხულიდან მხოლოდ 1482-მა, ე. ი. 60%-მა უპასუხა, რომ ნარკოტიკების მოხმარება შეამცირებს შობადობას. დანარჩენმა 40-მა პროცენტმა აღნიშნა, რომ ზეგავლენას არ მოახდენს. ფაქტობრივად ეს ნიშნავს, რომ საქართველოს სტრუქტურული ახალგაზრდობის მთელი 40%, რა თქმა უნდა, არ არის მომხმარებელი, მაგრამ როგორც ჩანს, ლოიალურადაა განწყობილი ნარკოტიკების მიმართ. სამწუხაროდ, გამოკითხვის შედეგები განსხვავებული დასკვნის გაკეთების საშუალებას არ იძლევა.

ჩვენი კვლევის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა დაგვედგინა კავშირი დაბადებულ ბავშვებსა და ოჯახის იურიდიულ ფორმას შორის. ამ მიზნით დასმული იყო კითხვა: „თქვენი აზრით, ბავშვი უნდა გაჩნდეს“:

- რეგისტრირებული ქორწინებით შექმნილ ოჯახში;
- ჯვარდანიერულ და სხვა რაიმე რელიგიური წესით დაკავშირებული წყვილების ოჯახში;
- თავისუფალ ურთიერთობაში მყოფ წყვილებში.

მეორე და მესამე კითხვა ფაქტობრივად ასახავს მშობლების არარეგისტრირებულ ქორწინებაში ბავშვის დაბადებას, ხოლო მესამე კითხვა ასახავს ქორწინების გარეშე დაბადებას. მოცემულ კითხვას პასუხი გასცა 2390 რესპონდენტმა. შედეგად მივიღეთ, რომ მათმა 66%-მა მხარი დაუჭირა ბავშვების გაჩენას რეგისტრირებული ქორწინებით შექმნილ ოჯახში, ხოლო 34% მხარს უჭერს ბავშვების გაჩენას არარეგისტრირებული ქორწინებით შექმნილ ოჯახში. აღნიშნული განაწილება აბსოლუტური სიზუსტით ემთხვევა საქსტატის 2018 წლის ოფიციალურ მონაცემებს. განსხვავებაა არარეგისტრირებული ქორწინების დიფერენციაში. ჩვენი კვლევით, ამ ფორმის მხარდამჭერთა 34,0% შემდეგნაირად ნაწილდება: ბავშვი უნდა გაჩნდეს ჯვარდანიერი და სხვა რაიმე რელიგიური წესით დაკავშირებული წყვილების ოჯახში – 27,0%. აღნიშნული მუხლი საქსტატის მასალებში ფორმულირებულია როგორც ცოცხლად დაბადებულები, რეგისტრირებულნი მშობელთა ერთობლივი განცხადებით.

ჩვენი კვლევით, ბავშვის გაჩენას თავისუფალ ურთიერთობაში მყოფ წყვილებში (ე. ი. ქორწინების გარეშე დაბადებას) მხარი დაუჭირა გამოკითხულთა 7,0%-მა. აღნიშნული კატეგორია, საქსტატის მონაცემებით, ფორმულირებულია როგორც რეგისტრირებული ცოცხლად დაბადებულები მხოლოდ დედის განცხადებით.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური გვაძლევს ინფორმაციას ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობის შესახებ, მშობლების ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით. საქსტატის 2018 წლის მონაცემებით, 51 138 ცოცხლად დაბადებულთაგან 33 760, ანუ 66% დაბადებულია რეგისტრირებულ ქორწინებაში, არარეგისტრირებულ ქორწინებაში კი – 17375 (34%). არარეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებულებს მიეკუთვნება: მშობელთა ერთობლივი განცხადებით დარეგისტრირებულნი და ქორწინების გარეშე დაბადებულები. ქორწინების გარეშე დაბადებულები დარეგისტრირებულნი არიან მხოლოდ დედის გა-



ნცხადებით. ერთობლივი განცხადება ნიშნავს, რომ ცოლ-ქმარი ან საეკლესიო ქორწინებაში იმყოფება, ან თავისუფალ ურთიერთობაში.

არარეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებულებიდან მშობელთა ერთობლივი განცხადებით დარეგისტრირებულია 16 068 ბავშვი, ხოლო მხოლოდ დედის განცხადებით – 1307. ეს უკანასკნელი ითვლებიან ქორწინების გარეშე დაბადებულებად და შეადგენენ დაბადებულთა საერთო რიცხვის 2,6%. ეს მაჩვენებელი არცერთი ქვეყნის მაჩვენებელზე მეტი არ არის. ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მოცემული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მცირდება, კერძოდ: 1990 წელს ქორწინების გარეშე დაბადებულთა ხვედრითი წილი 6 პროცენტს შეადგენდა.<sup>1</sup> შემდგომ პერიოდში მაჩვენებლებმა შეადგინა: 1995 წ. – 3,9%, 2000 წ. – 4,4%, 2005 წ. – 6,1%, 2010 წ. – 4,0 %. 2011 წლიდან კი ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად მცირდება.<sup>2</sup>

წლები	მაჩვენებლები (%)	წლები	მაჩვენებლები (%)
2011	2,9	2015	2,3
2012	2,5	2016	2,4
2013	2,4	2017	2,9
2014	2,3	2018	2,6

დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის 2004-2005 წლების კვლევაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კითხვა დაისვა შემდეგი ფორმულირებით:<sup>3</sup>

1. ქორწინების რეგისტრაცია აუცილებელია მხოლოდ იურიდიული ფორმით;
2. ქორწინება აუცილებელია მხოლოდ საეკლესიო ფორმით;
3. ქორწინება აუცილებელია ორივე ფორმით (როგორც იურიდიული, ისე საეკლესიო);
4. ქორწინების რეგისტრაცია არ არის აუცილებელი არცერთი ფორმით.

გამოკითხული მამაკაცების 81,9% დასაშვებად მიიჩნევდა ქორწინების ორივე ფორმას (როგორც იურიდიულს, ასევე საეკლესიოს). ქალებში აღნიშნული მაჩვენებელი 8,2%-ით მაღალი იყო და 90,1%-ს შეადგენდა. ორივე სქესის რესპონდენტთა აზრით, ქორწინების საეკლესიო ფორმის მომხრეთა წილი აღემატებოდა ქორწინების იურიდიული ფორმის მსურველთა წილს. აღსანიშნავია, რომ მამაკაცთა 2,9%-ის აზრით, ქორწინება არ არის აუცილებელი არცერთი ფორმით; იგივე მაჩვენებელი ქალებს შორის ერთ პროცენტზე ნაკლები იყო (იხ. ნახაზი 55).


<sup>1</sup> მერაბ ხმალაძე, დემოგრაფია, თბ., 2009 გვ. 218

<sup>2</sup> [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)


<sup>3</sup> სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული ქცევა. თბ., 2005 გვ. 45-47, ხელნაწერის უფლებით.

**ნახაზი 55.** გამოკითხულთა განაწილება ქორწინების რეგისტრაციის ფორმისადმი დამოკიდებულების მიხედვით, %

**ა) მამაკაცები**



**ბ) ქალები**



**წყარო:** ნახაზი აგებულია 2005 წელს ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

ქორწინების მხოლოდ საეკლესიო ფორმას თბილისში დაბადებულ მამაკაცებს შორის უფრო მეტი მხარდამჭერი ჰყავდა (14,9%), ვიდრე სხვა ქალაქებში და სოფლებში (11,1%). რაც შეეხება „სუსტი სქესის“ წარმომადგენლებს, აღნიშნული ნიშნით ანალიზმა მცირე განსხვავება აჩვენა. აღსანიშნავია, რომ დაბადების ადგილის მიუხედავად, ორივე სქესის მიხედვით რესპონდენტების დიდი უმრავლესობა მხარს უჭერდა ქორწინების ორივე ფორმას (როგორც იურიდიულად, ისე საეკლესიო წესით რეგისტრირებულს).

გამოკითხულ მამაკაცებში და ქალებში ქორწინების მხოლოდ საეკლესიო ფორმის მსურველთა ყველაზე მაღალი წილი კარგი მატერიალური მდგომარეობის მქონე რესპონდენტებში აღინიშნა, შესაბამისად 17,4

და 8,1%. მამაკაცებს შორის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების პირდაპირ პროპორციულად მატულობდა მათი წილი, ვინც თვლიდა, რომ ქორწინება არ არის აუცილებელი არცერთი ფორმით. საგულისხმო ფაქტია, რომ აღნიშნულ აზრს იზიარებდა იმ მამაკაცთა და ქალი რესპონდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებსაც ცუდი საბინაო პირობები გააჩნდათ (შესაბამისად 11,1 და 6,7%).

ქორწინების რეგისტრაციის მხოლოდ რელიგიური ფორმის მომხრეთა ყველაზე მაღალი წილი დაფიქსირდა იმ მამაკაც რესპონდენტთა შორის, რომლებიც ერთშვილიან ოჯახში აღიზარდნენ (6,3%). აღსანიშნავია, რომ ასევე საგრძნობი იყო აღნიშნული წილი მსგავს ოჯახებში აღზრდილ ქალებს შორის (3,9%).

ორივე სქესის მიხედვით, რაც მეტი იყო ბებია-ბაბუების ოჯახში ბავშვების რაოდენობა, მით უფრო მცირდებოდა მხოლოდ საეკლესიო ქორწინების ფორმის მომხრეთა წილი.

ჩვენი კვლევის შემდეგ მიზანს შეადგენდა სტუდენტობის ქორწინებითი განწყობის და შევილიანობასთან მისი კავშირის დადგენა. ქორწინების საუკეთესო ასაკად 19 წლამდე დაასახელა სტუდენტობის მხოლოდ 1,0%-მა, 20-24 წელი – 23,0%-მა, 25-29 წელი – 69,6%-მა და 30-34 წელის – 6,3%-მა. როგორც ვხედავთ, ქორწინების საუკეთესო ასაკად ყველაზე მეტმა – 69,6%-მა დაასახელა 25-29 წელი, მეორე ადგილზე დასახელდა 23,0%-ით 20-24 წელი. ამ ასაკებზე მოდის დაბადებულთა ყველაზე მაღალი პროცენტი. კერძოდ, 2018 წელს 20-24 წლის ასაკზე მოდის დაბადებულთა 25,0%, ხოლო 25-29 წელზე 32,4%, ორივეზე ერთდ 57,4%. აღნიშნული ტექნდენცია მეტნაკლებად ფიქსირდება ყოველ წელს. ჩვენი გამოთვლებით, სტუდენტებისთვის ქორწინების საშუალო საუკეთესო ასაკმა შეადგინა 26 წელი. 2004-2005 წლების კვლევით, აღნიშნულმა ასაკმა ქალებისათვის შეადგინა 22, ხოლო კაცებისათვის 25,5 წელი. მოვიტანოთ საქსტატის მონაცემებს აღნიშნულ საკითხზე ქვეყნის მასშტაბით.

**ცხრილი 45.** დაქორწინებულთა განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით 2018 წელს

ასაკი	აბსოლუტური სიდიდეები		პროცენტობით	
	კაცები	ქალები	კაცები	ქალები
<19	326	2054	1,4	8,8
20-24	4559	6739	19,6	29,0
25-29	6796	5875	29,3	25,3
30-34	4395	3367	18,9	14,5
35>	7127	5167	30,8	22,4
სულ	23 202	23 202	100,0	100,0

**წყარო:** ცხრილი შედგენილია საქსტატის მონაცემების მიხედვით.

ცხადად ჩანს, რომ ახალგაზრდა, ანუ 25 წლამდე ასაკის ქალები გაცილებით მეტია გათხოვილი (37,8%), ვიდრე ამავე ასაკის კაცები (21,0%). ეს გამოწვეულია იმით, რომ ქალები ცოლად მიყვებიან (ტრადიციულად) თავისზე ასაკით უფროს მამაკაცებს. აღნიშნული დასტურდება დაქორწინებულთა საშუალო ასაკითაც. კერძოდ, საქსტატის მონაცემებით, 2018 წელს კაცებისა და ქალების ქორწინების საშუალო ასაკი შეადგენდა: ყველა ქორწინებისას – 32 და 29 წელს, პირველი ქორწინებისას – 30,4 და 27,7 წელს, განმეორებითი ქორწინებისას 41,5 და 38,2 წელს. ანალოგიურ მდგომარეობას, მეტ-ნაკლები სხვაობით, ადგილი აქვს ყოველთვის. როგორც ვხედავთ, სტუდენტებისთვის საშუალო საქორწინო ასაკი შედარებით ნაკლებია, 26 წელი, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში ის შედარებით მაღალია.

კვლევამ საშუალება მოგვცა ერთმანეთისთვის დაგვეკავშირებინა ქორწინების საუკეთესო ასაკი პირველი ბავშვის ყოლისთვის საუკეთესო დროსთან. ანკეტების დამუშავების შემდეგ მივიღეთ შემდეგი შედეგები:

**ცხრილი 46.** საუკეთესო ასაკი ქორწინებისთვის და საუკეთესო დრო პირველი ბავშვის ყოლისთვის

საუკეთესო ასაკი ქორწინებისთვის	საუკეთესო დრო პირველი ბავშვის ყოლისთვის, %				
	პირველი წლის განმავლობაში	ერთი წლის შემდეგ	ორი წლის შემდეგ	სამი და მეტი წლის შემდეგ	სულ
20-24	34,1	26,1	14,2	8,9	23,3
25-29	60,0	70,7	79,2	66,7	70,3
30-34	5,9	3,2	6,6	24,4	6,4
სულ	100,0	100,0	100,0	100,0	

ის, ვინც ქორწინების საუკეთესო ასაკად დაასახელა 20-24 წელი, პირველი ბავშვის ყოლა სურს მოკლე ვადებში – პირველი წლის განმავლობაში და ერთი წლის შემდეგ, ანუ ორ წლამდე, 26,1%-ს. 25-29 წლის ასაკის რესპონდენტებისთვის მაქსიმუმი მოდის პერიოდზე – ერთი წლის შემდეგ და ორი წლის შემდეგ, ე. ი. სამ წლამდე, 30-34 წლის რესპონდენტებისათვის ყველაზე მისაღები ვადაა სამი და მეტი წელი. საერთოდ კი, პირველი ბავშვის ყოლისთვის 2452 გამოკითხულიდან საუკეთესო დრო დააფიქსირა: პირველი წლის განმავლობაში – 17,5%-მა, ერთი წლის შემდეგ – 51,4%-მა, ორი წლის შემდეგ – 21,8%-მა, სამი და მეტი წლის შემდეგ – 9,2%-მა.

ქორწინების საუკეთესო ასაკთან დაკავშირებით მოცემულ ცხრილზე დაყრდნობით გამოვთვალეთ პირველი ბავშვის ყოლის საშუალო ასაკი, რომელმაც შეადგინა 26,2 წელი.

ქორწინებიდან პირველი ბავშვის დაბადებამდე პერიოდს დემოგრაფიაში პროტოგენეტიკური ინტერვალი ეწოდება. აღნიშნული ინტერვალი ასახავს ბავშვთა შობის რეგულირების პროცესს და როგორც წესი, არ შეადგენს 9 თვეზე ნაკლებს. ამასთან, რაც მეტია აღნიშნული ინტერვალი,

მით მეტად ხდება პირველი ბავშვის დაბადების გადავადება, რაც შესაბამისად მიგვითითებს შობადობის შემცირების ტენდენციაზე. ჩვენს კვლევაში აღნიშნული ტენდენცია მკაფიოდ გამოიკვეთა.

ასევე, დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის 2004-2005 წლების კვლევაში პროტოგენეტიკური ინტერვალის ანალიზმა სქესობრივ ჭრილში აჩვენა, რომ კაცებს შორის პირველი ბავშვის ყოლას ქორწინებიდან პირველ წელს მხარს უჭედა 37,5%, ხოლო ქალების – 22, 7%. ორივე სქესის მიხედვით პროტოგენეტიკური ინტერვალის ხანგრძლივობის ზრდასთან ერთად უკუპროპორციულად მცირდებოდა გამოკითხულთა პასუხების ხვედრითი წილი. როგორც კაცებში, ისე ქალებში პირველი ბავშვის ყოლის ყველაზე გავრცელებული პასუხი იყო – ქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ.<sup>1</sup>

პროტოგენეტიკური ინტერვალის საკითხი 2004-2005 წლების კვლევაში საკმაოდ დეტალურად იქნა შესწავლილი. მოვიტანოთ ზოგიერთი შედეგი:

- კაცებში პროტოგენეტიკური ინტერვალის სიდიდე აღმოჩნდა პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაში მათ მატერიალურ მდგომარეობასთან. აღსანიშნავია, რომ ქორწინებიდან პირველივე წელს ბავშვის ყოლას ამჯობინებდა ცუდი მატერიალური მდგომარეობის მქონე კაცების უმრავლესობა. ანალოგიური ტენდენცია დაფიქსირდა გამოკითხულ ქალებშიც.<sup>2</sup>
- რესპონდენტთა პასუხების ანალიზმა (ორივე სქესის მიხედვით) ოჯახის საბინაო პირობებთან დაკავშირებით გვიჩვენა, რომ ძირითადად დაცული იყო ის პროპორციები, რომლებიც ოჯახის მატერიალურ მდგომარეობათა კავშირში დაფიქსირდა.<sup>3</sup>
- ეკლესიის მრევლის წევრებისათვის (როგორც კაცებისათვის, ისე ქალებისათვის) იდეალური პროტოგენეტიკური ინტერვალი შედარებით დაბალი იყო მათგან განსხვავებით, ვინც არ იყო არცერთი ეკლესიის მრევლის წევრი.<sup>4</sup>

სამწუხაროდ, ჩვენს კვლევაში არ დასმულა საკითხი უკანასკნელი ბავშვის ყოლის საშუალო ასაკის შესახებ. 2004-2005 წლების კვლევით, ამ ასაკმა ქალებში შეადგინა 34, 5 წელი, კაცებში – 34 წელი.<sup>5</sup>

საქსტატის მონაცემებით, 2010-2018 წლებში დედის საშუალო ასაკი ბავშვის დაბადებისას მერყეობდა 26-28 წლების ინტერვალში, ხოლო დედის საშუალო ასაკი პირველი ბავშვის დაბადებისას მერყეობდა 24-25,6 წლების ინტერვალში.<sup>6</sup>

<sup>1</sup> სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული ქცევა. თბ., 2005 გვ. 30. ხელნაწერის უფლებით.

<sup>2</sup> იქვე გვ. 31

<sup>3</sup> იქვე გვ. 32

<sup>4</sup> იქვე გვ. 33

<sup>5</sup> იქვე, გვ. 35.

<sup>6</sup> Geostat.ge.

ჩვენი კვლევით ასევე დადგენილი იქნა კავშირი ქორწინებისთვის საუკეთესო ასაკსა და შობადობის ფაქტორებს შორის.

**ცხრილი 47. საუკეთესო ასაკი ქორწინებისთვის და შობადობის ფაქტორები**

საუკეთესო ასაკი ქორწინებისთვის	შობადობის ფაქტორები				
	სწავლის დასრულება	დასაქმება	მშობლების დახმარება	შემოსავალი	ჯანმრთელობა
20-24	23,1	22,9	22,3	22,6	22,6
25-29	70,2	70,4	71,2	70,8	70,8
30-34	6,7	6,7	6,6	6,6	6,6
სულ	100,0	100,0	100,0	100,0	100,0

შობადობის ფაქტორს, სწავლის დასრულება, პასუხი გასცა 2312 რესპონდენტმა, დასაქმებას – 2312-მა, მშობლების დახმარებას – 2207-მა, შემოსავალს – 2327-მა, ჯანმრთელობას 2322-მა. ყველა ფაქტორს გამოეხმაურა ერთი და იგივე რაოდენობის რესპონდენტი, გარდა მშობლების დახმარებისა, რომელიც დაახლოებით 100-ით ნაკლებია და ასეთ მრავალრიცხოვან პასუხებში შეიძლება მხედველობაში არც მივიღოთ.

კავშირი ქორწინების საუკეთესო ასაკსა და შობადობის ფაქტორებს შორის სტუდენტთა ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის პრაქტიკულად ერთი და იგივეა. განსაკუთრებით გამოკვეთილია ქორწინებისათვის საუკეთესო საშუალო ასაკი, რომელიც აბსოლუტურად ერთი და იგივეა შობადობის ყველა ჩამოთვლილი ფაქტორისათვის – 26,2 წელი. აღნიშნული მდგომარეობა შეიძლება აიხსნას შემდეგი მიზეზით: საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობა აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში არის აბსოლუტურად ერთგვაროვანი შეხედულების.

## თავი V სტუდენტების მიგრაციული განწყობა

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში ერთ-ერთ უმწვავეს გამოწვევად იქცა. ეკონომიკის კოლაფსის, პოლიტიკური კონფლიქტების, გაუსაძლისი სიღარიბის, უმუშევრობის არნახული მასშტაბების გამო 1990-2000 წლებში ქვეყანა მილიონამდე ადამიანი დატოვა. ეს პროცესები გაგრძელდა მიმდინარე საუკუნის დასაწყისში და, სამწუხაროდ, დღემდე მიმდინარეობს. მოსახლეობის მნიშვნელოვანი კლება ოფიციალურად დაფიქსირდა 2002-2014 წწ-ის საყოველთაო აღწერების შედეგებითაც, რამაც აჩვენა, რომ ამ პერიოდში მოსახლეობის რიცხოვნობა 4,5 მილიონიდან 3,7 მილიონამდე შემცირდა.

1997 წლის მიგრაციის პოლიტიკის კონცეფციისა და 2013-2015 წლების მიგრაციის სტრატეგიის კვალდაკვალ, საქართველომ 2015 წელს შეიმუშავა და დაამტკიცა მიგრაციის პოლიტიკის განმსაზღვრელი რიგით მესამე დოკუმენტი „2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია“. წინამორბედი პირველი ორი დოკუმენტისგან განსხვავებით, იგი მიგრაციის სფეროში პოლიტიკის დაგეგმვის სრულიად ახლებური, განსხვავებული ხასიათის დოკუმენტია, რომელიც ითვალისწინებს მომიჯნავე სფეროების სექტორულ სტრატეგიებსა და პოლიტიკის განმსაზღვრელ სხვა აქტებს და დიდწილად ასახავს ამავე წელს ევროკავშირის მიერ შემუშავებულ „ევროპის მიგრაციის დღის წესრიგის“ დებულებებს და მიგრაციასთან დაკავშირებულ გაეროს მდგრადი განვითარების თემატურ მიზნებს. სტრატეგიასთან ერთად მიღებულ იქნა შესაბამისი სამოქმედო გეგმები და მათი შესრულების ინდიკატორები, რომელთა საფუძველზეც რეგულარულად ფასდება მიღწეული შედეგები. მიმდინარე სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია მისი მონიტორინგის და შეფასების მექანიზმები. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის (მსსკ) სამდივნოს მიერ 2016 წელს შეიქმნა სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების ელექტრონული სისტემა (ელ. პორტალი), რომლის მეშვეობითაც სტრატეგიის განმახორციელებელი უწყებები ონლაინ პლატფორმაზე ანარმოებენ ანგარიშგებას, ხოლო სამდივნო პერმანენტულად აკვირდება აქტივობების შესრულების პროგრესს, მითითებული ვადებისა და ინდიკატორების შესაბამისად. ხსენებულმა სისტემამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სხვა დარგობრივ უწყებებსა თუ მათ სისტემაში შემავალ ორგანიზაციებში წარმოებული მონიტორინგის მექანიზმების დახვეწაზე და მის ბაზაზე ანალოგიური/მსგავსი კომპლექსური სისტემები შეიქმნა.

სტრატეგიის ფარგლებში მიღწეული შედეგების სიღრმისეული ანალიზისა და არსებული გამოცდილების გათვალისწინებით, 2019 წელს დაიწყო მუშაობა 2021-2030 წლების მიგრაციის ახალი სტრატეგიის კონცეფციაზე/ხედვაზე, რომელშიც მიმდინარე სტრატეგიის გამოცდილება-



ზე, ასევე კვლევებსა და მტკიცებულებებზე დაყრდნობით უნდა განსაზღვროს ქვეყნის ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები მომავალი 10 წლისთვის.

მიგრაციის საკითხების კომპლექსური შესწავლისა და ამ პროცესების საკანონმდებლო ჩარჩოში მოქცევის, მიგრაციის ქაოსური მიმდინარეობის მართვის მიზნით, საქართველოს მთავრობის №314 დადგენილების საფუძველზე, 2010 წელს შეიქმნა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია (მსსკ). კომისიის მიზანია მიგრაციის სფეროში საქართველოს მთავრობის ერთიანი პოლიტიკის განსაზღვრა, დანერგვა და მიგრაციული პროცესების კოორდინირებული მართვის გაუმჯობესება. აღნიშნული მიზანი კი მიიღწევა კვლევასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიგრაციის პოლიტიკის შემუშავებითა და განხორციელებით, მიგრაციის მართვაში მონაწილე უწყებებს შორის კოორდინირებული საქმიანობით, ორმხრივი, რეგიონული თუ გლობალური საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმატების გამოყენებით და გამოცდილების გაზიარებით, ასევე, სამოქალაქო საზოგადოების და აკადემიის წარმომადგენლების აქტიური ჩართულობით. უკანასკნელ წლებში მსსკ-ს საქმიანობა სწორედ ამ მიმართულებებით ვითარდება.

2012 წელს ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდა მსსკ-ს სამდივნო. მისი ფუნქციაა, ხელი შეუწყოს კომისიის ეფექტურ საქმიანობას და უზრუნველყოს იგი მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე საექსპერტო-ანალიტიკური მხარდაჭერით. კომისიის სამდივნო ფუნქციონირებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში.

საქართველოს მოსახლეობის ემიგრაციის პრობლემის სიმწვავიდან გამომდინარე, მიგრაციული პროცესების რეგულირების მიზნით ბოლო წლებში საქართველოს მიგრაციის სამთავრობო კომისიის მიერ შემუშავდა მიგრაციის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტები „საქართველოს მიგრაციის 2017 წლის პროფილი“ და „საქართველოს მიგრაციის 2019 წლის პროფილი“.

ბოლო 6 წლის განმავლობაში მიგრაციის მართვის სფეროში მიღებულ იქნა 4 ძირითადი ახალი კანონი:

2014 წლის ივნისიდან მოქმედებს ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ სადაც გამარტივებულია საქართველოს მოქალაქეობის დადგენა და ახლებურად არის დარეგულირებული ნატურალიზაციის პროცედურები. ამასთან, იგი სრულად შეესაბამება „მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირების შესახებ“ გაეროს 1961 წლის კონვენციას. 2018 წელს კანონში შეტანილი ცვლილებებით დადგინდა საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების პირობები, რომლებიც სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღებისას გამოიყენება. ასევე, მკაფიოდ განისაზღვრა სამომხდელი წესით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების კრიტე-



რიუმები, ხოლო ჩვეულებრივი წესით მოქალაქეობის მინიჭებისთვის 10 წლამდე გაიზარდა საქართველოში კანონიერად ცხოვრების ვადა.

2014 წლის სექტემბერში ძალაში შევიდა კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის დაწესდა საქართველოში შემოსვლისა და ყოფნის ახალი რეგულაციები, შემოღებულ იქნა ვიზისა და ბინადრობის ნებართვის ახალი კატეგორიები და შეიქმნა საქართველოში არალეგალურად მყოფ პირთა გაძევების ქმედითი მექანიზმები. 2015 წელს კანონში შევიდა ცვლილება და დარეგულირდა ვიზისა და ბინადრობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ცალკეული ნორმები;

2015 წლის ნოემბრიდან მოქმედი საქართველოს კანონი „შრომითი მიგრაციის შესახებ“ არეგულირებს საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა შრომითი ემიგრაციის ნორმებს, კერძოდ, შუამავალი ორგანიზაციების მეშვეობით შრომით ემიგრაციას. კანონში ასევე გათვალისწინებულია შრომით ემიგრანტთა უფლებების დაცვის მექანიზმები. საქართველოს მთავრობის მიერ მოგვიანებით დამტკიცდა შრომითი იმიგრაციის მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტიცი;

საუკეთესო საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების მიზნით, 2016 წელს მიღებულ იქნა „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ კანონი, რომელიც ძალაშია 2017 წლის 1 თებერვლიდან. ახალი კანონით განისაზღვრა ისეთი სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც, ერთი მხრივ, მაქსიმალურად იცავს რეალურად საერთაშორისო დაცვის საჭიროების მქონე პირთა უფლებებს, უფრო ქმედითს ხდის თავშესაფრის პროცედურებს და გონივრულ ვადებში უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღებას, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს იმ პირთა მიმართ რეგულაციების გამკაცრებას, რომლებიც ბოროტად სარგებლობენ თავშესაფრის სისტემით საქართველოში.

საერთაშორისო მიგრაციის მარეგულირებელი სხვა საკანონმდებლო აქტებია:

საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ (1993 წ.);

საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ (1996 წ.);

საქართველოს კანონი „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ (1998 წ.); საქართველოს კანონი „ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ (2006 წ.)

საქართველოს კანონი „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ“ (2011წ.); საქართველოს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ (2008 წ.);

საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ (2011 წ.).

საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული სტრატეგიული დოკუმენტები და შეთანხმებები წარმოადგენს მნიშვნელოვან სახელმძღვანელო პრინციპებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა განვითარდეს მიგრაციის მართვა საქართველოში. ეს დოკუმენტებია: „ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას (AA/DCFTA)“, „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი“ და „ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ გრძელვადიანი დავალებები. ამავდროულად, უახლესი გლობალური ინიციატივები და რეგიონული თანამშრომლობის ფორმატივებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს მიგრაციის მართვის ელემენტების ფორმირებაში.

დღეისათვის საქართველოში მიგრაციას განაპირობებს მრავალი ფაქტორი, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია ეკონომიკური და სოციალური ფაქტორები: უმუშევრობა და სიღარიბე. სხვა ხელშემწყობ ფაქტორებს შორის არანაკლებ მნიშვნელოვანია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში უკვე ჩამოყალიბებული დიასპორული ქსელები.

უკანასკნელ ათწლეულში ქვეყანაში გატარებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა, პოლიტიკურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებასთან ერთად, ხელი შეუწყო იმიგრაციული ნაკადების ზრდასაც. თუმცა, ემიგრაციის მასშტაბები ამით მაინც არ შემცირებულა, რადგან ქართველი მიგრანტების ძირითადი დანიშნულების ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოს ეკონომიკა შედარებით შეზღუდული დასაქმების შესაძლებლობებს, დაბალ შრომის ანაზღაურებას, მცირე ზომის სოციალურ დახმარებასა თუ დაბალი ცხოვრების ხარისხს სთავაზობს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს.

ემიგრაციული პროცესების შეზღუდვისათვის მნიშვნელოვანია მოსახლეობის კეთილდღეობის არსებითი ხასიათით გასაუმჯობესება. ეკონომიკური ზრდის დაჩქარების უმთავრესი მიზნის მისაღწევად საქართველოში დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ ტარდება მნიშვნელოვანი ხასიათის ეკონომიკური რეფორმები, რომლებმაც საუკუნის დასაყისიდან უფრო კომპლექსური ხასიათი მიიღო. ეკონომიკის სფეროში მიმდინარე რეფორმები ძირითადად მიმართული იყო სამენარმეო საქმიანობის გამართვისა და მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნისაკენ.

საქართველოს მოსახლეობა კლებასთან ერთად, დაბერების ტენდენციითაც ხასიათდება. კერძოდ, 2002 წლის აღწერის მონაცემებთან შედარებით, 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში 2014 წლის აღწერის შედეგებით 1.6%-ით გაიზარდა და 14.3% შეადგინა. მოსახლეობის დაბერების პროცესის ერთ-ერთი ხელშემწყობ ფაქტორად, შობადობის მაჩვენებლებთან ერთად, ახალგაზრდების ემი-

გრაცია შეიძლება განვიხილოთ. დღეისათვის ახალგაზრდების ემიგრაციის მაღალი დონის განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის საქართველოში განიხილება ამ ასაკის ადამიანებში უმუშევრობის ძალიან მაღალი დონე სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით, ქვეყანაში ცხოვრების დაბალი დონე, განათლებისა და ჯანდაცვის შედარებით დაბალი დონე და ხარისხი, უკიდურესი სიღარიბე და შემოსავლების განაწილებასა და განაწილებაში დიდი უთანასწორობა.

საქსტატი 2012 წლიდან აქვეყნებს მიგრანტთა ნაკადების ქვეყანაში შემოდინებისა და გადინების სტატისტიკას სქესის, ასაკისა და მოქალაქეობის მიხედვით.

საქსტატის მონაცემებიდან ირკვევა, რომ 2012-2018 წლებში ყოველწლიურად იზრდებოდა ახალგაზრდა ემიგრანტთა ნაკადი საქართველოდან.

ემიგრანტების ნაკადების დასადგენად საქსტატი იყენებს გაეროს მიერ რეკომენდებულ მეთოდოლოგიას, რომლის მიხედვითაც, ემიგრანტად ითვლება ნებისმიერი პირი (მოქალაქეობრივი კუთვნილების მიუხედავად), რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ 2 პირობას:

1. დატოვა საქართველო ბოლო 12 თვეში და სულ მცირე 183 დღე (შესაძლებელია ეს იყოს რამდენიმე გასვლის კუმულაციური ჯამი) იმყოფებოდა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე;
2. საქართველო იყო მისთვის მუდმივი საცხოვრებელი ქვეყანა, ე. ი. მას ქვეყნიდან გასვლამდე, წინა 12 თვეში საქართველოში გატარებული ჰქონდა სულ მცირე 183 დღე (ხანგრძლივობის კუმულაციური ჯამი). შესაბამისად, ემიგრანტებში ხვდებიან როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეები.

2002-2018 წწ-ში საქართველოში ემიგრაციულ ნაკადებში ორი პერიოდი გამოიყოფა: პირველი – 2002-2011 წლები. ამ წლებში ემიგრანტების რიცხოვნობის ზრდის მიმართულება გამოიკვეთა: 2002 წლის 70 ათასიდან 107 ათასამდე 2011 წელს, მათ შორის, ამ პერიოდში 20-30 წწ-მდე ასაკის ახალგაზრდების რიცხოვნობა 19,7 ათასიდან 29,6 ათასამდე გაიზარდა. მეორე პერიოდია 2012-2018 წლები, სადაც ყოველწლიური ემიგრანტების რიცხოვნობა 88,7 ათასიდან 99 ათასამდე მერყეობს, მათ შორის 20-30 წწ-მდე ასაკის ახალგაზრდების რიცხოვნობა ყოველწლიურად საშუალოდ 26 ათას კაცს შეადგენდა.

**ცხრილი 48. მიგრაციული სალდო საქართველოში, 2012-2018 წწ**

	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
მიგრაციული სალდო (კაცი)	-21 521	-2 606	-6 543	-3 406	-8 060	-2 212	-10 783
მიგრაციული სალდო (ათას კაციზე)	-5,8	-0,7	-1,8	-0,9	-2,2	-0,6	-2,9

წყარო: ცხრილი აგებულია საქსტატის მონაცემების მიხედვით.

საქსტატის ოფიციალური მონაცემებით, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ყველაზე მეტი ემიგრანტი (მათ შორის, ყველაზე მეტი საქართველოს მოქალაქე ემიგრანტი) 2018 წელს დაფიქსირდა. რაც შეეხება სხვა ქვეყნის მოქალაქე ემიგრანტებს, მათი უმრავლესობა რუსეთის, თურქეთისა და სომხეთის მოქალაქეები არიან. 2015-2018 წლებში საქართველოდან წასული ემიგრანტების 57% მამაკაცია.

რაც შეეხება იმიგრანტებისა და ემიგრანტების განაწილებას ასაკის მიხედვით, მასში ყველაზე მაღალი წილი უკავია 15-64 წლის ასაკის მოსახლეობას, რაც ლოგიკურიცაა და ამ ასაკის მოსახლეობის უფრო მაღალი მობილობით აიხსნება.

UN DESA-ს მონაცემებით, საზღვარგარეთ დაბადებული მოსახლეობის კატეგორიის მიხედვით, ყველაზე მეტი ემიგრანტი საქართველოდან რუსეთში იმყოფება. საქართველოში დაბადებული პირების საკმაოდ დიდი რაოდენობა გვხვდება ასევე საბერძნეთში, უკრაინაში, სომხეთსა და აზერბაიჯანში.

ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის ამოქმედების შემდეგ მზარდია საქართველოს მოქალაქეთა მიერ ამ მიმართულებით გამგზავრება. 2017-2018 წლებში განსაკუთრებით გაიზარდა გერმანიაში, იტალიასა და საბერძნეთში ემიგრანტთა ნაკადები.

საქართველოს 2019 წლის მიგრაციული პროფილის მიხედვით ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედი ბინადრობის ნებართვის მქონე საქართველოს მოქალაქეთა ნახევარზე მეტი (60%) იმყოფება საბერძნეთში, იტალიასა და გერმანიაში. შრომითი საქმიანობის საფუძველზე მიღებული ბინადრობის ნებართვის მფლობელთა უმეტესობა იტალიაში ცხოვრობს, ხოლო ოჯახის გაერთიანების მიზნით – საბერძნეთსა და გერმანიაში. რუსეთი საქართველოს მოქალაქეებისთვის ემიგრაციის ერთ-ერთი ძირითადი ქვეყანა იყო 1990 წლების შემდეგ და დღეს მისი წილი კვლავ მაღალია, თუმცა, ბოლო წლებში საქართველოდან რუსეთში ჩასულ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა კლებულობს, ხოლო საქართველოს იმ მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებმაც რუსეთი დატოვეს, იზრდება. შედეგად, რუსეთში საქართველოს მოქალაქეთა მიგრაციული სალდო შემცირდა. 2015-2017 წლებში საქართველოს მოქალაქეების მიერ აშშ-ში მუდმივი ბინადრობის ნებართვის და მოქალაქეობის მიღების მაჩვენებლები მეტ-ნაკლებად სტაბილურია. 2017 წელს საქართველოს მოქალაქეების რიცხვმა, რომლებიც თურქეთში ბინადრობის ნებართვას ფლობდნენ, 21465 შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით (18 511) გაზრდილი მაჩვენებელია. საქართველოს მოქალაქეები თურქეთში, ძირითადად შრომის, ოჯახის გაერთიანების და მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის საფუძველზე იმყოფებიან.

ემიგრაციის მაღალი მასშტაბების გამო, მაღალია უცხოეთიდან ფულადი გზავნილების მოცულობა, რაც საქართველოში ცალკეულ წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობებს აღემატებოდა კი-

დეც. უცხოეთიდან ფულადი გზავნილების მოცულობა ბოლო ოთხ წელში 32%-ით გაიზარდა. ფულადი გზავნილების ყველაზე დიდი რაოდენობა საქართველოში კვლავ რუსეთიდან შემოდის. თუმცა, 2017 წელთან შედარებით, 2018 წელს რუსეთიდან საქართველოში გადმორიცხული ფულადი გზავნილების მოცულობა ოდნავ შემცირებულია. ბოლო წლებში სწრაფად გაიზარდა ისრაელიდან განხორციელებული ფულადი გზავნილების მოცულობა. ასევე, გაზრდილია ევროკავშირის თითქმის ყველა ქვეყნიდან განხორციელებული ფულადი გზავნილების მოცულობებიც.

2019 წელს ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ იმ ოჯახების თითქმის ნახევრისთვის (46%), ვისაც ერთი წევრი მაინც ჰყავს ან ჰყოლია საზღვარგარეთ, ეს წევრი საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდში ოჯახის ძირითადი მარჩენალი იყო. ხოლო გამოკითხული ოჯახების ნახევარზე მეტი (57%) სისტემატურად იღებს/ იღებდა ფულს საზღვარგარეთ მყოფი ოჯახის წევრისგან. უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წლიდან მოყოლებული ზრდადია ფულადი გზავნილების პროცენტული წილი ქვეყნის მშპ-ში, შესაბამისად, ეს წყარო დღეისათვის ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის სტაბილურობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით ერთ-ერთ ძირითად, ფუნდამენტურ ფაქტორად განიხილება. ამასან, უცხოეთიდან ფულადი გზავნილების შემოდინება ქვეყანაში უფრო მაღალი სტაბილურობით ხასითდება, ვიდრე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება. სიდიდის მიხედვით მართალია 2015-2017 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები აჭარბებდა ქვეყანაში შემოსულ ფულადი გზავნილების ყოველწლიურ ოდენობას. 2018 წელს ეს სურათიც შეიცვალა და ფულადმა გზავნილებმა დაახლოებით 130 მილიონით გადაჭარბა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობას (საქატაგის მონაცემების მიხედვით).

2005 წელს საქართველოში სტუდენტების ემიგრაციული განწყობის შესახებ კვლევა „სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული ქცევა“ მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტში განხორციელდა (2004-2005 წწ-ში. პროფ.მერაბ ხმაღაძის და სხვათა მიერ). აღნიშნულ კვლევაში, სტუდენტი-ახალგაზრდობის დემოგრაფიული ქცევის შესწავლის მიზნით ძირითადად ყურადღება აქვს დათმობილი სტუდენტი-ახალგაზრდობის პოტენციური და მათი ოჯახის წევრების ფაქტობრივი მიგრაციის შესწავლას. ამ მიზნით რესპონდენტებს დაესვათ შემდეგი შინაარსის კითხვები: „ოჯახის რომელი წევრია საზღვარგარეთ წასული“, „თუ წასულია, რომელ ქვეყანაში“, „რამდენი წელია, რაც საზღვარგარეთ იმყოფება“, „როგორ ეპყრობიან მას იმ ქვეყანაში“, „რა პრობლემები გადაჭრეს საზღვარგარეთ მყოფი ახლობლების მატერიალური დახმარებით“, „გსურთ თუ არა საქართველოდან წასვლა მუდმივად ან დროებით“, „თუ გსურთ, რომელ ქვეყანაში“, „მიუთითეთ წასვლის სურვილის მიზეზი“.

კვლევაში აღნიშნულია, რომ სოციალურ-ეკონომიკურმა ვითარებამ, დასაქმების სფეროს შეზღუდულმა შესაძლებლობებმა გამოიწვია მოსახლეობის ემიგრაციის ზრდა, რამაც ამ პერიოდისათვის მოიცვა რესპო-

ნდენტების ოჯახების 8,3%, (2019 წ. კვლევის მიხედვით ეს მაჩვენებელი 20%-ს აღემატება). 2005 წლის კვლევის მიხედვით აღმოჩნდა, რომ გამოკითხული რესპონდენტების ოჯახის წევრებიდან საზღვარგარეთ უმეტეს შემთხვევაში მიდიოდა მამა (22%).

ამ კვლევით გამოვლინდა, რომ რესპონდენტთა ოჯახის წევრები ძირითადად წასულები იყვნენ რუსეთის ფედერაციაში. სადაც უმეტეს წილად წასული იყო 40 წლის ზემოთ ადამიანები. რაც შეეხება საბერძნეთსა და გერმანიას, აქ შედარებით ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობის გასვლას ჰქონდა ადგილი. აშშ-სა და გერმანიაში წასული ახალგაზრდობის მიზანს დასაქმებასთან ერთად, სწავლის შეთავსებაც წარმოადგენდა.

ამ პერიოდისათვის ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ მიგრანტთა მთელ ნაკადში აშშ-ის წილი 1%-ს, გერმანიის – 13%-ს, საბერძნეთის – 14%-ს შეადგენდა. თურქეთის წილი კი უმნიშვნელო სიდიდე იყო. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც საქართველოს მოსახლეობის ემიგრაციას ახასიათებდა და დღესაც ახასიათებს, ესაა მისი არალეგალურობა.

რიგი კვლევებით დადგინილი იყო, რომ რესპონდენტების – საზღვარგარეთ წასული 15-29 წლის ახალგაზრდების ოჯახის წევრთა 41,2% საბერძნეთში იმყოფებოდა, ძირითადად მომვლელებად.

კვლევაში ასევე აღნიშნულია, რომ ამ პერიოდისათვის გაჩნდა საქართველოდან შრომითი მიგრაციული ნაკადების ახალი კერები შემდეგ ქვეყნებში: პორტუგალია, ესპანეთი, ინგლისი, ირლანდია, იტალია, ავსტრალია, პოლონეთი, ბელგია. თუმცა, მიგრაციის ხვედრითი წილი ამ ქვეყნებში შედარებით დაბალი იყო.

**ცხრილი 49. გამოკითხულთა ოჯახის წევრების საზღვარგარეთ ყოფნის ხანგრძლივობა (2005 წ. მდგომარეობით, %)\***

ნლები	1	2	3	4	>5
%	8,8	16,2	13,2	8,8	52,9

ცხრილიდან ჩანს, რომ რესპონდენტთა ოჯახის წევრების ნახევარზე მეტი საზღვარგარეთ იმყოფება 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

**ცხრილი 50. დამოკიდებულება საზღვარგარეთ მყოფთა მიმართ (2005 წ., %)**

	კარგად	ჩვეულებრივად	ცუდად	სხვა
კაცები	50,0	31,3	6,3	12,6
ქალები	48,1	51,9	-	-

როგორც ზემოთ მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რესპონდენტების ნახევარზე მეტი ოჯახის წევრთა ემიგრაციას ძირითადად დადებითად ან ჩვეულებრივად აფასებს.



**ცხრილი 51. წასულების განაწილება სქესისა და განათლების მიხედვით, 2005 წელი, %**

	საშუალო	საშუალო სპეციალური	უმაღლესი (ან დაუმთავრებელი უმაღლესი)	სულ (%)
კაცები	5,3	21,1	73,6	100
ქალები	3,7	29,6	66,7	100

ცხრილი 51-დან ირკვევა, რომ ემიგრანტთა უმრავლესობა უმაღლესი, ან დაუმთავრებელი უმაღლესი განათლების მქონე პირია.

**ცხრილი 52. ემიგრირებულთა განაწილება განათლების დონის მიხედვით, 2005 წ, %**

საშუალო	4
საშუალო სპეციალური	27,5
უმაღლესი (ან დაუმთავრებელი უმაღლესი)	68,5

ამრიგად, 2005 წლამდე პერიოდში საქართველოდან გავიდა მაღალი განათლების დონის მქონე ადამიანები, რამაც ხარისხობრივად გააუარესა ჩვენი ქვეყნის შრომითი პოტენციალის შესაძლოობები. ამასთან, არც საზღვარგარეთ არ მოხდა ემიგრირებული ადამიანური კაპიტალის შესაბამისი კვალიფიკაციით დასაქმება.

განვითარებადი ქვენებიდან შრომითმა მიგრაციამ ხელი შეუწყო დასავლეთის შრომის ბაზრების სეგმენტაციას პირველად და მეორედ ბაზრებად. ამ ქვეყნებში შრომითმა იმიგრაციამ ადგილობრივ მუშახელს საშუალება მისცა გადანაწილებულიყვნენ და განმტკიცებულიყვნენ შრომის პირველად ბაზრებზე, სადაც შრომის მაღალი ანაზღაურება და კარგი შრომის პირობებია. მეორადი ბაზარი კი შრომის მძიმე, მავნე პირობებით და არაპრესტიჟული სამუშაო ადგილებით, შესაბამისად დაბალი ანაზღაურებით დაიკავა შრომითმა მიგრანტებმა, ამ სფეროში განსაკუთრებით მაღალია არალეგალების წილი. შესაბამისად, ადგილი აქვს მათ მიმართ მაღალი ზომის ექსპლუატაციასა და შრომის ანაზღაურებაში დიდ დისკრიმინაციას.

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, საზღვარგარეთ მყოფი ოჯახის წევრები მნიშვნელოვან მატერიალურ დახმარებას უწევდნენ აქ დარჩენილ ოჯახის წევრებს. შრომითი ემიგრაციის მეოხებით საქართველოში მრავალი ათასობით ოჯახი იღებდა საარსებო საშუალებას, ქვეყანა კი სამუშაო ძალის ექსპორტით იღებდა მნიშვნელოვანი ზომის სავალუტო შემოდინებებს, რაც ხშირად აჭარბებდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სიდიდეს.

2005 წლის კვლევიდან დადგინდა, რომ შრომით ემიგრანტთა ფულადი გზავნილების უმეტესი ნაწილი ხმარდებოდა საქართველოში დარჩენილი დევნილი ოჯახების პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფი-

ლებას. ასე, მაგალითად, გამოკითხულთა 55%-ზე მეტმა საზღვარგარეთ მყოფი ახლობლების მატერიალური დახმარებით გადაჭრა კვებისა და ჩაცმის პრობლემა და ასევე, გაიუმჯობესა საბინაო პირობები. არავითარი პრობლემა არ გადაუჭრია 18%-ს.

**ცხრილი 53.** გამოკითხულთა წილი, რომლებმაც საზღვარგარეთ მყოფი ახლობლების მატერიალური დახმარებით გადაჭრეს პრობლემები (2005 წლის კვლევის მიხედვით), %

	კვება, ჩაცმა	საბინაო	ჯანდაცვა	ბიზნესის დაწყება	ავტომობილების და სხვა შეძენა	არავითარი	სულ
გამოკითხულები	31,2	24,6	13,1	4,9	8,2	18	100

ცნობილია, რომ ოჯახის წევრების ემიგრაციაში ყოფნა, მისი ადაპტაციის უნარი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამშობლოში დარჩენილი ოჯახის წევრების ემიგრაციულ განწყობაზე. აღნიშნული კვლევით დადგინდა, რომ სტუდენტ-ახალგაზრდობის ემიგრაციული პოტენციალი საკმაოდ მაღალი იყო და ემთხვეოდა ფაქტობრივი მიგრაციის მიმართულებათა სპექტრს.

**ცხრილი 54.** გამოკითხულთა განაწილება იმ ქვეყნების მიხედვით, სადაც სურთ წასვლა, 2005 წლის კვლევის მონაცემების მიხედვით, %

ქვეყნები	მუდმივად		დროებით	
	კაცები	ქალები	კაცები	ქალები
რუსეთი	0	2,2	5,3	6,5
აშშ	16,7	38,9	29,8	23,5
თურქეთი	8,3	0	0	0,7
საბერძნეთი	8,3	0	5,3	7,8
გერმანია	33,3	16,7	25,5	29,1
სხვა	33,3	22,2	43,0	32,0
სულ	100	100	100	100

საზღვარგარეთ მუდმივად და დროებით წამსვლელთა პოტენციური მაჩვენებლებიდან ჩანს, რომ ძირითადი ემიგრაციის ქვეყნები 2005 წლისათვის იყო აშშ და გერმანია. უნდა აღინიშნოს, რომ პოტენციურ ემიგრანტთა საქართველოდან წასვლის ძირითადი მიზეზი ეკონომიკური მდგომარეობა იყო.



**ცხრილი 55. საზღვარგარეთ მუდმივად ან დროებით წასვლის მსურველთა განაწილება წასვლის მიზეზების მიხედვით (2005 წლის კვლევით, %)**

	მუდმივად		დროებით	
	კაცები	ქალები	კაცები	ქალები
მატერიალური მდგომარეობა	35,3	31,6	26,1	8,2
საბინაო პირობები	5,9	10,5	0,9	1,1
პოლიტიკური მდგომარეობა ქვეყანაში	0	5,3	1,8	1,7
სწავლა	29,4	21,1	29,7	41,8
წასვლა ოჯახის წევრთან	0	0	0,9	3,3
უცხო ქვეყნის ნახვის სურვილი	23,5	21,1	36,9	39,6
სხვა	5,9	10,5	3,6	4,4


მაშასადამე, კვლევის მიხედვით დადგინდა, რომ როგორც ფაქტობრივი, ასევე, პოტენციური ემიგრაცია საქართველოში 2005 წლისათვის ძირითადად იძულებითი ხასიათისა იყო, რაც განპირობებული იყო ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური პირობებით, უმუშევრობის მაღალი დონითა და ცხოვრების დონის მკვეთრი დაცემით.

2019 წლის გამოკვლევაში სტუდენტი ახალგაზრდობის ემიგრაციული განწყობების შესასწავლად რესპონდენტებს დაუფასოვდა შემდეგი კითხვები: „არის თუ არა წასული თქვენი ოჯახის რომელიმე წევრი სამუშაოდ საზღვარგარეთ?“, „იღებთ თუ არა მატერიალურ დახმარებას საზღვარგარეთ წასული ოჯახის წევრებისაგან?“, „მიანიჭეთ ქულა საზღვარგარეთ წასული ოჯახის წევრების მატერიალური დახმარებით გადაჭრილ/ გადაუჭრელ პრობლემებს“, „თუ აპირებთ წასვლას საქართველოდან, მიანიჭეთ ქულა წასვლის მიზეზს“.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, გამოკითხული სტუდენტების 51 %-ს განზრახული აქვს საზღვარგარეთ წასვლა. მათ შორის 25 % სამუშაოს საძებნელად, 26 % კი წასვლის მიზეზად სასწავლებლად წასვლას ასახელებს.

სტუდენტთა ემიგრაციული განწყობის შეფასებისათვის შესწავლილი იქნა საზღვარგარეთ წასული მათი ოჯახის წევრების შესახებ მონაცემები, მათი სიხშირული განაწილება, რაც ქვემოთ მოტანილი ნახაზის სახითაა წარმოდგენილი.

**ნახაზი 56.** საზღვარგარეთ წასული/არ წასული ოჯახის წევრების სიხშირული განაწილება, 2019 წელი




\* აქ და ქვემოთ ყველა ნახაზი აგებულია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

გამოკითხვიდან გაირკვა, რომ საზღვარგარეთ იმყოფება სტუდენტების ოჯახის წევრების დაახლოებით 26 %.

ქვემოთ მოტანილი ცხრილი 57 გვიჩვენებს საზღვარგარეთ წასული ოჯახის წევრებიდან მიღებული დახმარების მნიშვნელობას სტუდენტი ახალგაზრდებისთვის. ცხრილიდან ირკვევა, რომ გამოკითხული სტუდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი დამოკიდებულია საზღვარგარეთ წასული ოჯახის წევრებიდან მიღებულ მატერიალურ დახმარებაზე.

**ნახაზი 57.** ოჯახის წევრისგან მიღებული/მიუღებელი მატერიალური დახმარების სიხშირული განაწილება 2019 წელს



მიღებული შედეგების ანალიზიდან ირკვევა, რომ დღეისათვის საზღვარგარეთ წასული ოჯახის წევრების მატერიალური დახმარება საქართველოში სტუდენტების მრავალი პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. როგორც მოსალოდნელი იყო, მათგან გამოიყოფა ისეთი სამი ძირითადი მიმართულება, როგორიცაა: საკვები პროდუქტების შეძენა, ბინის შეძენა და სწავლის გადასახადები.


საზღვარგარეთ წასული ოჯახის წევრების მატერიალური დახმარებით გადაჭრილი პრობლემების ქულების სიხშირული განაწილება ასე გამოიყურება:

**ცხრილი 56.** საზღვარგარეთ წასული ოჯახის წევრების მატერიალური დახმარებით გადაჭრილი პრობლემების ქულების სიხშირული განაწილება (2019 წელი, %)

	1	2	3	4	5
ვიკვებებით და ვიცმევთ უკეთესად	30.9	8.7	15.6	14.5	30.2
გავიუმჯობესეთ საბინაო პირობები	27.4	11.6	16.6	18.1	26.3
გადავიხადეთ სწავლის საფასური	32.3	8.3	11.4	15.0	33.1
უკეთესად ვზრუნავთ ჯანმრთელობაზე	31.0	12.1	15.3	15.7	25.8
დავიწყეთ საკუთარი ბიზნესი	51.5	16.5	10.1	8.9	13.1
შევიძინეთ ავტომობილი ან სხვა ნივთები	39.4	15.4	17.1	8.5	19.5
არავითარი პრობლემა არ გადაგვიჭრია	55.2	12.2	11.7	5.2	15.7

თუ გავანალიზებთ საზღვარგარეთ წასული ოჯახის წევრების მატერიალური დახმარებით გადაჭრილი პრობლემების შემაჯამებელ ცხრილს, ვნახავთ, რომ ემიგრანტების მიერ გამოგზავნილი ფულით საკვებისა და ტანსაცმლის პრობლემატიკაზე პასუხები დააფიქსირა გამოკითხულთა 55.3%-მა, ბინაზე – 52%-მა, სწავლის გადასახადზე 51-მა, ჯანმრთელობაზე 49.8%-მა, ბიზნესზე – 47.5%-მა, სხვა ნივთების შეძენაზე 49.3 და არავითარზე – 45.9%-მა.


**ნახაზი 58.** საზღვარგარეთ წასული ოჯახის წევრების მატერიალური დახმარებით გადაჭრილი პრობლემების რეიტინგების სიხშირული განაწილება, %



დეტალურად განხილეთ საზღვარგარეთ წასული ოჯახის წევრების მატერიალური დახმარებით გადაჭრილი/გადაუჭრელ პრობლემების განაწილება მეხუთე, ყველაზე მაღალი პრიორიტეტისა და პირველი, ყველაზე დაბალი რეიტინგების მიხედვით.

ქვემოთ მოტანილია მიღებული შედეგების გრაფიკული გამოსახულებები.


**ნახაზი 59.** საზღვარგარეთ წასული ოჯახის წევრების მატერიალური დახმარებით გადაჭრილი პრობლემების სიხშირული განაწილება მეხუთე ქულის მიხედვით



მეხუთე, ყველაზე მაღალი პრიორიტეტის მიხედვით, გამოკითხულთა მესამედზე მეტმა უპირატესობა მიანიჭა ემიგრანტების მიერ გამოგზავნილი თანხებით სწავლის გადასახადის გადახდას. ეს, რა თქმა უნდა, გასაკვირი არ არის, როდესაც საქმე ეხება სტუდენტ-ახალგაზრდობას და ეს საკითხი მათთვის უმნიშვნელოვანესია. ასევე, სტუდენტთა მესამედმა მაქსიმალური – 5 ქულა მიანიჭა ფაქტორს – ვიკვებებით და ვიცმევთ უკეთესად, შემდეგ, მათმა მეოთხედმა – ზრუნვას ჯანმრთელობაზე. ნიშანდობლივია, რომ საკუთარი ბიზნესის დაწყებას და ავტომობილის შეძენას მეხუთე პრიორიტეტი რესპონდენტთა შედარებით მცირე ნაწილმა მიუთითა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ემიგრანტების მიერ გამოგზავნილი სახსრებით ძირითადად ხდება პირველადი მოთხოვნილების საგნებსა და აუცილებელ სერვისებზე ნევდომა ხერხდება, ხოლო უფრო კაპიტალურ ხარჯებზე მხოლოდ მცირე ნაწილისა.

პირველი პრიორიტეტის მიხედვით შედარებით განსხვავებული სურათი მივიღეთ, რაზედაც ზუსტ წარმოდგენას იძლევა ქვემოთ მოტანილი ნახაზი 60.


**ნახაზი 60.** საზღვარგარეთ ნასული ოჯახის წევრების მატერიალური დახმარებით გადაჭრილი პრობლემების სიხშირული განაწილება პირველი რეიტინგის მიხედვით



მეხუთე პრიორიტეტთან შედარებით, ემიგრანტების მიერ გამოგზავნილი თანხებით მიღებულ სარგებელზე რესპონდენტების ერთი ნაწილი გამოთქვამს უკმაყოფილებას, ვიდრე შედეგისადმი კმაყოფილებას, რაზეც მეტყველებს კმაყოფილების მაღალი და დაბალი დონეების შედარება. აქვე აღსანიშნავია, რომ კმაყოფილება და უკმაყოფილება სამ ტოპ ფაქტორთან დაკავშირებით, როგორცაა სწავლის გადასახადის გადახ-

და, უკეთესი კვება და ჩაცმა და საბინაო პირობების გაუმჯობესება, თითქმის ერთნაირია, ხოლო კაპიტალურ ხარჯებთან დაკავშირებით – რადიკალურად განსხვავებული.

**ნახაზი 61.** საზღვარგარეთ ნასული ოჯახის წევრების მატერიალური დახმარებით გადაჭრილი პრობლემების სიხშირული განაწილებების შედარება მეხუთე და პირველი რეიტინგების მიხედვით




**ცხრილი 57.** საქართველოდან ემიგრაციის მიზეზების რეიტინგების სიხშირული განაწილება 2019 წელს, %

	1	2	3	4	5
არასახარბიელო მატერიალური მდგომარეობა	20.1	14.6	17.4	16.4	31.5
არასახარბიელო საბინაო პირობები	34.9	20.0	16.4	14.9	13.8
სწავლა	10.7	5.6	9.1	11.9	62.7
ნასვლა ოჯახის წევრთან	56.5	16.8	11.0	3.7	12.0
უცხო ქვეყანაში ცხოვრება	25.1	19.8	16.4	13.0	25.6
სამუშაოს მოძიება	17.1	13.4	8.3	18.1	43.1
სხვა	24.1	14.3	12.0	17.3	32.3

საქართველოდან ემიგრაციის მიზეზების რეიტინგების სიხშირული განაწილება გრაფიკულად შემდეგი სახისაა:

**ნახაზი 62.** საქართველოდან ემიგრაციის მიზეზების რეიტინგების სიხშირული განაწილება, %



ყველაზე მაღალი პრიორიტეტის მიხედვით ემიგრაციის მიზეზებს შორის პირველ ადგილზეა სწავლა. მას მოყვება სამუშაოს ძიება და მესამე ადგილზე სახელდება არასახარბიელო მატერიალური პირობები.

მაშასადამე, ანალიზიდან ირკვევა, რომ საქართველოდან სტუდენტების ემიგრაციის მიზეზები რეიტინგების მიხედვით გარკვეულწილად განსხვავდება მოსახლეობის მიგრაციის საერთო მიზეზებისაგან. კერძოდ, კვლევამ აჩვენა, რომ ახალგაზრდებში ემიგრაციის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად სახელდება საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების სურვილი, რაც მოსალოდნელიც იყო. შემდეგ – ოჯახის წევრთან გაერთიანების სურვილი და მესამე ადგილზეა სამუშაოს მოძებნა და დასაქმების პერსპექტივა. ასევე, ემიგრაციის მნიშვნელოვანი მიზეზია საქართველოში მათი ცხოვრებისათვის არსებული არასახარბიელო საბინაო და მატერიალური პირობებიც.

მაშასადამე, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტი ახალგაზრდობის პოტენციური ემიგრაციის სავარაუდო რეალიზაცია საქართველოს დემოგრაფიულ პოტენციალზე ორმხრივ ზეგავლენას მოახდენს. ერთის მხრივ, იმის გამო, რომ სტუდენტი ახალგაზრდობა იმყოფება აქტიურ რეპროდუქციულ ასაკში, ემიგრაცია გააუარესებს საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების მაჩვენებლებს. მეორეს მხრივ, ემიგრანტთა ფულადი გზავნილები ნაწილობრივ შეავსებენ მოსახლეობისთვის საჭირო რესურსებს და ამ თვალსაზრისით, გარკვეული ზომით დადებით როლს ითამაშებენ და ხელს შეუწყობენ აქ დარჩენილი მოსახლეობის აღწარმოებასა და რიცხოვნობის მატებას. გარდა ამისა, სტუდენტი ახალგაზრდობის მიერ საზღვარგარეთ მიღებული ცოდნა და ღირებულებები,

უკან დაბრუნების შემთხვევაში, დიდ როლს შეასრულებენ ქვეყნის მომავალ სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის მიერ ბოლო წლებში მიგრაციის შესწავლისა და პროცესების დარეგულირების სტრატეგიის განსაზღვრის მიუხედავად (2017-2019 წწ, საქართველოს მიგრაციის პროფილები), ჯერ კიდევ უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება შრომითი მიგრაციის ლეგალიზაციის საკითხი, რისთვისაც საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შემდგომი სრულყოფა, შრომითი ემიგრაციის თაობაზე სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებების გაფორმება, რაც ხელს შეუწყობს არა მარტო მოსახლეობის მიგრაციის დარეგულირებას, არამედ მრავალი უმწვავესი სოციალური პრობლემის გადაჭრას. ასევე, ემიგრაციული პროცესების ეფექტიანი მართვის მიზნით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან უშუალოდ ახალგაზრდების განათლებასა და დასაქმებაზე ორიენტირებული პროგრამების გაზრდა, მათი დაახლოება ეკონომიკურად განვითარებული და მზარდი ეკონომიკებისათვის დამახასიათებელ საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან.

სტუდენტი ახალგაზრდობის მიგრაციული განწყობის შესწავლით ირკვევა, რომ 2002-2018 წლებში საქართველოს ემიგრაციულ ნაკადებში ორი პერიოდი გამოიყოფა: პირველი, 2002-2011 წლები – ამ პერიოდში ემიგრანტების რიცხოვნობის ზრდის მიმართულება გამოიკვეთა: 2002 წლის 70 ათასიდან 2011 წელს 107 ათას ემიგრანტს მიაღწია, მათ შორის, ამავე პერიოდში 20-30 წწ-მდე ასაკის მიგრანტი ახალგაზრდების რიცხოვნობა 19,7 ათასიდან 29,6 ათასამდე გაიზარდა. მეორე პერიოდია 2012-2018 წწ, როდესაც ყოველწლიური ემიგრანტების რიცხოვნობა 88,7 ათასიდან 99 ათასამდე მერყეობდა, მათ შორის, 20-30 წლის ასაკის ახალგაზრდების რიცხოვნობა ყოველწლიურად საშუალოდ 26 ათას კაცს შეადგენს.

საქართველოს ეკონომიკურ ზრდაზე მოსახლეობის ემიგრაციის ზეგავლენა სხვადასხვა ეფექტით გამოიხატება. ეს არის:

1. საქართველოდან მოსახლეობის ემიგრაციის დიდი მასშტაბების გამო, მაღალია უცხოეთიდან მიღებული ფულადი გზავნილების მოცულობა. ამასთან, უცხოეთიდან ფულადი გზავნილების შემოდინება ქვეყანაში უფრო სტაბილური პროცესია, ვიდრე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება. აღსანიშნავია, რომ ცალკეულ წლებში (2015, 2018 წწ) მიღებული ფულადი გზავნილების მოცულობა აჭარბებდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ 2015 წლიდან მოყოლებული საქართველოში ფულადი გზავნილების პროცენტული წილი ქვეყნის მშპ-ში ზრდადია, დღეისათვის ქვეყნის ეკონომიკა უცხოური ვალუტის შემოდინების თვალსაზრისით გზავნილებზე ზედმეტად დამოკიდებული მაინც არ არის.

*ასევე, სტუდენტი ახალგაზრდობის ემიგრაციის უარყოფითი ეფექტი მდგომარეობს იმაშიც, რომ ახალგაზრდების ემიგრა-*



ციის გამო უარესდება მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა, მკვეთრად უარესდება პენსიონერთა და დასაქმებულთა თანაფარდობის მაჩვენებელი, რომელიც საქართველოში უკვე დღეის მდგომარეობითაც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ძალიან მძიმე ტვირთად აწევს ქვეყანას და ქვეყნის საშუალო და გრძელვადიანი მაკროეკონომიკური მდგრადობისათვის სერიოზულ რისკ-ფაქტორს წარმოადგენს.

2. სტუდენტთა მიგრაციული განწყობის შესწავლის მიზნით განხორციელებული კვლევიდან ირკვევა, რომ მეხუთე, ანუ ყველაზე მაღალი პრიორიტეტის მიხედვით, გამოკითხულთა მესამედზე მეტმა უპირატესობა მიანიჭა ემიგრანტების მიერ გამოგზავნილი თანხებით სწავლის გადასახადის გადახდას. ასევე, სტუდენტთა მესამედმა უმაღლესი – 5 ქულა მიანიჭა ფაქტორს – ვიკვებებით და ვიცმევთ უკეთესად, მეოთხედმა – ზრუნვას ჯანმრთელობაზე. ნიშანდობლივია, რომ საკუთარი ბიზნესის დაწყებას და ავტომობილის შეძენას მეხუთე პრიორიტეტი რესპონდენტთა შედარებით მცირე ნაწილმა მიუთითა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ემიგრანტების მიერ გამოგზავნილი სახსრები ძირითადად პირველადი მოთხოვნილებების საგნების შეძენასა და აუცილებელ სერვისებზე წვდომას ხმარდება, ხოლო უფრო კაპიტალურ ხარჯებზე გზავნილების მხოლოდ მცირე ნაწილი წარიმართება.

*მაშასადამე, ყველაზე მაღალი პრიორიტეტის მიხედვით ემიგრაციის მიზეზებს შორის პირველ ადგილზეა სწავლა, მას მოყვება სამუშაოს მოძებნა და არასახარბიელო მატერიალური პირობები.*

3. კვლევის შედეგად ირკვევა, რომ პირველი, ანუ ყველაზე დაბალი პრიორიტეტის მიხედვით, მეხუთე პრიორიტეტთან შედარებით, განსხვავებული სურათი მივიღეთ. ემიგრანტთა მიერ გამოგზავნილი თანხებით მიღებულ სარგებელზე რესპონდენტების ერთი ნაწილი გამოთქვამს უკმაყოფილებას, ვიდრე შედეგისადმი კმაყოფილებას, რაზეც მეტყველებს კმაყოფილების მაღალი და დაბალი დონეების შედარება. აქვე აღსანიშნავია, რომ კმაყოფილება და უკმაყოფილება სამ ტოპ ფაქტორთან დაკავშირებით, როგორცაა სწავლის გადასახადის გადახდა, უკეთესი კვება და ჩაცმა და საბინაო პირობების გაუმჯობესება, თითქმის ერთნაირია, ხოლო კაპიტალურ ხარჯებთან დაკავშირებით – რადიკალურად განსხვავებული.

*კვლევის შედეგად დადგინდა, რომ 2003 წლის შემდგომ პერიოდში საქართველოს რიგი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების მიუხედავად, სტუდენტებში ემიგრაციული განწყობა კვლავ მაღალი რჩება (მოსახლეობის მიგრაციაში 20-30 წლის ასაკის ახალგაზრდების წილი 25%-ს აღემატება). კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ დღეისათვის რესპონდენტთა დიდი ნაწილისათვის ემიგრაციის გამომწვევი უმთავრესი ფაქტორებია უმუშევრობა და სიღარიბე, დემოგრაფიული პრობლემები, ტერიტორიული მთლიანობა, ხოლო შედარებით უმნიშვნელო ფაქტორებია კრიმინოგენული სიტუაცია და ეკოლოგია.*

## თავი VI. საქართველოს წინაშე მდგომი გამოწვევები სტუდენტების თვალსაზრისით

კვლევითი პროექტის მოცემული ნაწილი მოიცავს სტუდენტების თვალსაზრისით საქართველოს უმთავრესი გამოწვევების ანალიზს. ამ შემთხვევაში კვლევის მიზანს შეადგენდა სტუდენტების მიერ დანახული გამოწვევების პრიორიტეტულობის გამოკვეთა. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე მოხდა შესაბამისი დასკვნების გამოტანა.

მთავარი ყურადღება გამახვილდა საქართველოსთვის ისეთ გამოწვევებზე, როგორცაა:

1. უმუშევრობა და სიღარიბე;
2. დემოგრაფიული ვითარება;
3. ტერიტორიული მთლიანობა;
4. კრიმინოგენული სიტუაცია;
5. ეკოლოგია;
6. სხვა დანარჩენი.


გამოწვევები სტუდენტთა მიერ კითხვარში ფასდებოდა ქულების მიხედვით:

- 1 – ყველაზე დაბალი
- 2 – დამაკმაყოფილებელი
- 3 – საშუალო
- 4 – მაღალი
- 5 – უმაღლესი.

თითოეული გამოწვევისთვის მიღებული იქნა ფარდობით სიხშირეთა განაწილების ცხრილები, რომელთა საშუალებითაც დადგინდა, თუ როგორ აფასებენ სტუდენტები თითოეულ გამოწვევას, რამდენად მნიშვნელოვანს წარმოადგენს ეს გამოწვევა მათთვის. ამავე დროს, თითოეული გამოწვევისთვის შეფასებათა სიხშირეები წარმოჩენილი იქნა დიაგრამების სახით.

აღნიშნული გამოწვევის კვლევაში 2452 რესპონდენტიდან პასუხი გასცა 2417-მა სტუდენტ-რესპონდენტმა. როგორც ქვემოთ წარმოდგენილ ნახაზზე 63 ჩანს, მნიშვნელოვანი წილით (56.2 %) გამოირჩევა მე-5 კატეგორია, ანუ სტუდენტები მთელი სიმწვავეით უმუშევრობისა და სიღარიბის გამოწვევას ასახელებენ. მაღალი და უმაღლესი შეფასება კუმულაციური პროცენტის მიხედვით 68,7 %-ს შეადგენს.


**ნახაზი 63.** უმუშევრობისა და სიღარიბის რეიტინგები



\* აქ და ქვემოთ ყველა ნახაზი აგებულია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

ნახაზი 63 მოიცავს ტერიტორიული მთლიანობის გამონვევის ფარდობით სიხშირეთა მონაცემებს. აღნიშნული გამონვევის კვლევაში მონაწილეობა მიღო 2247-მა სტუდენტ-რესპონდენტმა. ჩანს, რომ როგორც წინა გამონვევის დროს, აქაც დანარჩენ კატეგორიათა შორის ძალიან დიდი წილით (44,9 %) გამოირჩევა მე-5 კატეგორია (უმალესი შეფასება), ანუ სტუდენტები ტერიტორიული მთლიანობის გამონვევასაც ასევე მთელი სიმწვავით ასახელებენ. 1-3 კატეგორია ყველაზე დაბალი – საშუალო მხოლოდ 34,3 %-ს იკავებს, ხოლო მაღალი და უმალესი შეფასება კუმულაციური პროცენტის მიხედვით 66,7 %-ს შეადგენს.


**ნახაზი 64.** გამონკვევა: ტერიტორიული მთლიანობა



დემოგრაფიული გამონვევის კვლევაში 2452 სტუდენტი-რესპონდენტიდან პასუხი


გაცა 2137-მა. როგორც ჩანს, კატეგორიათა შორის მნიშვნელოვნად გამოირჩევა მე-4 (მაღალი შეფასება) – 25,2 %. დემოგრაფიულ პრობლემებს უმაღლეს კატეგორიად ასახელებს სტუდენტთა 19.2%. კუმულაციური პროცენტით მაღალი და უმაღლესი კატეგორია 51.9%-ს იკავებს. ამდენად, სტუდენტებისთვის დემოგრაფიული პრობლემებიც მნიშვნელოვან გამონვევას წარმოადგენს.

**ნახაზი 65. გამონვევა: დემოგრაფიული პრობლემები**




ნახაზი 66 მოიცავს კრიმინოგენული სიტუაციის გამონვევის ფარდობით სიხშირეთა ცხრილს. აღნიშნული გამონვევის კვლევაში პასუხი გაცა 2212-მა სტუდენტ-რესპონდენტმა. ჩანს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი წილით გამოირჩევა შეფასების უმაღლესი კატეგორია ( 29,2 %) და კატეგორია „მაღალი“ (25 %), ხოლო ორივეს ერთად 60% უკავია. სამწუხაროდ, რესპონდენტთა მხოლოდ 9.8 % ასახელებს კრიმინოგენულ სიტუაციას დაბალი კატეგორიით, შეფასებიდან დაბალს, დამაკმაყოფილებელსა და საშუალოს ერთად მხოლოდ 40% უკავია.

**ნახაზი 66. გამონვევა: კრიმინოგენული სიტუაცია**




ნახაზზე 67 ასახულია ეკოლოგიის რეიტინგების გრაფიკული წარმოდგენა:

ნახაზი 67. გამონვევა: ეკოლოგია




ნახაზი 68 მოიცავს სხვა გამონვევების ფარდობით სიხშირეთა ცხრილს. აღნიშნული გამონვევის კვლევაში პასუხი გასცა 1262-მა სტუდენტ-რესპონდენტმა. კატეგორიებიდან შედარებით მაღალი სიხშირით სახელდება უმაღლესი კატეგორია (13,1%), შემდეგ – კატეგორია „დაბალი“ (12,6%) და კატეგორია „საშუალო“ (12,2%). კატეგორიებს მაღალსა და უმაღლესს ერთად 41,4% უკავია.

ნახაზი 68. სხვა პრობლემების რეიტინგები




შეფასების ქულების მიხედვით საქართველოსთვის უმთავრესი გამონვევების რეიტინგებმა მთლიანობაში მიიღო შემდეგი სახე:

ნახაზი 69. საქართველოსთვის უმთავრესი გამონვევების რეიტინგები



ნახაზი 70. საქართველოს უმთავრესი გამონვევები სქესის მიხედვით




როგორც ჩანს, მეტი აქტივობით გამოირჩევიან მდედრობითი სქესის რესპონდენტები ყველა გამონვევის მიმართ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ორივე სქესის მიხედვით ყველაზე დიდი პრიორიტეტულობით გამოირჩევა უმუშევრობისა და სიღარიბის გამონვევა, შემდეგ – ტერიტორიული მთლიანობა.


მდედრობითი სქესისთვის ამ ორი გამონვევის შემდეგ გამონვევები სახელდება შემდეგი პრიორიტეტულობით: ეკოლოგია, კრიმინოგენული სიტუაცია, დემოგრაფია და ყველაზე ბოლოს, „სხვა გამონვევები“.

მამრობითი სქესისთვის კი უმუშევრობისა და სიღარიბის გამონვევის შემდეგ დანარჩენები თითქმის იდენტურია.

**ნახაზი 71. გამონვევა: უმუშევრობა და სიღარიბე სქესის მიხედვით**



**ნახაზი 72. საქართველოს უმთავრესი გამონვევები ასაკის მიხედვით**



ნახაზი 72-დან ჩანს, რომ ასაკის კატეგორიებიდან (19 წლამდე, 20-24, 25-29 და 30+) ყველაზე დიდი აქტივობით გამოირჩევიან 20-24 წლის რესპონდენტები ყველა გამონვევის მიმართ, კერძოდ, 2417 რესპონდენტიდან 20-24 წლის 1522 რესპონდენტი მთავარ გამონვევად აღიარებს უმუშევრო-



ბასა და სიღარიბეს, შემდეგ – ტერიტორიულ მთლიანობას, ეკოლოგიისა და კრიმინოგენული სიტუაციის გამონვევის მიმართ ვლინდება ერთნაირი დამოკიდებულება.

20-24 წლის ასაკოვანი ჯგუფის შემდეგ დანარჩენ კატეგორიათა შორის ასევე დომინირებს 19 წლამდე ასაკის რესპონდენტთა ჯგუფი. ეს ჯგუფიც ისეთივე პრიორიტეტულობით ასახელებს გამონვევებს, როგორც 20-24 წლის ასაკობრივი ჯგუფი.

ნაკლები აქტივობით გამოირჩევა 25-29 წლის ასაკობრივი ჯგუფი, რომლებიც ასევე უმუშევრობისა და სიღარიბის გამონვევას ასახელებენ ყველაზე პრიორიტეტულ გამონვევად.

ყველაზე მცირე აქტივობით გამოირჩევიან 30 წელს გადაცილებული რესპონდენტები. სტუდენტთა ეს ჯგუფი უფრო ერთგვაროვნებით გამოირჩევა გამონვევების მიმართ.


**ნახაზი 73.** ასაკის მიხედვით ყველაზე დიდი მაჩვენებლების მქონე გამონვევები, %





კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ დაბადების ადგილის ორივე კატეგორიის – როგორც ქალაქად (1802 რესპონდენტი), ასევე სოფლად დაბადებულ რესპონდენტთა (615 რესპონდენტი) მიხედვითაც უმთავრეს გამოწვევად სახელდება უმუშევრობა და სიღარიბე, შემდეგ – ტერიტორიული მთლიანობა (1697 რესპონდენტი ქალაქის, 550 რესპონდენტი სოფლის) და მესამე პოზიციაზეა ეკოლოგია (1672 რესპონდენტი ქალაქის, 540 რესპონდენტი სოფლის).

**ნახაზი 74.** გამოწვევები დაბადების ადგილის მიხედვით






ქალაქად დაბადებულ რესპონდენტთა მიხედვით ამ სამი მაჩვენებლის – უმუშევრობა-სიღარიბის, ტერიტორიული მთლიანობის და ეკოლოგიის შემდეგ მნიშვნელოვან მაჩვენებლად სახელდება ჯერ დემოგრაფიის (1612 რესპონდენტი), შემდეგ კი კრიმინოგენული სიტუაციის (1602 რესპონდენტი) და ყველაზე ბოლოს სხვა გამოწვევები (942 რესპონდენტი).

სოფლად დაბადებულ რესპონდენტთა მიხედვით კი ამ სამი მაჩვენებლოს შემდეგ ჯერ ეკოლოგიის გამოწვევა სახელდება, შემდეგ კი პირიქით, კრიმინოგენული სიტუაციის. შემდეგ დემოგრაფიის და ყველაზე ბოლოს სხვა გამოწვევები.

დაბადების ადგილის მიხედვით ცალკეული გამოწვევის პროცენტული მაჩვენებლების გრაფიკული წარმოსახვა ასახულია ნახაზზე 75:


**ნახაზი 75.** გამოწვევები დაბადების ადგილის მიხედვით





ნახაზიდან 76 ჩანს, რომ აღნიშნული კატეგორიებიდან ყველაზე დიდი აქტივობით გამოირჩევიან დაუქორწინებელი რესპონდენტები. ყველაზე მთავარ გამონვევად ისინიც (2230 რესპონდენტი) ასახელებენ უმუშევრობასა და სიღარიბეს და შემდეგ ტერიტორიულ მთლიანობას (2062 რესპონდენტი). კრიმინოგენული სიტუაციის და ეკოლოგიის გამონვევები თანაბარი მაჩვენებლით (2027 რესპონდენტი) ხასიათდება. შემდეგ სახელდება დემოგრაფიის (1957 რესპონდენტი) და ყველაზე ბოლოს – „სხვა გამონვევები“ (1162 რესპონდენტი სოფლის).

**ნახაზი 76.** გამონვევები ქორწინების სტატუსის მიხედვით




დაქორწინებულ რესპონდენტთა მხრიდან კი მთავარი ყურადღება გამახვილებულია ტერიტორიულ მთლიანობის მიმართ (176 რესპონდენტი), ხოლო დანარჩენი გამონვევების მიმართ ვლინდება ერთგვაროვნება.


განქორწინებულ რესპონდენტთა მხრიდან უმთავრესი ყურადღება მიმართულია დემოგრაფიის გამონვევის მიმართ (109 რესპონდენტი), შემდეგ უმუშევრობისა და სიღარიბის მიმართ (13 რესპონდენტი), დანარჩენი გამონვევების მიმართ აქაც თითქმის ერთგვაროვნება შეინიშნება.

დაბალშემოსავლიანი და მაღალშემოსავლიანი კატეგორიების მიხედვით, უმთავრეს გამოწვევად სახელდება უმუშევრობა და სიღარიბე, შემდეგ – ტერიტორიული მთლიანობა და მესამე ადგილზეა ეკოლოგია. ამ სამი კატეგორიის შემდეგ საშუალოშემოსავლიანი რესპონდენტების მიხედვით დასახელდა ჯერ კრიმინოგენული სიტუაცია, შემდეგ დემოგრაფია და ყველაზე ბოლოს – სხვა გამოწვევები.

**ნახაზი 77.** გამოწვევები შემოსავლების დონის მიხედვით



**ნახაზი 78.** უმუშევრობა და სიღარიბე შემოსავლების დონის მიხედვით




როგორც ნახაზებიდან 77 და 78 ჩანს, ყველაზე დიდი აქტივობით გამოირჩევიან საშუალოშემოსავლიანი რესპონდენტები და ყველაზე ნაკლები აქტივობით – მაღალშემოსავლიანები.

დაბალშემოსავლიანი რესპონდენტებიც უმუშევრობისა და სიღარიბის, ტერიტორიული მთლიანობისა და ეკოლოგიის შემდეგ მთავარ გამოწვევად თანაბარი რაოდენობით ასახელებენ დემოგრაფიას და კრიმინოგენულ სიტუაციას და ყველაზე ბოლოს – სხვა გამოწვევებს.


მაღალშემოსავლიანი რესპონდენტებიც უმუშევრობისა და სიღარიბის და ტერიტორიული მთლიანობის გამოწვევის შემდეგ მთავარ გამოწვევად თანაბარი რაოდენობით ასახელებენ დემოგრაფიას, კრიმინოლოგიურ სიტუაციას, ეკოლოგიას და ყველაზე ბოლოს – სხვა გამოწვევებს.

სტუდენტთა ეროვნების მიხედვით გამოწვევები ასეთი სახით განაწილდა:

**ნახაზი 79. გამოწვევები ეროვნების მიხედვით**



**ნახაზი 80. უმუშევრობა და სიღარიბე ეროვნების მიხედვით**




აღნიშნული კატეგორიებიდან ყველაზე დიდი აქტივობით გამოირჩევიან ქართველი და სომეხი ეროვნების რესპონდენტები. ნაკლები აქტივო-

ბით – აზერბაიჯანელები და ძალიან უმნიშვნელო წილით რუსი ეროვნების რესპონდენტები, ასევე იეზიდებიც.


ქართველი (2255 რესპონდენტი) და სომეხი ეროვნების 145 რესპონდენტის მიერ უმთავრეს გამოწვევად სახელდება უმუშევრობა და სიღარიბე. შემდეგ უმთავრეს გამოწვევად ქართველ 2107 რესპონდენტთა მიერ სახელდება ტერიტორიული მთლიანობა, შემდეგ კი ასეთი თანმიმდევრობით: ეკოლოგია (2062 რესპონდენტი), დემოგრაფია (2007 რესპონდენტი), კრიმინოგენული სიტუაცია და ყველაზე ბოლოს – სხვა გამოწვევები (1167 რესპონდენტი).

**ნახაზი 81.** გამოწვევები ქართველი სტუდენტ-რესპონდენტების მიხედვით




სომეხი ეროვნების რესპონდენტები უმუშევრობისა და სიღარიბის შემდეგ ასეთ გამოწვევებს ასახელებენ (თანმიმდევრობით): ეკოლოგია, ტერიტორიული მთლიანობა, კრიმინოგენული სიტუაცია, დემოგრაფია და ბოლოს – სხვა გამოწვევები.

**ნახაზი 82.** გამონვევები სომეხი ეროვნების სტუდენტ-რესპონდენტთა მიხედვით



აზერბაიჯანელი ეროვნების სტუდენტ-რესპონდენტთა პასუხები თითქმის თანაბარია ყველა გამონვევაზე: უფრო პრიორიტეტულად მათგან იკვეთება დემოგრაფიის, კრიმინოგენული სიტუაციის და ეკოლოგიის გამონვევები.


**ნახაზი 83.** გამონვევები აზერბაიჯანელ სტუდენტ-რესპონდენტთა აზრით



კვლევაში რუსი და იეზიდის ეროვნების რესპონდენტთა პასუხები მცირე რაოდენობის გამო ანალიზისათვის ღირებული არ არის.

რელიგიურობის მიხედვით გამოწვევები ასეთნაირად განაწილდა:

**ნახაზი 84.** გამოწვევები რელიგიურობის მიხედვით




როგორც ნახაზიდან ჩანს, აღნიშნული კატეგორიებიდან მნიშვნელოვანი აქტივობით გამოირჩევიან რელიგიური მრწამსის მქონე რესპონდენტები. მათგან ყველაზე მეტი წილი უმთავრეს გამოწვევად მიიჩნევს უმუშევრობას, სიღარიბეს და ტერიტორიულ მთლიანობას. მომდევნო ადგილზეა ეკოლოგია, დემოგრაფია და კრიმინოგენული სიტუაცია. ყველაზე ბოლოს კი, „სხვა გამოწვევები“.

არარელიგიური რესპონდენტების მიხედვით თითქმის ერთგვაროვნება შეიმჩნევა გამოწვევების მიმართ. უმნიშვნელო განსხვავებით დომინირებს უმუშევრობისა და სიღარიბის გამოწვევა (515 რესპონდენტი), 495 რესპონდენტი მთავარ გამოწვევად მიიჩნევს ეკოლოგიას, შემდეგი ნაწილი ტერიტორიულ მთლიანობას (485 რესპონდენტი), თითქმის თანაბარი მაჩვენებლით ხასიათდება კრიმინოგენული სიტუაცია და დემოგრაფია (შესაბამისად, 475 და 470 რესპონდენტი). ყველაზე ბოლოს აღმოჩნდა სხვა გამოწვევები (295 რესპონდენტი).

უმუშევრობისა და სიღარიბის გამოწვევას რელიგიურობის მიხედვით აქვს შემდეგი სახე:


**ნახაზი 85. გამონვევა: უმუშევრობა და სიღარიბე რელიგიურობის მიხედვით**



როგორც ნახაზი 85-იდან ჩანს, უმუშევრობასა და სიღარიბეს უმნიშვნელოვანესად მიიჩნევენ რელიგიური მრწამსის რესპონდენტები.


რამდენადაც უმუშევრობისა და სიღარიბის გამონვევა ყველაზე მაღალპრიორიტეტულად გამოიკვეთა, მოვახდინეთ მისი გრაფიკული წარმოდგენა უმაღლესი სასწავლებლის და სწავლების საფეხურის მიხედვითაც.

**ნახაზი 86. გამონვევა: უმუშევრობა და სიღარიბე უმაღლესი სასწავლებლის მიხედვით**





**ნახაზი 87.** გამონვევა უმუშევრობა და სიღარიბე სწავლის საფეხურის მიხედვით




**ცხრილი 58.** გამონვევა: უმუშევრობა და სიღარიბე გენდერული თანასწორობის ფაქტორის გათვალისწინებით

გამონვევა: უმუშევრობა და სიღარიბე სრულიად ვემსრობი	გენდერული თანასწორობა			სულ
	ნაწილობრივ ვემსრობი	არ ვემსრობი		
1	245	170	15	430
2	90	70	0	160
3	120	70	0	190
4	160	95	5	260
5	902	450	25	1377
<b>სულ</b>	<b>1517</b>	<b>855</b>	<b>45</b>	<b>2417</b>

აღნიშნული ცხრილის საფუძველზე, ყველაზე მეტი სიხშირით გამოირჩევიან ის რესპონდენტები (902 რესპონდენტი), რომლებიც სრულიად ემსრობიან გენდერულ თანასწორობას. ისინი მოცემულ გამონვევას თვლიან უმწვავესად, რამდენადაც ამ გამონვევას აფასებენ უმაღლესის ქულით (5). მეორე კატეგორიის – ნაწილობრივ მომხრე რესპონდენტთა უმრავლესობაც ასევე უმაღლესის ქულით აფასებენ უმუშევრობის ადა სიღარიბის გამონვევას, ძალიან უმნიშვნელო ნაწილია, რომელიც არ ემსრობა გენდერულ თანასწორობას, თუმცა მათგანაც უმრავლესობა აღნიშნულ გამონვევას აფასებენ უმაღლესის ქულით.

**ნახაზი 88.** უმუშევრობისა და სიღარიბის გამონვევა გენდერული თანასწორობის ფაქტორის გათვალისწინებით




შემდეგი ცხრილი ასახავს უმუშევრობისა და სიღარიბის სიხშირეთა განაწილებას ლგბტქი თემისადმი დამოკიდებულების მიხედვით. იგი მოიცავს შემდეგ 3 კატეგორიას:

- ტოლერანტული
- არატოლერანტული
- ნეიტრალური

**ცხრილი 59.** უმუშევრობისა და სიღარიბის გამონვევა ლგბტქი თემისადმი დამოკიდებულების გათვალისწინებით

გამონვევა: უმუშევრობა და სიღარიბე ტოლერანტული	ლგბტქი			სულ
	არატოლერანტული		ნეიტრალური	
	1	2		
1	75	105	245	425
2	20	40	100	160
3	45	10	135	190
4	65	45	150	260
5	415	205	757	1377
<b>სულ</b>	<b>620</b>	<b>405</b>	<b>1387</b>	<b>2412</b>

**ნახაზი 89.** უმუშევრობისა და სიღარიბის გამონვევა ლგბტკი თემისადმი დამოკიდებულების გათვალისწინებით



ცხრილი 59-ისა და მისი შესაბამისი ნახაზი 89-ის მიხედვით ჩანს, რომ უმუშევრობისა და სიღარიბის გამონვევის შეფასებებს შორის ყველაზე მეტი სიხშირით სამივე კატეგორიის (ტოლერანტული, არატოლერანტული და ნეიტრალური) მიხედვით სახელდება უმაღლესი ქულა – 5, ანუ ამ გამონვევას მიიჩნევენ მწვავე პრობლემად. ამ შეფასებაში ჩართულია ნეიტრალური დამოკიდებულების მქონე 757 რესპონდენტი, ტოლერანტული დამოკიდებულების მქონე 415 რესპონდენტი და 205 არატოლერანტული რესპონდენტი. აღნიშნულ გამონვევას ნაკლებ პრობლემურად (დაბალი შეფასებით) მიიჩნევენ ნეიტრალური დამოკიდებულების მქონე 245 რესპონდენტი, არატოლერანტული დამოკიდებულების 105 რესპონდენტი და ტოლერანტული დამოკიდებულების 75 რესპონდენტი.

ქვემოთ მოტანილი ცხრილი 61 ასახავს უმუშევრობისა და სიღარიბის სიხშირეთა განაწილებას მარიხუანის დეკრიმინალიზაციის გათვალისწინებით.

მარიხუანის დეკრიმინალიზაციისადმი დამოკიდებულება კითხვარში მოიცავდა შემდეგ კატეგორიებს:


- შეამცირებს
- ზეგავლენას არ მოახდენს
- მიჭირს პასუხის გაცემა

**ცხრილი 61. გამონვევა უმუშევრობა და სიღარიბე მარიხუანის დეკრიმინალიზაციის გათვალისწინებით**

გამონვევა: უმუშევრობა და სიღარიბე შეამცირებს	მარიხუანას დეკრიმინალიზაცია			სულ
	ზეგავლენას არ მოახდენს	მიჭირს პასუხის გაცემა		
1	275	35	120	430
2	85	20	55	160
3	85	30	75	190
4	115	45	100	260
5	682	185	505	1372
<b>სულ</b>	<b>1242</b>	<b>315</b>	<b>855</b>	<b>2412</b>


ცხრილი 61-ის მონაცემებიდან გამომდინარე, მარიხუანის დეკრიმინალიზაციის კატეგორიებიდან 1242 რესპონდენტი თვლის, რომ მარიხუანის დეკრიმინალიზაციის გათვალისწინებით, უმუშევრობისა და სიღარიბის გამონვევა შემცირდება. 855 რესპონდენტს უჭირს პასუხის გაცემა, ხოლო 315 რესპონდენტი თვლის, რომ მარიხუანის დეკრიმინალიზაცია ზეგავლენას არ მოახდენს უმუშევრობისა და სიღარიბის გამონვევაზე.

**ნახაზი 90. უმუშევრობა და სიღარიბე მარიხუანის დეკრიმინალიზაციის გათვალისწინებით**



მოცემული ცხრილის მიხედვით უმუშევრობისა და სიღარიბის გამონვევის შეფასებისას ყველაზე მეტი სიხშირით (682 რესპონდენტი) ხასიათდება უმაღლესი შეფასების ქულა იმ რესპონდენტთაგან რომელიც ფიქრობს, რომ მარიხუანას დეკრიმინალიზაცია შეამცირებს აღნიშნულ პრობლემას. მარიხუანას დეკრიმინალიზაციის პირველი კატეგორიიდან მხოლოდ 275 რესპონდენტი თვლის, რომ უმუშევრობა და სიღარიბე ნაკლებად პრობლემურია (დაბალი შეფასება).

**ნახაზი 91.** უმუშევრობისა და სიღარიბის გამონვევის შეფასება მარხუანის დეკრიმინალიზაციის გათვალისწინებით



ცხრილში 62 მოცემულია უმუშევრობისა და სიღარიბის კროსტაბულაცია

დემოგრაფიასთან. ამ შემთხვევაში, ყველაზე მეტი სიხშირით გამოიჩინა შეფასების მე-4 კატეგორია – „მაღალი“ (462 რესპონდენტი) და მე-5 კატეგორია – „უმაღლესი“ (385 რესპონდენტი). ანუ 845 რესპონდენტი ასახელებს მაღალ და უმაღლეს შეფასებას, ანუ დემოგრაფიული ზემოქმედება მნიშვნელოვნად მოქმედებს უმუშევრობისა და სიღარიბის გამონვევაზე.

**ცხრილი 62.** უმუშევრობა და სიღარიბის კროსტაბულაცია დემოგრაფიასთან

გამონვევა უმუშევრობა და სიღარიბე	გამონვევა დემოგრაფია					სულ
	1	2	3	4	5	
1	130	105	35	20	5	295
2	35	55	20	5	5	120
3	5	55	40	30	45	175
4	10	40	85	75	45	255
5	25	95	315	462	385	1282
<b>სულ</b>	<b>205</b>	<b>350</b>	<b>495</b>	<b>592</b>	<b>485</b>	<b>2127</b>

ცხრილში 63 მოცემულია უმუშევრობისა და სიღარიბის კროსტაბულაცია ტერიტორიულ მთლიანობასთან. ამ შემთხვევაში ყველაზე მეტი სიხშირით გამოიჩინა იმ რესპონდენტთა რიცხვი, რომლებიც ტერიტორიული მთლიანობის გამონვევას უმაღლესი ქულით აფასებენ. ასეთი კი 867 რესპონდენტი.

**ცხრილი 63. უმუშევრობა და სიღარიბის კროსტაბულაცია ტერიტორიულ მთლიანობასთან**

გამონვევა: უმუშევრობა და სიღარიბე	გამონვევა: ტერიტორიული მთლიანობა					სულ
	1	2	3	4	5	
1	175	100	55	15	0	345
2	35	55	35	0	5	130
3	0	30	50	20	85	185
4	20	10	25	65	135	255
5	20	30	125	275	867	1317
<b>სულ</b>	<b>250</b>	<b>225</b>	<b>290</b>	<b>375</b>	<b>1092</b>	<b>2232</b>

ცხრილში 64 მოცემულია უმუშევრობისა და სიღარიბის კროსტაბულაცია კრიმინოგენულ სიტუაციასთან. ამ შემთხვევაში, ყველაზე მეტი სიხშირით გამოირჩევა იმ რესპონდენტთა რიცხვი, რომლებიც კრიმინოგენული სიტუაციის გამონვევას მე-4 და მე-5 კატეგორიით (მაღალი – 492 რესპონდენტი, უმაღლესი – 380 რესპონდენტი) აფასებენ.

**ცხრილი 64. უმუშევრობა და სიღარიბის კროსტაბულაცია კრიმინოგენულ სიტუაციასთან**

გამონვევა: უმუშევრობა და სიღარიბე	გამონვევა: კრიმინოგენული სიტუაცია					სულ
	1	2	3	4	5	
1	120	90	20	40	15	285
2	35	45	35	0	5	120
3	30	45	40	35	20	170
4	25	40	80	50	45	240
5	50	140	240	492	380	1302
<b>სულ</b>	<b>260</b>	<b>360</b>	<b>415</b>	<b>617</b>	<b>465</b>	<b>2117</b>

ცხრილში 65 მოცემულია უმუშევრობისა და სიღარიბის კროსტაბულაცია ეკოლოგიის გამონვევასთან. წარმოდგენილი მონაცემების მიხედვითაც, ეკოლოგიის დამოკიდებულებისა უმუშევრობისა და სიღარიბის გამონვევასთან ყველაზე მეტი სიხშირით გამოირჩევა იმ რესპონდენტთა რიცხვი, რომლებიც ეკოლოგიის გამონვევას ასევე მე-4 და მე-5 კატეგორიით (მაღალი, უმაღლესი) აფასებენ.

**ცხრილი 65. უმუშევრობისა და სიღარიბის კროსტაბულაცია ეკოლოგიასთან**

გამონვევა: უმუშევრობა და სიღარიბე	გამონვევა: ეკოლოგია					სულ
	1	2	3	4	5	
1	145	65	50	15	35	310
2	10	95	10	5	5	125
3	20	25	60	50	30	185
4	15	25	40	110	70	260
5	45	55	215	427	570	1312
<b>სულ</b>	<b>235</b>	<b>265</b>	<b>375</b>	<b>607</b>	<b>710</b>	<b>2192</b>

ცხრილში 66 მოცემულია უმუშევრობისა და სიღარიბის კროსტაბულაცია სხვა გამონვევებთან. მოცემული მონაცემების მიხედვით, ყველაზე მეტი სიხშირით გამოირჩევა სხვა გამონვევის მე-5 კატეგორიის (უმალლესი შეფასება) დამოკიდებულება უმუშევრობისა და სიღარიბის გამონვევასთან – 255 რესპონდენტი. შემდეგი რიგითობით ასევე ხასიათდება კატეგორია საშუალო – 210 რესპონდენტი.

**ცხრილი 66. უმუშევრობა და სიღარიბის კროსტაბულაცია სხვა გამონვევასთან**

გამონვევა: უმუშევრობა და სიღარიბე	სხვა გამონვევა					სულ
	1	2	3	4	5	
1	85	30	5	0	25	145
2	20	35	0	5	0	60
3	35	15	30	20	20	120
4	30	0	55	30	20	135
5	135	62	210	135	255	797
<b>სულ</b>	<b>305</b>	<b>142</b>	<b>300</b>	<b>190</b>	<b>320</b>	<b>1257</b>

ამრიგად, საქართველოსთვის უმთავრეს გამონვევებთან მიმართებაში მნიშვნელოვანია სტუდენტი ახალგაზრდობის მოსაზრებები და რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასებები. კვლევის შედეგების ანალიზმა ცხადყო, რომ რესპონდენტთა დიდმა ნაწილმა – 57%-მა უმთავრეს პრობლემად მიიჩნია უმუშევრობა და სიღარიბე, ტერიტორიული მთლიანობა – 49%-მა და ეკოლოგია – 32%-მა. ასევე, დემოგრაფიული პრობლემები დაასახელა რესპონდენტთა 23%-მა, კრიმინოგენული სიტუაცია – 22%-მა, ხოლო სხვა პრობლემები – 25%-მა.

## დასკვნები და რეკომენდაციები

სტუდენტობის პერიოდში ხდება ძირითადად პიროვნების იდენტიფიკაცია, ცხოვრების მიზნების დასახვა, ცხოვრებისეული ფასეულობების იერარქიის ფორმირება, იწყება დამოუკიდებელი პიროვნების ჩამოყალიბების პროცესი. შესაბამისად, პიროვნების სოციალიზაციის პროცესში სტუდენტური წლები მეტად მნიშვნელოვანია, რა დროსაც ყალიბდება ასევე სტუდენტთა დემოგრაფიული განწყობა და დემოგრაფიული ორიენტაციები.

**სტუდენტ რესპონდენტთა სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების სტატისტიკურმა შესწავლამ შემდეგი ტენდენციები გამოავლინა:**

ყველაზე მრავალრიცხოვანი აღმოჩნდა 20 – 24 წლიანთა ასაკობრივი ჯგუფი.

კვლევაში მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით ყველაზე დიდი ერთობლიობა შეადგინეს ივანე ჯავახიშვილის სახ. თსუ-ს სტუდენტებმა.

დაუქორწინებელი სტუდენტები რესპონდენტთა უმრავლესობას შეადგენენ. დაქორწინებულ სტუდენტთა შორის ქალების წილი 94%-ია.

ასაკის მიხედვით დაჯგუფებული რესპონდენტების ქორწინებითი სტატუსის შესწავლამ აჩვენა, რომ განქორწინებული რესპონდენტები ფიქსირდება 19 წლამდე ასაკში და 25 – 29 წლიანთა ინტერვალში.

დაბადების ადგილის მიხედვით დაჯგუფებულ რესპონდენტთა შორის დაუქორწინებელთა და დაქორწინებულთა უმეტესობა ქალაქად არის დაბადებული, ხოლო განქორწინებულები თანაბრად არიან განაწილებული როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობამ მიუთითა ეროვნება ქართველი (93.2%), დანარჩენი ეროვნებებიდან წარმოდგენილი იყო (კლებადი თანმიმდევრობით): სომეხი, აზერბაიჯანელი, რუსი და იეზიდის ეროვნების სტუდენტობა. როგორც ქართველ, ისე სომეხ და აზერბაიჯანელ რესპონდენტთა შორის ქალები 2-ჯერ და მეტად სჭარბობენ მამაკაცებს; ამ მხრივ საინტერესო ფაქტი დადგინდა: გამოკითხულ სტუდენტთა შორის ყველა რუსი მამრობითი სქესისაა, ხოლო იეზიდის – მდედრობითი სქესის წარმომადგენელია.

გამოკითხულ სტუდენტთა 2/3 მიიჩნევს, რომ მისი ოჯახი საშუალო-შემოსავლიანია, 22.6 პროცენტი დაბალშემოსავლიანად მიიჩნევს თავს, ხოლო 2.3 პროცენტი აფიქსირებს მაღალ შემოსავლებს.

უმალლესი სასწავლებლის საფეხურის მიხედვით, დოქტორანტურისა და ბაკალავრიატის საფეხურებზე ძალიან მაღალია საშუალოშემოსავლი-



ანთა წილი, ხოლო მაგისტრატურაში შედარებით მაღალია დაბალშემოსავლიანთა წილი.

დაბალშემოსავლიანთა შორის 94.5% დაუქორწინებელია, საშუალოშემოსავლიანთა შორის 92.6%, ხოლო მაღალშემოსავლიანებში 54.5%. დაქორწინებულთა ყველაზე მაღალი სიხშირე მაღალშემოსავლიანებშია – 36.4%. ასევეა განქორწინების შემთხვევაში – ეს კატეგორია სჭარბობს კვლავ მაღალშემოსავლიან ჯგუფში (9.1%).

გამოკითხული სტუდენტების დიდი უმრავლესობა რელიგიურად მიიჩნევს თავს, ხოლო ყოველი მეხუთე თავს თვლის არარელიგიურ პიროვნებად.

დაბადების ადგილის მიხედვით, სოფლად დაბადებულები უფრო მაღალი რელიგიურობით გამოირჩევიან.

რელიგიურობა იკლებს სწავლების საფეხურის მატებასთან ერთად და დოქტორანტურის საფეხურზე არარელიგიურ რესპონდენტთა წილი 41.7%-მდე იზრდება.

სტუდენტთა გადამწყვეტი უმრავლესობა ემხრობა გენდერული თანასწორობის იდეას. ქალების 2/3 და მამაკაცების 1/3-ზე ნაკლები სრულიად ემხრობა გენდერული თანასწორობის იდეას.

ასაკების მიხედვით კატეგორიებში განაწილებამ დაგვანახა, რომ გენდერული თანასწორობის იდეას ცალსახად მხარს უჭერს მხოლოდ 30 წლის და ზევით ასაკობრივი ჯგუფი, დანარჩენ ასაკობრივ ჯგუფებში ეს მაჩვენებელი 60 პროცენტის ფარგლებშია, ხოლო ნაწილობრივი მხარდაჭერა 34-36 პროცენტს არ სცდება.

გენდერული თანასწორობის იდეას უფრო მეტი მხარდაჭერა აქვს დაბალშემოსავლიან და საშუალოშემოსავლიან რესპონდენტებში. ამ შემთხვევაში, ნაწილობრივ მომხრეები თითქმის მათ ნახევარს შეადგენენ, რასაც ვერ ვიტყვიტ მაღალშემოსავლიან კატეგორიაზე, რადგან მიუხედავად იმისა, რომ მათი ნახევარზე მეტი გენდერული თანასწორობის მომხრეა, საკმაო მხარდაჭერას უცხადებენ ნაწილობრივ კატეგორიას (36.4%) და შემოსავლის დანარჩენ კატეგორიებთან შედარებით, გარკვეულ ჯგუფს ქმნიან მონინალმდეგეთა სახით (9.1%).

გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით რესპონდენტთა შეხედულებები სამივე კატეგორიაში ნაწილდება ქართველებსა და სომხებში, რაც არ შეიძლება რუს და იეზიდ რესპონდენტთა შორის და, ნაწილობრივ, აზერბაიჯანელებში. ამასთან, ნიშანდობლივია, რომ აზერბაიჯანელთა შორის მაღალია ნაწილობრივი მხარდაჭერის წილი, რუსები მხოლოდ ამ კატეგორიას უჭერენ მხარს, ხოლო იეზიდები აბსოლუტურად სრულ მხარდაჭერას აფიქსირებენ.

რელიგიურ რესპონდენტთა შორის 59.3 პროცენტი ემხრობა სრულიად გენდერულ თანასწორობას, ხოლო არარელიგიურებს შორის – 75 პროცენტი. რელიგიურ სტუდენტებს შორის არარელიგიურებთან შედარებით მაღალია ნაწილობრივ მომხრეების წილი.

ლგბტკი თემის მიმართ გამოკითხულთა მხოლოდ მეოთხედია ტოლერანტული, 17 პროცენტამდე არატოლერანტული, ხოლო ნეიტრალურ შეხედულებას იზიარებს ნახევარზე მეტი, დაახლოებით 58 პროცენტი.

ყველაზე არატოლერანტულები ლგბტკი თემის მიმართ აღმოჩნდნენ რუსები. ქართველთა და სომეხთა შორის მათი წილი შესაბამისად 16 და 25.9 პროცენტია, ხოლო აზერბაიჯანელი და იეზიდი რესპონდენტები აბსოლუტურ ნეიტრალიტეტს აფიქსირებენ. ქართველებში ტოლერანტობის წილი უფრო მაღალია სომეხებთან შედარებით, ხოლო ნეიტრალურობის მიხედვით მათი წილები თითქმის ერთნაირია.

ლგბტკი თემის მიმართ ტოლერანტულებს შორის 83.3 პროცენტი სრულიად ემხრობა გენდერულ თანასწორობას, არატოლერანტულებს შორის 35.8, ხოლო ნეიტრალურებს შორის 61.1 პროცენტი.

გამოკითხულთა ნახევარზე მეტი დარწმუნებულია, რომ მარიხუანის დეკრიმინალიზაცია შეამცირებს შვილიანობას. საკმაოდ დიდ ნაწილს – 36 პროცენტამდე, მყარი პოზიცია არ გააჩნია ამ საკითხისადმი და მხოლოდ 13 პროცენტს მიაჩნია, რომ სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკა მარიხუანის მოხმარებასთან დაკავშირებით პირდაპირ არ გამოიწვევს შვილიანობის შემცირებას.

ლგბტკი თემის მიმართ ტოლერანტულ რესპონდენტთა შორის 65.6 პროცენტი თვლის, რომ მარიხუანის დეკრიმინალიზაცია გავლენას არ მოახდენს შვილიანობაზე, არატოლერანტული სტუდენტების 72.8 პროცენტის აზრით კი – შეამცირებს.

კითხვაზე – რა მიგაჩნიათ ამ ეტაპზე საქართველოსთვის უმთავრეს გამოწვევად – რესპონდენტთა დიდმა ნაწილმა უმთავრეს პრობლემად მიიჩნია (კლებადი თანმიმდევრობით): უმუშევრობა და სიღარიბე, ტერიტორიული მთლიანობა, ეკოლოგია, დემოგრაფია, სხვა და, ბოლოს, კრიმინოგენური სიტუაცია.

დემოგრაფიული განათლების კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულ სტუდენტთა დაახლოებით მეოთხედი (23%) სათანადოდ ვერ აფასებს საქართველოში არსებულ დემოგრაფიულ მდგომარეობას. მათი ნაწილის აზრით, ვითარება სტაბილურია და არ საჭიროებს რეგულირებას, დანარჩენებს კი უჭირთ დემოგრაფიული სიტუაციის შეფასება, რადგან არ დაინტერესებულან ამ საკითხით. მეორე საყურადღებო შედეგი, რაც ამ მიმართულებით კვლევამ გამოავლინა, არის ის, რომ გამოკითხულ სტუდენტებს სურთ იყოლიონ საშუალოდ უფრო ნაკლები ბავშვი, ვიდრე მათ მშობლებს და ბებია-ბაბუებს ჰყავთ. ეს კი, ისედაც შემცირებული მოსახლეობის რიცხოვნობის კიდევ უფრო მეტად შემცირებას გამოიწვევს და მოსახლეობის აღწარმოების მარტივი რეჟიმიდან შეკვეცილი (შევიწროებული) აღწარმოების რეჟიმს დავუბრუნდებით. აქედან გამომდინარე, აუცილებელია საზოგადოება და, განსაკუთრებით, სტუდენტები, მომავალი მშობლები, უფრო სიღრმისეულად გაეცნონ ქვეყნის დემოგრაფიულ სტრუქტურას, გააანალიზონ მომავალში მოსალოდნელი შედეგები. სახე-

ლმნიფომ კი, თავის მხრივ, უნდა წაახალისოს სამ და ოთხშვილიანი ოჯახების რაოდენობის ზრდა ბავშვთა ყოლის გაზრდილი მოთხოვნილების მოტივაციის ფორმირებითა და შესაბამისი მატერიალური დახმარებით.

კვლევის შედეგად ნათლად გამოვლინდა საქართველოში სტუდენტის ახალგაზრდობის დემოგრაფიულ საკითხებზე განათლების დაბალი დონე, რაც ძირითადად განპირობებულია უმაღლეს სასწავლებლებში შესაბამისი საგნების სწავლების დეფიციტით.

სტუდენტთა რეპროდუქციული და ქორწინებითი განწყობის შესწავლამ აჩვენა, რომ 2018 წელს სტუდენტური ასაკის ქალების მიერ დაბადებული ბავშვების ხვედრინილი ამ წელს დაბადებულთა 80,0% შეადგენს. შობადობის დონე საქართველოში დღეისათვის (13,7 პრომილე) უზრუნველყოფს მხოლოდ მოსახლეობის მარტივ აღწარმოებას. მასვე შეესაბამება შობადობის ჯამური კოეფიციენტი 2,1.

ბავშვთა საშუალო სასურველმა რიცხვმა შეადგინა 2,97 – ხოლო მოსალოდნელმა – 2,83. ორივე აკმაყოფილებს მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების მოთხოვნებს.

სტუდენტების რეპროდუქციულ განწყობაზე მოქმედი ფაქტორებიდან ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა: სქესი, ასაკი, დაბადების ადგილი, ქორწინების სტატუსი, ეროვნება, შემოსავალი და რელიგიურება.

სქესის მიხედვით რეპროდუქციული განწყობა საკმაოდ უახლოვდება ერთმანეთს. კერძოდ, ბავშვების საშუალო სასურველი რიცხვი ქალებისა და კაცებისთვის იდენტურია და შეადგენს 2,97. ბავშვების საშუალო მოსალოდნელი რიცხვი ქალებში ოდნავ მაღალია და ტოლია 2,83-ის, ხოლო კაცებში – 2,81-ის.

დემოგრაფიული მოვლენები იცვლება ასაკის ზრდასთან ერთად. ასაკი წარმოადგენს დემოგრაფიული მოვლენების მთავარ კოორდინატორს. ჩვენი კვლევით აღმოჩნდა, რომ ბავშვების სასურველი რიცხვი აღემატება მოსალოდნელს ყველა ასაკში. ასევე, ყველა ასაკში სტუდენტთა ორიენტაციები მიმართულია მეორე და მესამე შვილის ყოლისკენ. მეორე და მესამე ბავშვების ხვედრი წილი ბავშვების სასურველ რიცხვში შეადგენს 69,2%, ხოლო მოსალოდნელში – 74,0%, მაშინ როდესაც ბავშვების სასურველ რიცხვში პირველი ბავშვების ხვედრი წილი ტოლია 4,4%-ის, ხოლო მოსალოდნელში – 5,4%-ის. დემოგრაფიული რეალობა აღნიშნული სიტუაციის საპირისპიროა. კერძოდ, საქსტატის მონაცემებით, 2018 წელს დაბადებულებში მეორე და მესამე ბავშვების ხვედრი წილი შეადგენდა 56,5%, ხოლო პირველების -37,9%.

რამდენადაც ჯერ კიდევ არსებობს განსხვავებები ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ და ყოფიერებით სფეროში, ამდენად ის არ შეიძლება არ აისახოს როგორც შობადობის დონეზე, ასევე რეპროდუქციულ განწყობაზე, კერძოდ: 20-44 წლის ყოველ 1000 ქალზე ქალაქში მოდის 0-4 წლის 369 ბავშვი, ხოლო სოფელში – 423. ამასთან, ქალაქთან შედარებით მაღალია სოფლად ბავშვთა როგორც საშუალო სასურველი რიცხვი (3,03/2,87), ისე მოსალოდნელი – (2,95/2,81). საპირის-

პირო კანონზომიერებებია პირველ ბავშვთა ხვედრინილის შემთხვევაში: ქალაქში დაბადებულებისთვის სასურველ ბავშვებში პირველი შვილი შეადგენს 5,7%, ხოლო სოფლად დაბადებულებისთვის – 0,8%. ბავშვების მოსალოდნელ რიცხვში პროპორციაა როგორც 6,5-2,5 პროცენტთან. დემოგრაფიაში არსებული კანონზომიერების თანახმად, პირველი ბავშვების ხვედრი ნილი მაღალია დაბალი შობადობის შემთხვევაში.

სტუდენტთა რეპროდუქციული განწყობა განსხვავდება ქორწინების სტატუსის მიხედვითაც. ბავშვების საშუალო სასურველი რიცხვი დაქორწინებულებში ტოლია 2,89-ის, მოსალოდნელი – 2,68-ის. დაუქორწინებულებში შესაბამისად – 2,98 და 2,84. ბავშვების როგორც სასურველი, ასევე მოსალოდნელი რიცხვი დაუქორწინებულებში მაღალია დაქორწინებულებთან შედარებით.

რეპროდუქციულ განწყობაზე მატერიალური მდგომარეობის გავლენა დავახასიათებთ ოჯახის შემოსავლით. საყოველთაოდ დადგენილია, რომ ცხოვრების დონის ზრდის პარალელურად მცირდება შობადობის დონე, რაც უცვლელია ყველა დროში და ყველა ქვეყანაში. ჩვენი კვლევის შედეგებმა კი ამ კანონზომიერებიდან გადახრა აჩვენა: შემოსავლების ზრდის კვალობაზე პარალელურად არ მცირდება ბავშვების არც სასურველი, არც მოსალოდნელი რიცხვი. ამ ასპექტით ერთადერთი კანონზომიერება ისაა, რომ შვილიანობის მაჩვენებლები ყველაზე დაბალია მაღალშემოსავლიან რესპონდენტებში, დაბალშემოსავლიან და საშუალოშემოსავლიან რესპონდენტებთან შედარებით. შვილიანობის მაჩვენებლები საშუალოშემოსავლიან რესპონდენტებში უტოლდება დაბალშემოსავლიანების ანალოგიურ მაჩვენებლებს ბავშვების სასურველი რიცხვის შემთხვევაში.

რეპროდუქციულ განწყობასა და შობადობაზე მოქმედი ერთ-ერთი გამოკვეთილი ფაქტორია რელიგიური ფაქტორი, რაც დაადასტურა ჩვენი კვლევის შედეგებმაც. კვლევამ დაადგინა მნიშვნელოვანი განსხვავებები რეპროდუქციულ განწყობაში რელიგიურ და არარელიგიურ რესპონდენტებს შორის. ბავშვების საშუალო სასურველი რიცხვი რელიგიურ სტუდენტებს შორის შეადგენს 3,01, არარელიგიურებში – 2,77. ბავშვების საშუალო მოსალოდნელი რიცხვი შეადგენს შესაბამისად 2,87 და 2,61, ე. ი. განსხვავებები რეპროდუქციულ განწყობაში რელიგიური ნიშნით თვალშისაცემია.

რელიგიური ფაქტორი შობადობის დონეზე მოქმედებს მთლიანად საქართველოს მასშტაბით. კონკრეტულად მხედველობაში გვაქვს მუსულმანური რელიგია, რომლის მიმდევრებიც მსოფლიოში ყოველთვის გამოირჩეოდნენ და გამოირჩევიან შობადობის მაღალი დონით. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ შობადობის ყველაზე მაღალი დონით საქართველოში ხასიათდება აჭარა და ქვემო ქართლი, სადაც მუსულმანური მოსახლეობა მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, მათ შორის აჭარაში – 38,9%, ხოლო ქვემო ქართლში – 43,0%-ია.

რეპროდუქციული განწყობის და შობადობის ეთნიკურ-რელიგიურ ასპექტში განხილვის შემდეგ, გარკვეული სიფრთხილით შეიძლება დავასკვნათ, რომ **საქართველოში შობადობის დონეზე ეთნიკურთან შედა-**

## **რებით, გაცილებით ძლიერ გავლენას ახდენს რელიგიური ფაქტორი.**

ბავშვთა რიცხვი ოჯახებში თაობიდან თაობამდე მცირდება. კერძოდ, რესპონდენტების პაპა-ბებიების საშუალოდ ყოველ 100 ოჯახს ყავდა 383 ბავშვი, მშობლებს – 330 (53-ით ნაკლები), ხოლო თვით რესპონდენტების მოსალოდნელი (დაგეგმილი) ბავშვთა რიცხვი არის 300. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ფაქტობრივად დაბადებული ბავშვების რიცხვი დაგეგმილზე გაცილებით ნაკლებია.

სტუდენტები ორიენტირებული არიან სამ-შვილიან ოჯახზე. შვილიანობის დაგეგმვისას გათვალისწინებული ფაქტორებიდან ყველაზე მაღალი შეფასება – 5 ქულა, დაახლოებით 40,0%-მა მისცა 3 ბავშვს, 2 ბავშვს – დაახლოებით 30,0%-მა. მეტად არასასურველია ის ფაქტი, რომ სტუდენტების 5,0%-ს არ სურს არცერთი შვილის ყოლა.

კვლევის შედეგად დადგინდა საოცრად შემამოთხლებელი ფაქტი: გამოკითხულთა მხოლოდ 60,0%-მა აღნიშნა, რომ ნარკოტიკების მოხმარება ამცირებს შვილიანობას, ხოლო 40,0%-ის აზრით, ნარკოტიკების მოხმარება შვილიანობაზე ზეგავლენას არ ახდენს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ სამწუხაროდ, ახალგაზრდების საკმაოდ დიდ ნაწილში არის ნარკოტიკებისადმი ლოიალური დამოკიდებულება.

რეპროდუქციული განწყობის ფორმირებაზე ოჯახის წევრების გავლენა დააფიქსირა გამოკითხულთა 98,0%-მა, შემდეგ მოდის მედიის გავლენა – 69,1%, მოძღვარი – 68,6%, დემოგრაფიული პოლიტიკა – 68,6%, მეგობრის აზრი – 68,8%. ყველაზე მეტი ბავშვი სურთ საშუალომემოსავლინ სტუდენტებს (70-78%).

რესპონდენტების 66,0%-მა მხარი დაუჭირა ბავშვის გაჩენას რეგისტრირებული ქორწინებით შექმნილ ოჯახში. ჯვარდანიერილი ან სხვა რელიგიური წესით დაკავშირებული წყვილების ოჯახში ბავშვის დაბადებას მხარი დაუჭირა 27,0%-მა, ხოლო ქორწინების გარეშე დაბადებას – 7,0%-მა.

ქორწინების საუკეთესო საშუალო ასაკად სტუდენტებმა დაასახელეს 26 წელი. იმავდროულად, პირველი ბავშვის ყოლის საშუალო ასაკმა შეადგინა 26,2 წელი.

სტუდენტების მიგრაციული განწყობის კვლევამ აჩვენა, რომ 2002-2018 წლებში საქართველოში ემიგრაციულ ნაკადებში ორი პერიოდი გამოიყოფა: პირველი, 2002-2011 წლები. ამ წლებში ემიგრანტების რიცხოვნობის ზრდა გამოიკვეთა – 2002 წელს 70 ათასიდან 107 ათასამდე 2011 წელს, მათ შორის, 20-30 წლის ასაკის ახალგაზრდების რიცხოვნობა 19,7 ათასიდან 29,6 ათასამდე გაიზარდა. მეორე პერიოდია 2012-2018 წლები, სადაც ემიგრანტების ყოვლწლიური რიცხოვნობა 88,7 ათასიდან 99 ათასამდე მერყეობს, მათ შორის 20-30 წლის ასაკის ახალგაზრდების რიცხოვნობა ყოველწლიურად საშუალოდ 26 ათას კაცს შეადგენს.

საქართველოდან ემიგრაციის დიდი მასშტაბების გამო, მაღალია უცხოეთიდან მიღებული ფულადი გზავნილების მოცულობა. ამასთან, უცხოეთიდან ფულადი გზავნილების შემოდინება ქვეყანაში უფრო სტაბილური პროცესია, ვიდრე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემო-



დინება. აღსანიშნავია, რომ თუ 2015-2017 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები აჭარბებდა ქვეყანაში შემოსულ ფულადი გზავნილების ყოველწლიურ ოდენობას, 2018 წელს სურათი შეიცვალა და ფულადი გზავნილები თითქმის 200 მილიონით აჭარბებს იმავე წელს განხორციელებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს.

სტუდენტთა მიგრაციული განწყობის შესწავლის მიზნით განხორციელებულ კვლევაში ჩვენ მიერ დეტალურადაა განხილული საზღვარგარეთ წასული სტუდენტთა ოჯახის წევრების მატერიალური დახმარებით გადაჭრილი/გადაუჭრელი პრობლემების განაწილება მეხუთე – ყველაზე მაღალი პრიორიტეტისა და პირველი – ყველაზე დაბალი რეიტინგების მიხედვით.

მეხუთე, ყველაზე მაღალი პრიორიტეტის მიხედვით, გამოკითხულთა მესამედზე მეტმა უპირატესობა მიანიჭა ემიგრანტების მიერ გამოგზავნილი თანხებით სწავლის გადასახადის გადახდას. ასევე, სტუდენტთა მესამედმა 5 ქულა მიანიჭა ფაქტორს – „ვიკვებებით და ვიცმევთ უკეთესად“, მეოთხედმა – „ზრუნვას ჯანმრთელობაზე“. ნიშანდობლივია, რომ საკუთარი ბიზნესის დაწყებას და ავტომობილის შეძენას მეხუთე პრიორიტეტი რესპონდენტთა შედარებით მცირე ნაწილმა მიუთითა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ემიგრანტების მიერ გამოგზავნილი სახსრებით ძირითადად პირველადი მოთხოვნილების საგნებსა და აუცილებელ სერვისებზე წვდომა ხერხდება, ხოლო უფრო კაპიტალურ ხარჯებზე გზავნილების მხოლოდ მცირე ნაწილი წარმართება.

როგორც კვლევის შედეგად გაირკვა, საქართველოდან სტუდენტების ემიგრაციის მიზეზები რეიტინგების მიხედვით გარკვეულწილად განსხვავდება მოსახლეობის მიგრაციის საერთო მიზეზებისაგან. კერძოდ, კვლევამ აჩვენა, რომ ახალგაზრდებში ემიგრაციის ძირითად მიზეზად დასახელდა საზღვარგარეთ სწავლის სურვილი, შემდეგ – ოჯახის წევრთან გაერთიანების სურვილი, მესამე ადგილზეა სამუშაოს მოძებნა და დასაქმების პერსპექტივა. სტუდენტთა ძლიერი ემიგრაციული განწყობის მნიშვნელოვანი მიზეზია ასევე საქართველოში მათი ცხოვრებისათვის არსებული არასახარბიელო საბინაო და მატერიალური პირობები.

სტუდენტი ახალგაზრდობის პოტენციური ემიგრაციის სავარაუდო რეალიზაცია საქართველოს დემოგრაფიულ პოტენციალზე ორმხრივ ზეგავლენას მოახდენს. ერთის მხრივ, იმის გამო, რომ სტუდენტი ახალგაზრდობა იმყოფება აქტიურ რეპროდუქციულ ასაკში, ემიგრაცია გააუარესებს საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების მაჩვენებლებს. მეორეს მხრივ, ემიგრანტთა ფულადი გზავნილები ნაწილობრივ შეავსებენ მოსახლეობისთვის საჭირო რესურსებს და ამ თვალსაზრისით, გარკვეული ზომით დადებით როლს ითამაშებენ და ხელს შეუწყობენ აქ დარჩენილი მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდასა და აღწარმოებას. გარდა ამისა, სტუდენტი ახალგაზრდობის მიერ საზღვარგარეთ მიღებული ცოდნა და ღირებულებები, უკან დაბრუნების შემთხვევაში, დიდ როლს შეასრულებენ ქვეყნის მომავალ სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურ-

რულ განვითარებაში.

საქართველოდან მოსახლეობის გადინებით შექმნილი ურთულესი ვითარება მოითხოვს სახელმწიფოს მიერ გონივრული მიგრაციული პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად აღიარებას.

## **სტუდენტების წინაშე არსებული გამოწვევების კვლევის შედეგად მივიღეთ:**

უმუშევრობისა და სიღარიბის შეფასებისას ყველაზე ნაკლები პროცენტი მიიღო (6,5) დამაკმაყოფილებელმა შეფასებამ, ანუ მეორე ქულამ, ხოლო მე-5-ე უმაღლესი ქულით აღნიშნა გამოკითხულთა 56,2%-მა.

ტერიტორიული მთლიანობის შეფასებისას, ყველაზე დაბალი – 2 ქულით (დამაკმაყოფილებელი) ძირითად გამოწვევად დაასახელა 9,2%-მა, ხოლო უმაღლესი შეფასება მისცა გამოკითხულთა 44,9%-მა.

არცთუ სახარბიელო შედეგები მივიღეთ რესპონდენტთა შეხედულებების ანალიზისას კრიმინოგენური სიტუაციის საკითხზე. ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო 4-მა ქულამ (მაღალი) – 27,7% და მე-5-ე ქულამ (უმაღლესი) – 32,3%, ორივემ ერთად კი – 60,0%. მხოლოდ 9,8%-მა დაასახელა კრიმინოგენური სიტუაცია დაბალი კატეგორიით, 12,2%-აფასებს დამაკმაყოფილებლად, ხოლო საშუალო შეფასებას აძლევს გამოკითხულ სტუდენტთა 17,0%, ე. ი. შეფასებიდან დაბალს, დამაკმაყოფილებელსა და საშუალოს ერთად, მხოლოდ 40,0% უკავია.

სქესის მიხედვით შეფასებისას მეტი აქტივობით გამოირჩევიან ის ქალები, რომლებიც 20-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში მოხვდნენ; ამასთან, რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა – 75,0%, ქალაქშია დაბადებული, ხოლო – 25,0% დაბადებულია სოფლად.

შემოსავლებთან დაკავშირებით, ყველაზე მაღალი აქტივობით გამოირჩევიან საშუალო შემოსავლიანი, ხოლო ყველაზე დაბალი – მაღალშემოსავლიანი რესპონდენტები.

ეროვნების მიხედვით ყველაზე მაღალი აქტივობით გამოირჩევიან ქართველი და სომეხი ეროვნების სტუდენტები, ნაკლები აქტივობით – აზერბაიჯანელები და

თითქმის ნულოვანი აქტივობით – დანარჩენი.

სტუდენტთა განწყობისა და შეფასებების კრებსითი შედეგები ასეთია: რესპონდენტთა 57,0%-მა საქართველოს უმთავრეს პრობლემად მიიჩნია უმუშევრობა და სიღარიბე, 49,0%-მა – ტერიტორიული მთლიანობა, 32,0%-მა – ეკოლოგია, 22,7%-მა – დემოგრაფიული პრობლემები, 22,0%-მა – ეკონომიკური სიტუაცია და 25,4%-მა – სხვა პრობლემები.

## ლიტერატურა:

- გელაშვილი ს., მინდორაშვილი მ., მალრაძე ნ.** სტუდენტთა დემოგრაფიული ცოდნის დონე საქართველოში (2019). „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტომი XI, #4.
- გელაშვილი ს., შონია ზ., ქინქლაძე რ.** (2013). სოციალური სტატისტიკა. თსუ (ელ. ვერსია, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ვებ გვერდი).
- გელაშვილი ს., ჩარეიშვილი ლ.** (2016). გენდერული სტატისტიკის საკითხები. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი.
- გვრიტიშვილი ც., გომელაური ნ.** (2019). ოჯახის პოზიტიური სახის ფორმირება საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი.
- გოქაძე ზ.** (1993). რეპროდუქციული ორიენტაციების ფორმირების თავისებურებანი (თბილისის მაგალითზე). საკანდიდატო დისერტაცია.
- გუგუშვილი პ.** (1973). საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები. თბილისი.
- თოთაძე ა.** (2018). საქართველოს დემოგრაფიული განვითარების პროგრამა. გამომც. „პრინტ ავენიუ“, თბილისი.
- თოთაძე ა.** (2014). რას ფიქრობენ ახალგაზრდები. გამომც. „პრინტ ავენიუ“, თბილისი.
- თოთაძე ა.** (2018). ქართველი ერი დემოგრაფიული კატასტროფის და გადაშენების წინაშეა! <https://tvalsazrisi.ge/%E1%83%9E%> (ბოლო ნახვა 12.11.2019).
- ლორთქიფანიძე ვ.** (1998). ისტორიული მესხეთი. დემოგრაფიული განვითარების პრობლემები.
- მენაბდიშვილი ნ.** (2004). სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული ორიენტაციები (თბილისის მაგალითზე). საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი.
- მინდორაშვილი მ., ახესაძე ნ., გიორგობიანი მ.** (2019) სტუდენტების სოციალ-დემოგრაფიული მახასიათებლების სტატისტიკური ანალიზი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზა-



ციის გამონვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“. შრომების კრებული, თბილისი.

